ალექსანდრე ფრონელი

(ყიფშიძე)



ღღიური ერთი სემენარიელისა

ალექსანდრე ყიფშიძე

ფ რ ო ნ ე ლ ი

დ ღ ი უ რ ი

ერთი სემენარიელისა

1879 – 1882

თბილისი
2013

დღიური ერთი სემენარიელისა

ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი)

წიგნის შემდგენელი და რედაქტორი: **ნინო ციხისთავი (ნინო ციხისთავი-ხუციშვილი)**

გამომცემელი: **გიორგი ხუციშვილი**

THE DIARY OF ONE SEMINARIAN

Alexander Kipshidze (Proneli)

Compiler and Editor: **Nina Tsihistavi (Nina Tsikhistavi-Khutsishvili)**

Publisher: **George Khutsishvili**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ალექსანდრე ჯიქურიძე**

გარეკანზე გამოყენებული ფოტომასალა დაცულია
გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის
მუზეუმში.

© ნინო ციხისთავი-ხუციშვილი, 2013

ninatsihistavi@yahoo.com

ISBN: 978-9941-0-5831-8

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინათქმა 5

About the Book 18

რვეული ერთი სემენარიელისა. I წიგნი 1879-1882 19

II წიგნი. 1879 10 აპრილი 37

1879 წ. ენკენისთვე წელი II 77

დღიური ერთი სემენარიელისა.1880 წელსა 7 თებვერალსა 127

„დღიური“ ერთი სემენარიელისა. 1880 წელსა,
21 ენკენისთვესა..... 143

დღიური ერთი სემინარიელისა. 1881 წელსა 15 იანვარსა..... 159

„დღიური“ ერთი სემენარიელისა.1881 года 21 марта 183

„დღიური“ ერთი სემენარიელისა.1881 წელსა. 24 აპრილსა..... 193

„დღიური“ ერთი სემენარიელისა.1882 წელსა 15 იანვარსა. 203

„დღიური“ ერთი სემენარიელისა.1882 წელსა 4 მაისსა..... 213

ზ.ედილი – ალექსანდრე ყიფშიძეზე..... 221

განმარტებანი და სქოლიოები 227

გამოყენებულ წყაროთა ელ. მისამართები..... 299

წ ი ნ ა თ ქ მ ა

თქვენ წინაშე გადაშლილია ალექსანდრე ყიფშიძის "დღიური ერთი სემენარიელისა", რომელიც მან დაწერა 1879-1882 წწ. თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლისას.

ალექსანდრე ყიფშიძის წინამდებარე დღიური სრულად და ცვლილებების გარეშე პირველად ქვეყნდება. დღიურთა სრული ტექსტი მოპოვებულია ლუკა ციხისთავის (1901-1976 წწ.) არქივიში[1], მისივე ხელნაწერი ასლის (1925-1930 წწ.) სახით[2].

სავარაუდოა, რომ ლუკა ციხისთავი დაინტერესებული იყო ფრონელის შემოქმედებით, რადგან მის საარქივო მასალაში მრავლადაა ხელნაწერი ასლები იმ პერიოდის საგაზეთო თუ სხვა გამოცემებისა[3]. ასევე დაცულია ყიფშიძის მონოგრაფიის "ამბოხება კახეთისა 1812"[4] პირველი გამოცემა (ტფილისი, 1907 წ.), ყიფშიძის მონოგრაფიის "დიდებული მესხეთი" პირველი გამოცემა (გორი, 1914 წ.)[5] ყიფშიძის მონოგრაფიის "დიდებული მესხეთი" პირველი გამოცემა ყიფშიძის მოთხრობების ხელნაწერი ასლები, საქართველოს

---

[1] **ლუკა ციხისთავი** (1901-1976 წწ.), ისტორიკოსი, ლ.ბერიას მიერ რეპრესირებული 1924 წ. ანტიბოლშევიკური, ანსტისაბჭოთა საქმიანობის მუხლით. 1924 წ. 10-თვიანი პატიმრობა ლ.ბერიას ტროიკამ შეუფარდა. ლუკამ სასჯელი თბილისში, მეტეხის ციხეში მოიხადა. შემდეგში ი.სტალინის პოლიტპატიმარი იყო 1937-1957 წწ. დაპატიმრებამდე ლუკას სამეცნიერო კვლევის ინტერესი იყო ილია ჭავჭავაძე, მისი მკვლელობა და გარემოცვა.
ლუკა ციხისთავის მიერ პატიმრობა-გადასახლებიდან გამოგზავნილი წერილები გამოქვეყნდა ცალკე წიგნად "**წერილები ოჯახს**" - 2011 წ. ISBN: 978-9941-0-2697-3; ტირ. (300 ც.) (რედ. ნინო ციხისთავი-ხუციშვილი).

[2] ხელნაწერი ასლი – ლუკა ციხისთავის არქივში დაცული ხელნაწერები სამ კატეგორიადაა დაყოფილი: მისი გამოქვეყნებული შრომების ხელნაწეები, მისი გამოუქვეყნებელ შრომათა ხელნაწერები და ისტორიული დოკუმენტების ხელნაწერი ასლები. (რედ.)

[3] **ალ.ყიფშიძის მოთხრობათა** ხელნაწერი ასლი ასევე დაცულია ლუკა ციხისთავის არქივის მასალაში: "სიყმაწვილის მოგონებანი" მე და ლექსო; სკოლაში წაყვანა; ნაყოფი კლასიციზმისა - სანდრო; სოფლის მასწავლებელი - მოთხრობა; ბერო – პატარა მოთხრობა; ეს მოთხრობები სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულია იმ პერიოდის ჟურნალ-გაზეთებში. (რედ.)

[4] **"ამბოხება კახეთისა 1812"**, ტფილისი, 1907 წ. წიგნი ლუკა ციხისთავის არქივიდან. (რედ).

[5] "დიდებული მესხეთი", გორი, 1907 წ. წიგნი ლუკა ციხისთავის არქივიდან. (რედ).

მეფეთა ბრძანებების ხელნაწერი ასლები[6], რომელნიც ყიფშიძეს იმ პერიოდში სხვადასხვა გაზეთში (დროება, ივერია, და სხვა)[7] გამოუქვეყნებია. ჩვენ დღიურის ხელნაწერი ასლები (სულ 10 ხელნაწერი რვეული) შევადართ მის ორიგინალთან[8] (2012 წელს) და დავრწმუნდით, რომ ზედმიწევნით ზუსტია ტექსტი, სტილი შენარჩუნებულია. ამასთან, ზოგიერთი ადგილი, რომელიც დაზიანებული და გაფერმკრთალებულია მუზეუმში დაცულ ორიგინალში, ხელმისაწვდომია ლუკა ციხისთავის საარქივო მასალაში – მის ხელნაწერ ასლში. ორიგინალი დოკუმენტი – ალ. ყიფშიძის დღიურები, დაცულია საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში. ტექსტის შედარებას, შეკრებას და დამუშავებას წელიწადზე მეტი დასჭირდა - 2011 დეკემბრიდან – 2012 წლის ჩათვლით.

გასული თვეების განმავლობაში წარმოებული კვლევა-ძიების შედეგად დავრწმუნდი, რომ დღეს-დღეობით ალექსანდრე ყიფშიძის (ფრონელის) დღიურებს დღის სინათლე ისევ არ უნახავთ სრულად, მთელი თავისი სიდიადითა და ბრწყინვალეებით. მათი უნახაობით ნაკლები სინათლე და სითბო აქვთ მიღებული ჩემს თანამედროვეთ.

რატომ მიგვაჩნია, რომ ალექსანდრე ყიფშიძის (ფრონელის) დღიურები სრულად პირველად იბეჭდება: მასალაზე მუშაობისას მოვიძიეთ მრავალი წყარო, რათა დავრწმუნებულიყავით, რომ დღიურები არ გამოქვეყნებულა. თვეების მანძილზე წარმოებული კვლევა-ძიების საფუძველზე, დარწმუნებით შემიძლია თქვა, რომ ალექსანდრე ყიფშიძის დღიურები "დღიური ერთი სემენარიელისა" 1879-1882 წწ. დღემდე სრული ტექსტით არ გამოქვეყნებულა.

საგულისხმოა, რომ ალექსანდრე ყიფშიძის დღიურების შესახებ ინფორმაცია გავრცელდა და ფართო საზოგადოებისთვის ხელ-

---

6 ხელმწიფეთა ბრძანებები [ერეკლე II, გიორგი XII, დავით ბატონიშვილის ბრძანებები ყაზახ-ბორჩალოს აღალარებს]. ხელნაწერი შესრულებულია იისფერი მელნით A4 ფორმატის ქაღალდზე, სავარაუდოდ გადმოწერილია ალექსანდრე ფრონელის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან, საგაზეთო პუბლიკაციებიდან. ინახება ლუკა ციხისთავის არქვში. (რედ.)

7 მაგ.: მოამბე, 1900 წ. #6, 1909 წ. #6, განყ. II. გვ 1-17; საქართველოს მეფეთა ბრძანებანი, ალ.ყიფშიძე. (რედ.)

8 ხელნაწერი ასლი შედარებულია ალ.ყიფშიძის ორიგინალ დღიურთან, რომელიც ინახება გ.ლეონიძის სახ. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში, 2012 წ. თებერვალი-ივნისის თვეებში (რედ.)

მისაწვდომი გახდა გიორგი ნათაძის (1942 წ.) და, მოგვიანებით, თედო სახოკიას (1946, 1969 წწ.) ხელდასმით. თითქმის საუკუნოვანი ეპოქა ისე გავიდა, რომ მხოლოდ ინფორმაცია და ნაწილობრივი ტექსტური მასალა არსებობდა ა.ყიფშიძის მიერ ნაწარმოებ დღიურებთან დაკავშირებით; თანაც სულ ორი არასრული წყაროს წყალობით: გ. ნათაძის "ალ. ფრონელის დღიურებისთვის" (1942 წ.) და თედო სახოკიას გადმოცემული ფრაგმენტები წიგნში "ჩემი საუკუნის ადამიანები" ("ნაკადული", 1969 წ.). თავად ყიფშიძის დღიურების სრულად წაკითხვა კი დღემდე ხელმნისაწვდომი არ იყო საზოგადოებისათვის.

როგორც უკვე აღვნიშნე, ალ. ყიფშიძის (ფრონელის) დღიურები ძალიან დამცრობილი, შემოკლებული (განახევრებული მოცულობით), ხშირად, კონტექსტიდან ამოგლეჯილი, არათანმიმდევრული ტექსტით, რედაქტირებული (შეცვლილი სიტყვებითა და "გასწორებული" სტილით) გამოქვეყნდა გიორგი ნათაძის მიერ ლიტერატურულ ალმანახში (ნაწ. III, 1942 წ.).

ამასთან, ალექსანდრე ყიფშიძის გარდაცვალებიდან 30 წლისთავზე[9], 1946 წელს თედო სახოკიამ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა მამულიშვილის გასახსენებლად. დაეყრდნო რა ზაქარია ყიფშიძის (1873-1938 წწ.) (ზაქარია ალექსანდრეს უმცროსი ძმა იყო) მიერ შედგენილ ბიოგრაფიულ დეტალებსა და გ. ნათაძის მიერ გამოქვეყნებულ (1942 წ.) მასალას, სახოკიამ სრულად წარმოაჩინა ის გზა, რომელიც ალექსანდრემ განვლო.

მოგვიანებით, სახოკიამ თავის წიგნში "ჩემი საუკუნის ადამიანები" (1969 წ.) კიდევ მიმოიხილა ალექსანდრე ყიფშიძის ბიოგრაფია და საშას სასულიერო სემინარიაში სწავლის პერიოდი. თედო სახოკია ალ. ფრონელის დღიურების შესახებ საუბრისას, სავარაუდოა, წყაროდ იყენებს გიორგი ნათაძის რედაქციით 1942 წ. "ლიტერატურის მატიანეში" დაბეჭდილ ნაწყვეტებს ალ. ფრონელის დღიურებიდან. თავად სახოკიას არ შეუსწავლია ალ. ყიფშიძის ორიგინალი ხელნაწერი დღიურები ("დღიური ერთი სემენარიელისა") საქართველოს ლიტერატურის მუზეუმში. ასეთი ვარაუდის საფუძველი ის თარიღებია, რომელნიც სახოკიას მოყვანილი აქვს ტექსტში და, რომელნიც,

[9] წაკითხულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში განსვენებულის ალ.ყიფშიძის გარდაცვალებიდან 30 წლისთავზე. (რედ.)

იმავდროულად, არ ემთხვევა მუზეუმში დაცული ორიგინალი დოკუმენტების ქრონოლოგიას.

"ეს დღიურები დაწყებულია 1879 წლის თებერვლის 8–ს და თავდება 1882 წლის მაისის 4-ს და დაბეჭდილია 1942 წელს "ლიტერატურული მატიანეს" 3-4 წიგნში, განსვენებულის გიორგი ნიორაძის[10] რედაქციითა და შენიშვნებით."[11] ასევე, სახოკიას მასალაში შეინიშნება გ.ნათაძისეული სტილისტური და რედაქციული ხასიათის ინტონაცია.

ალ. ფრონელის დღიურები "დღიური ერთი სემენარიელისა[12]" – იწყება 1879 წლის 25 იანვარს, ნაცვლად 8 თებერვლისა. ალ. ფრონელის დღიურები "დღიური ერთი სემენარიელისა" – სრულდება 1882 წლის 9 მაისს, ნაცვლად 4 მაისისა.

როგორია ალ. ყიფშიძის დღიურთა აღწერილობა: 17 წლის ალექსანდრეს, გადაუწყვეტია რა დღიურის წარმოება, სავარაუდოდ თავის ხელით შეუკერავს დაჭრილი ქაღალდი პატარა რვეულების ფორმით (10 რვეული). მისი დღიურები დღესაც ინახება საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში[13]. მათი დასათაურება ერთმანეთის მსგავსია, ერთი რვეულია მხოლოდ გამონაკლისი – მხოლოდ პირველი ხელნაწერი დასათაურებულია "რვეული ერთი სემენარიელისა" 25 იანვარი – 5 აპრილი, 1879 წ., (37 ხელნაწერი გვერდი). დანარჩენი ხელნაწერები კი მსგავსი დასათაურებითაა: "დღიური ერთი სემენარიელისა". ცალ-ცალკე შეკერილი რვეულები შემდეგ თარიღებს მოიცავენ: 10 აპრილი - 28 მარიამობისთვე 1879 წ., (53 ხელნაწერი გვერდი); 1 ენკენისთვე 1879 წ. – 25 იანვარი 1880 წ., (128 და ცალკე 4 ხელნაწერი გვერდი); 7 თებერვალი – 30 თიბათვე 1880 წ., (26 ხელნაწერი გვერდი); 21 ენკენისთვე – 8

---

[10] ნაშრომში გვარი შეცდომითაა მითითებული. ნაცვლად გიორგი ნათაძისა, გიორგი ნიორაძეა მოხსენიებული. (რედ.)

[11] თედო სახოკია, ფრონელის გარდაცვალებიდან 30 წლისთავზე; 1946 წ. (რედ.)

[12] აღსანიშნავია, რომ ალ. ყიფშიძის დღიურში ზოგან "სემენარია" , "სემენარიელი" გვხვდება, ზოგან კი "სემინარია", "სემინარიელი". ქვემოთ ტექსტში მოგვყავს დედნის მიხედვით. (რედ.)

[13] ხელნაწერი დღიურის საინვენტარო # 776-ხ, "დღიური ერთი სემენარიელისა", ალექსანდრე ყიფშიძე, 1879-1882 წწ. ხელნაწერი 10 რვეული; გ.ლეონიძის სახელობის საქართველოს სახწლმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, მისამართი: თბილისი, 0108, გ.ჭანტურიას ქ. #8. (რედ.)

ქრისტეშობისთვე 1880 წ. (17 ხელნაწერი გვერდი); 15 იანვარი – 7 მარტი 1881 წ., (35 ხელნაწერი გვერდი); 21 მარტი – 19 აპრილი 1881 წ., (15 ხელნაწერი გვერდი); 24 აპრილი – 8 მკათათვე 1881 წ., (15 ხელნაწერი გვერდი; 15 იანვარი- 23 თებერვალი 1882 წ., (16 ხელნაწერი გვერდი); 4 მაისი – 9 მაისი 1882 წ., (7 ხელნაწერი გვერდი).

ამასთან, ცალკე გვხვდება რვეულად აკინძული (შეკერილი) "დღიურიდგან", "ჩემი დღიურიდგან" მოთხრობის ნაირი ამბავი (25 მაისი - 15 მარტი 1879-1880 წწ.), "ჩემი დღიურიდგან" (15 მარტი, 1881 წ.) "სახსოვარი წიგნი" (23 გიორგობისთვე 1880 წ. – 17 აპრილი 1881 წ.), რომელნიც ცალკე ხელნაწერი რვეულებია და დღიურის პრინციპითაა შედგენილი. სავარაუდოდ, ალექსანდრე სხვადასხვა ადგილას ყოფნისას სხვადასხვა რვეულში ახერხებდა ჩანაწერის გაკეთებას, სანამ სახლში დაუბრუნდებოდა თავის სახელდებულ "დღიურს" და ამიტომაც არის, რომ რამოდენიმე დღეზე ორ სხვადასხვა რვეულში აქვს გაკეთებული ჩანაწერი. ჩვენ გადავწყვიტეთ, დღიურის საერთო ქრონოლოგიაში დაგვემატებინა ეს მასალა, რათა იმ პერიოდის სრული სურათი კარგად წარმოგვედგინა და მეტი ინტენსივობა მიგვეცა მაშინდელი დროის მსვლელობისათვის.

ლიტერატურულ მუზეუმში დაცული ხელნაწერი დღიურის საინვენტარო ნუმერაციაზე: ლუკა ციხისთავის საარქივო მასალის – დღიურთა ხელნაწერი ასლების, ალ. ყიფშიძის ორიგინალ ხელნაწერთან შედარებისას ყურადღება გავამახვილეთ მასალის საინვენტარო ნუმერაციაზე. სავარაუდოა, რომ ლუკამ ხალნაწერი ასლი გააკეთა 1925-30 წწ. ასეთი ვარაუდის საფუძველს გვაძლევს შემდეგი: საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში ხელნაწერ დღიურზე მინიჭებული ნომერი სხვა რიგისაა, შესრულებულია დოკუმენტის მარცხენა მხარეს ზედა კუთხეში, შავი ფანქრით, მომდევნო წლებში კი სამელნე კალმითა და ავტოკალმით (ბურთულიანი კალამი). ლუკა ციხისთავის არქივში დაცულ ალ. ფრონელის დღიურებს და მოთხრობათა ხელნაწერ ასლებს მინიჭებული აქვთ იგივე ნომრები, რაც ორიგინალი დოკუმენტის მარჯვენა ზედა კუთხეში და, თანაც შესრულებულია წითელი ფანქრით. როგორც მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციის განყოფილების ხელმძღვანელმა ქ-მა **მარინე ყიფიანმა** აგვიხსნა, მისთვის უცნობია, როდის შეს-

რულდა მარჯვენა ზედა კუთხეში წითელი ფანქრით შესრულებული დოკუმენტის ნუმერაცია ინვენტარიზაციისთვის. მისვე თქმით, რაც მუზეუმი დაარსდა (1931 წ.) ფრონელის ხელნაწერები იქ ინახება იმ-თავითვე და მათი სამუზეუმო საინვენტარო ნომრები (შავი ფანქრით, მელნითა და პასტით) თავიდანვე მითითებულია ხელნაწერი დოკუ-მენტის მარცხენა ზედა კუთხეში.

სავარაუდოა, რომ, რადგანაც ალ. ყიფშიძის სამსახურებრი-ვი საქმიანობა გარკვეულ პერიოდში უკავშირდებოდა ქ. ქუთაისში სახელმწიფო სამსახურს, შესაძლოა, ლუკას სწორედ ქუთაისში მიეცა საშუალება, გასცნობოდა მათ (ხელნაწერებს) და იქავე გაეკე-თებინა მათი ხელნაწერი ასლები[14].

ალ. ყიფშიძის დღიურები და მოთხრობები, რომელთაც აქვთ საინვენტარო ნუმერაცია მარჯვენა ზედა კუთხეში წითელი ფანქრით ***№31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 48*** – დაცულია ლუკა ციხისთავის არქივში.

ლუკა ციხისთავის არქივში დაცული ხელნაწერები, ხელნაწერი ასლები, ლუკას მონოგრაფიები და შრომები მე-19 საუკუნის საქარ-თველოს ისტორიაზე, ქართულ პერიოდიკაზე ნათლად მოწმობს, რომ ალექსანდრე ფრონელის დღიურთათვის პირველად სწორედ ლ. ციხისთავს მიუქცვია მეცნიერული ყურადღება და თან, გაცილებით უფრო ადრე (1937 წლამდე), ვიდრე ზემოთ მოტანილი ქრონოლო-გიით (1942 წ. - გ. ნათაძემ, 1946, 1969 წწ. – თ. სახოკიამ) მოხდა ეს. თუმცა, ამ და სხვა მრავალი შრომის გამოქვეყნება ლ.ციხისთავს აღარ დასცალდა კომუნისტური რეჟიმის მიერ მისი ძალადობრივი, უსამართლო 20-წლიანი პოლიტპატიმრობის გამო.

დართული განმარტებების შესახებ: ალექსანდრე ყიფშიძის დღი-ურს ჩვენ დავურთეთ განმარტებები, წყაროების მითითებით. დარ-თული განმარტებების წყაროთა ენა შენარჩუნებულია. სხვადასხვა

---

[14] ლუკა ციხისთავი 1930 წლიდან იყო სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პრეზიდ-იუმის წევრი, მომდევნო პერიოდში მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუ-ტის დირექტორი ხდება, მოგვიანებით მისი სწავლული მდივანი, შემდგომში ლუკა ციხისთავი "ელხის" დირექტორის მოადგილეა, ისტორიის სექციის გამგე და საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, თსუ-ში (1933 წ.) შეთავსებით კი ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანია გაციმბირებამდე (1937-1957 წწ.). ლუკა ციხისთავის ბიოგრაფიის დეტალები მოტანილია მისი პირადი არქივიდან (რედ.)

შემთხვევაში ერთსა და იმავე პიროვნებასა თუ მოვლენაზე მოტანილია ორენოვანი მასალა, რადგან შინაარსით მცირედათ მაინც განსხვავდება ისინი ერთმანეთისგან. იმავდროულად, ჩვენ შევეცადეთ ნებისმიერი ენის მატარებლისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი გაგვეხადა ის ეპოქა, ის ადამიანები, ის მოვლენები, რომელნიც საქართველოს დღევანდელობას უყრიდნენ საფუძველს და რომელთაც საქართველოსთვის გამორჩეული, ხანაც კი კრიტიკული როლი შეასრულეს. საყურადღებოა, რომ ალექსანდრე ყიფშიძე ხშირად იყენებს სქოლიოებს დღიურშიც კი. ყველა ავტორისეული სქოლიო მოყვანილია წიგნში და დასახელებულია წყარო.

თბილისის სასულიერო სემინარია:

თბილისის სასულიერო სემინარიაზე ბევრი რამ დაიწერა ამ დრომდე. თუმცა, რადგან ალექსანდრე თავის დღიურს სემინარიაში სწავლისას წერდა და, ძირითადად, აღწერდა სემინარიის კედლებიდან დანახულ მდგომარეობას, ამიტომ ვთვლით, რამოდენიმეგვარად შევეხოთ ამ თემას.

თბილისის სასულიერო სემინარიაში დღიდან დაარსებისა მის მოსპობამდე (1817-1917 წწ.) არსებობდა სწავლების სისტემა და აღზრდის მტკიცე რეჟიმი. სემინარიაში რექტორი, ინსპექტორი, მასწავლებლები, ძირითადად რუსი მონარქისტები იყვნენ გამოგზავნილი საქართველოში, რათა შემოეტანათ, დაენერგათ და გაემეფებინათ რუსიფიკატორული პოლიტიკა. ჩამოსული მასწავლებლები, ინსპექტორები, რექტორები, განსაკუთრებულ სისასტიკეს იჩენდნენ მოწაფეებისადმი და მათ დამორჩილებასა და დაჩაგვრას ცდილობდნენ სხვადასხვა მეთოდით - სისასტიკით, დასჯით, მგლის ბილეთით გარიცხვით, ერთმანეთის მოსმენით, თვალთვალით, შპიონობის წახალისებით. განსაკუთრებული მიზანი რუსეთის პოლიტიკისა იყო ქართული ენისა და ლიტერატურის - ე. ი. ეროვნული გრძნობის დევნა. ამ მიზნის მისაღწევად სემინარიაში მოსწავლეებს უკრძალავდნენ ქართულ ლაპარაკს, კითხვას და მშობლიური ენა და ლიტერატურა არ ისწავლებოდა.

სასულიერო სემინარიის მმართველობა ემორჩილებოდა ეგზარხოზს. რუსეთმა საქართველოს საეგზარხოსო შექმნა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ და დაუქვემდებარა რუსეთის ეკლესიის სინოდს (1811-1917 წწ.). ამ

ძალადობრივ პროცესს წინააღმდეგობას 11 წელი უწევდა (1801-1811 წწ.) საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, მისი უწმინდესობა ანტონ II (ბაგრატიონი) და მთელი პროგრესული საზოგადოებრიობა.

რუსეთის მიერ ამ დავალებით გამოგზავნილი გენერალ-ლეიტენატის – კნორინგით (1802 წ.) დაწყებული და გენერალი ტორმასოვით (1809 წ.) დამთავრებული შესრულდა რუსეთის იმპერიის მთავარი ამოცანა – სრულიად დაიქვემდებარა საქართველოს ხერხემალი – ქართული მართლმადიდებლური ეკლესია. 1811 წლის 21 ივნისს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ხელი მოაწერა საქართველოში საეგზარხოსოს გახსნას, ეს დღე მიჩნეულია საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის ჩამორთმევის დღედ. შემდგომში ქართული ენა მთლიანად გამოიდევნა საქართველოს ეკლესია-მონასტრებიდან[15].

სასულიერო სემინარიის საუკუნებრივი არსებობის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ იყვნენ მიწვეული მასწავლებლებლად დიდი ქართველი მოამაგენი (1863 წ.). ესენი იყვნენ: ნ. ცხვედაძე, გ. იოსელიანი და ი. გოგებაშვილი. სწორედ ამ პერიოდში იაკობ გოგებაშვილმა შეიმუშავა პირველი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე (1865 წ. "დედაენა" და "ბუნების კარი"). გამოჩნდა თუ არა ახალი სახელმძღვანელოს პირველი შედეგი, დაიწყო "დანოსების" წერა რუსეთში. 1871 წელს გამოიგზავნა კომისია, რევიზორი ზინჩენკო. 1873 წელს კვლავ გამოიგზავნა სინოდიდან თბილისის სემინარიაში რევიზორი კერსკი. კერსკიმ შეგირდების პირადი წერილებიც გაჩხრიკა და განსაკუთრებული განგაშით "გამოავლინა" რამოდენიმე მოსწავლე, როგორც გახრწნილი გონებისა და ოპოზიციური განწყობის საშიში ელემენტები. მაგალითია დავით კეზელის (1873 წ., მესამე კლასის სემინარიელი) შემთხვევა. ამ წერილებს ჩვენი ალექსანდრე ყიფშიძეც ეხმიანება თავის დღიურში უკვე 7 წლის შემდეგ (იხ. ყიფშიძის დღიურების 1880 წ. 5 იანვარი). 1873 წ. დავით კეზელი დააპატიმრეს და სასამართლოს მიერ გამოტანილი მკაცრი სასჯელი მხოლოდ 8 თვე პატიმრობით დასრულდა მისი არასრულწლოვანების გამო. რევიზორმა კერსკიმ კი თავის საგამოძიებო-სარევიზიო ანგარიშში ისე აღწერა სემინარიის მდგომარეობა, ისეთი ეპითეტე-

[15] http://www.pravenc.ru/text/168201. t=clnk

ბით შეამკო სემინარიის მოწაფეები, რომ ყველა თითქმის რევოლუციონერად მონათლა და, შედეგად, სინოდს დაათხოვნინა პედაგოგები ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, და სხვები. აკრძალა არასაპროგრამო წიგნების კითხვა და სემინარიაში წყვდიადი ჩადგა.

ალექსანდრე ყიფშიძის ფსევდონიმები: მასალაზე მუშაობისას შევეცადეთ, ამოგვეკრიფა ყველა ფსევდონიმი, რომლითაც ალექსანდრე ყიფშიძე აქვეყნებდა იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში თავის სტატიებსა და მოთხრობებს. ალ ყიფშიძის ფსევდონიმები გახლავთ: **ფრონელი**[16]; **ა.ფრონელი**[17]; **ფ-ლი, ა.**[18]; **ა**[19]; **ა.ფ.**[20]; **ფ-ლი.ა.**[21]; **"ა-ყ-ძე"**[22]; **ისკანდერ**[23]; **ფრონელი ა.**[24]; **-ლი.ა**[25].; **ძ.**[26]; **არავინ**[27]. ალ. ყიფშიძის ზემოთ მოყვანილი ფსევდონიმები ოფიციალურად გამოქვეყნებულია. თუმცა დღიურებში, რომლებიც ახლა გამოქვეყნდა პირველად, მკითხველი შეხვდება რამოდენიმე ახალ ფსევდონიმს, რომლებიც სავარაუდოა, ალექსანდრეს კნინობითი მიმართვა იყო და შემდეგ მან ფსევდონიმად აქცია, მაგ.: **ა.გოდორია, ჩაჩულია, შაშა**[28].

---

16 ივერია. - 1889 წ.-15 დეკ.. - N267.

17 ივერია. - 1890 წ.-23 მარტი. - N63.

18 ივერია 1892 წ. 19 იანვარი #13.გვ.3; ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ტომი III, ნაკვეთი I, ივერია" 1886-1892წწ; ცისკარი" 1887 წ., გაზ. "თეატრი" 1890, თბ. 1963.

19 ივერია. - 1892 წ.-27 ოქტ.. - N226.

20 ივერია. - 1892 წ.-21 ნოემბ.. - N247.

21 ივერია 1892 წ. 11 თებერვალი #32.გვ 3. ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ტომი III, ნაკვეთი I, ივერია" 1886-1892წწ; ცისკარი" 1887 წ., გაზ. "თეატრი" 1890 წ., თბ. 1963.

22 "ა. ყ-ძე" ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების წიგნის ეგზემპლიარზეა მიწერილი [ქ.შ.წ.კ.გ.ს. - ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება] ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ტომი III, ნაკვეთი I, ივერია" 1886-1892 წწ; ცისკარი" 1887 წ., გაზ. "თეატრი" 1890 წ., თბ. 1963 წ..

23 ივერია 1893 წ. ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ტომი IV, ივერია 1893-1896 წწ., თბ. 1965 წ.

24 ივერია 1893 წ. ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ტომი IV, ივერია 1893-1896 წწ., თბ. 1965 წ.

25 ივერია. - 1892 წ.-15 მარტი. - N57.

26 ივერია 1894 წ., 1896 წ. ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ტომი IV ივერია 1893-1896 წწ., თბ. 1965 წ.; ასევე ივერია. - 1890 წ..-21 ივლ.. - N155.

27 ივერია, 1901 წ. ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ტომი VI, ნაკვეთი I, გაზ. ივერია 1901-1904 წწ., თბ.

28 27 ქრისტეშობისთვე, 1880 წ. "დღიური ერთი სემენარიელისა", ალ. ყიფშიძე.

მოგონებები ალექსანდრე ყიფშიძეზე: ალექსანდრეს გარდაცვალება დიდი ტკივილი იყო იმდროინდელი გამოჩენილი საზოგადოებისათვის და სრულიად საქართველოსთვის. როდესაც გადავშალეთ 1916 წელს გაზეთი "საქართველო" – 16 ივნისს გარდაცვლილი ალექსანდრეს დატირება, გამომშვიდობება არ წყდება თითქმის მთელი თვის მანძილზე და შემდეგ. შავ ჩარჩოში დატანილი უხვი მოკლე მისამძიმრებებიდან დაწყებული და ვრცელი გამოსათხოვარი წერილებით ქართული საზოგადოებრიობა დასტიროდა კაცს, რომელმაც მთელი სიცოცხლე სამშობლოს მსახურებას მოანდომა და მაინც უძლურებას გრძნობდა, რაიმე შეეცვალა.

"ალექსანდრე გარდაიცვალა 54 წ. ასაკში. უცოლშვილოდ წავიდა. ქუჩაში მიდიოდა, გული გაუსკდა. 1916 წელი იყო. მთელი საქართველო დასტიროდა. იმავ საღამოს, 8 საათზე შეიკრიბა თავად-აზნაურთა საკრებულო, განსაზღვრეს დაკრძალვის წესი, სამგლოვიარო პროცესიის მარშრუტი ყაზბეგის ქუჩიდან (#36, ვერაზე) დიდუბის პანთეონამდე გოლოვინსკის გავლით. სხვა საორგანიზაციო საკითხიც ბევრი დაადგინეს. მათ შორის: დაწესებულებებისათვის სავალდებულოდ განსაზღვრეს, რომ გვირგვინის ყიდვის ნაცვლად, ფული რაიმე კეთილი საქმისთვის გადაედოთ, რაც ალექსანდრეს წარსულ საქმიანობას უკავშირდებოდა. ასე დააწესეს მისი სახელობის სტიპენდიები ლიტერატურასა და ისტორიაში წინასწარ 3 წლით."[29]

ალექსანდრე ყიფშიძის <u>**სიკვდილის გარემოებები**</u> ბევრ კითხვას ბადებს (!). ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ძალ-ღონით სავსე მამაკაცის მოულოდნელი გარდაცვალება ქუჩაში, თითქოს და გულის შეტევის შედეგად, ეჭვს იწვევს. ჩემი ეჭვები მყარდება იმ გარემოებით, რომ 1916 წელი რევოლუციური ტალღის მომძლავრებისა და ამის საპასუხოდ, მეფის "ოხრანკის" გამძვინვარების ხანაა. საგულისხმოა, რომ სულ ორიოდე თვის შემდეგ, ალექსანდრეს მოულოდნელი და ბურუსით მოცული გარდაცვალებიდან, პარიზში, ასევე მოულოდნელად, ქუჩაში, გულის შეტევით კვდება ახალგაზრდა კაცი - ვლადიმერ სტაროსელსკი (1860 წ. დ. - აგვისტო, 1916 წ. გ.). წარმოშობით უკრაინელი სტაროსელსკი, საქართველოს პატრიოტი იყო. 1905

(რედ.).

[29] წყარო: გაზ. საქართველო, N154, 1916 წ., თიბათვე.

წ. ის ქუთაისის გუბერნატორი გახლდათ და ალექსანდრე ყიფშიძე კი – მისი მოადგილე. შემდგომ წლებში სტაროსელსკი რევოლუციონერი ხდება. იმპერატორმა ნიკოლოზმა წითელი გუბერნატორი შეარქვა და მისი ლიკვიდაციის შესახებ არაპირდაპირი მითითებაც კი გასცა[30]. 1916 წელს სტაროსელსკის გარდაცვალების "მსგავსი" გარემოებები აძლიერებს ეჭვებს, რომ ალექსანდრე ყიფშიძის გარდაცვალებაც **დაგეგმილი და ძალადობრივი იყო.** აქ გამოთქმული ვერსიის მტკიცებულებათა მოპოვება უკვე მომავლის საქმეა.

ალ. ყიფშიძის ნაშრომები, საგაზეთო სტატიები უკლებლივ ყველა მტკივნეულ საკითხზეა და საშინაო თუ საგარეო პოლიტიკით წაქცეულ ქართველთა ფეხზე დასაყენებლად იყო მიმართული; მისი სახელმწიფო საქმიანობა, მისი წიგნები, სტატიები, საქველმოქმედო საქმიანობა – დიდი მამულიშვილის – ალექსანდრე ყიფშიძის - დღენიადაგი შრომა იყო სიკვდილამდე.

ალ. ყიფშიძე იკვლევდა XIX ს. საქართველოს ისტორიის საკითხებს. ერთ-ერთი პირველი იკვლევდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ქართველი ხალხის ანტიკოლონიალურ და ანტიფეოდალური ბრძოლის ისტორიას[31]. აღსანიშნავია მისი შრომები: **"მთიულეთი 1804"** (ტფილისი, 1896), **"ამბოხება კახეთისა (1812)"** (ტფილისი, 907), **"დიდებული მესხეთი"** (გორი, 1914), **"მთის არწივი, შამილი[32]"** (ტფილისი, 1914), **"საგლეხო ბანკი და საადგილ-მამულო კომისია"** (ტფილისი, 1910), **"კანონი გლეხთა და**

---

[30] "1906 წელს იმპერატორი ნიკოლოზ II სწერდა კავკასიის მეფისნაცვალს გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს: "მინდა ერთი მაგარი სიტყვა გითხრათ ქუთაისის გუბერნატორ სტაროსელსკიზე. ჩემგან მიღებული ცნობების მიხედვით, ის ნამდვილი რევოლუციონერია. ჭეშმარიტად ის ღირსია ტირიფის კარგ ტოტზე. სხვებისთვის ეს ჭკუის სასწავლებელი მაგალითი იქნებოდა". (რევოლუციის მუზეუმის ფონდი 16692/48 საქმე 7/18 ა.) - ალ. სიგუა // დროშა. - 1966. - N6. - გვ.18 ალექსანდრე ფრონელის გარდაცვალებიდან 50 წლისთავის გამო.

[31] ქსე, ტ. 10, გვ. 656, თბ., 1986 .

[32] იმამი შამილი (დ. 1799 — გ. 1871) — ხუნძი წარმოშობის პოლიტიკური და რელიგიური მოღვაწე, კავკასიის მთიელ ხალხთა მეთაური, 1834 წელს იმამად აღიარებული, რომელმაც ჯერ დასავლეთ დაღესტნისა და ჩეჩნეთის, შემდეგ კი ჩერქეზეთის ხალხი გააერთიანა თეოკრატიულ სახელმწიფოში იმამატი და შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა. რუსებმა თანდათან შეავიწროვეს შამილი, რომელიც ბოლოს დაღესტნის სოფელ ღუნიბში აღმოჩნდა ალყაშემორტყმული და უიმედო წინააღმდეგობის შემდეგ ტყვედ დანებდა. http://ka.wikipedia.org/wiki/შამილი.

სოფლელთა და ბატონთა და მემამულეთა შორის დროებით-ვალდებულ და დამოკიდებულ ურთიერთობის მოსპობისა ნადელის დახსნითა და შესყიდვით საკუთრებად, მთავრობის დახმარებით, ტფილისისა, ქუთაისისა, ერევნისა, ელისავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიებში" - Тифлисъ, 1913 (тип. В. Киладзе), **"ბატონ-ყმობის გადავარდნა საქართველოში: საისტორიო ცნობა"** (თბ., 1926 წ.), **"ბიჭი და ბოზო: ჭანური ლექსი"** (პეტერბურგი, 1911 წ.).

ალ. ყიფშიძის დღიურის მნიშვნელობა: დღეს-დღეობით ბევრს საუბრობენ ადამიანის განზომილებაზე, ქალისა და მამაკაცის კვლევათა საჭიროებაზე და ამ კვლევების მნიშვნელობაზე. საქართველოს ლიტერატურულ-ისტორიულ წიაღში ძნელად თუ მოიპოვება ისეთი დოკუმენტური მასალა, რომელიც მამაკაცის მიერ აღწერილი ყოველდღიურობის თანადროულად შინაგან თავისუფლებას სძენს მკითხველს და ასე დეტალურად აღწერს ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსწავლელ XIX ს. ეპოქას საქართველოში. ასეთი ისტორიული და ლიტერატურული მონუმენტი – ალექსანდრე ყიფშიძის დღიურებია (1879-1882). ალ. ყიფშიძემ სასულიერო სემინარიაში მიმდინარე რუსიფიკაციის მტკივნეული და ქართველი ახალგაზრდობის მონური ჩაგვრის დოკუმენტირება მოახდინა, დაუფარავად ასახა და გააანალიზა როგორც იმჟამად საჯაროდ გავრცელებული მოვლენები, ასევე ძალიან დაფარული, დღესაც ტაბუირებული საკითხები, როგორებიცაა ძალადობა შინ და გარეთ, ზეწოლა, ლტოლვა და სხვა. ალექსანდრე ყიფშიძე, შეეცადა, გაერკვია და მოვლენათა სწორი ანალიზი მოეხდინა. თუმცა, დღიურის ჟანრისთვის დამახასიათებელი უშუალობა და თავისუფლება, ფიქრის თავისთავადი დინება არასოდეს მიუტოვებია ბარე მთელი 4 წლის განმავლობაში.

ალექსანდრე ყიფშიძე თავის დღიურში გულღიად, თავისი განსაკუთრებული, დამახასიათებელი სტილით, შელამაზების გარეშე, თანაც განსაკუთრებული სიზუსტით აღწერს 17-დან 20 წლის ახალგაზრდას მიერ გათავისებულ ტკივილს, სიხარულს, დარდს, რომელნიც, უმრავლეს შემთხვევაში, საქართველოს იმჟამინდელმა მდგომარეობამ გამოიწვია და საქართველოს მომავლის ფიქრითაა გაპირობებული.

ალექსანდრეს გულწრფელობა და დღიურის ენა და კიდევ, ჩემი ქვეყნისა და ხალხის ჯერ კიდევ ამოუცნობი დიდი საიდუმლობა,

დღიურის კითხვის განმავლობაში მაფიქრებინებს, რომ, როგორც საქართველოს ლიტერატურის, ისტორიისა და საზოგადოების კვლევის, ასევე, ზოგადად, ახალგაზრდა კაცის კვლევისთვის, წარმოდგენილი დოკუმენტი დიდ სამსახურს გაუწევს საქართველოსა და კაცობრიობის დაწინაურებულ, განათლებულ წარმომადგენლთ.

დღეს, თითქმის 100 წლის შემდეგ ჩვენი შაშას გარდაცვალებიდან, ქედს ვიხრით მისი დიდი და ჯერ კიდევ ჯეროვნად დაუფასებელი სახელისა და საქმის წინაშე.

მჯერა, რომ ჩვენში, საქართველოში, გამოინახება საშუალება და ალექსანდრე ყიფშიძის (ფრონელის) შემოქმედება სრულად შეიკრიბება, ითარგმნება, ერთიან მრავალტომეულად გამოიცემა და გავრცელდება საქართველოსა და სხვა ქვეყნებში, რადგან ასი წლის შემდეგ მისი ენა, გრძნობა და ფიქრი ისევ ძარღვიანი და თანამედროვეა.

2013 წლის 18 აპრილს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შენობაში, დარგის სპეციალისტებისა და დაინტერესებული საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით გაიმართა ამ წიგნის ხელნაწერის განხილვა.

დიდ მადლობას ვუხდი ყველა იმ ადამიანს, ვინც მხარი დამიჭირა, წამახალისა და მხოლოდ ამ საერთო ძალისხმევის შედეგად გახდა შესაძლებელი, ჩვენს წიგნს დღის სინათლე ენახა. მათ შორის უნდა გამოვყო ქ-ნი მარინე ყიფიანი და ლიტერატურის მუზეუმის სხვა თანამშრომლები, ქ-ნი მაია კუპრავა-შარვაშიძე, რომელიც დამეხმარა ხელნაწერთა შედარებასა და მასალის მოძიებაში და ჩემი შვილი ვიქტორია-სოფიო, რომელმაც ამ მძიმე სამუშაოში აქტიური მონაწილეობა მიიღო.

ნინო ციხისთავი-ხუციშვილი,

წიგნის შემდგენელი და რედაქტორი

4 ივლისი, 2012 წ.
თბილისი.

About the Book:

THE DIARY OF ONE SEMINARIAN

Alexander Kipshidze (Proneli)

The book is based on the original Diaries created by one of the prominent representatives of Georgian literary elite of the 19 century – Alexander Kipshidze, known by pen-name Proneli.

The idea of publishing this book came to me when I discovered the handwritten copies of Proneli's Diaries in the archives belonging to my late grandfather Luka Tsikhistavi, a known Georgian historian, Stalin-Beria regime's political prisoner in 1924 and later in 1937-1957.

The Diaries are written in the years 1879-1882 when Proneli was a student of the Orthodox Christian Seminary in Tiflis. From his Diaries a rich picture of the contemporary cultural, religious and political life and relations can be gleaned. The situation of his native Georgia in the Russian Empire is very well illustrated in his writings.

The book also contains relevant photos, references and comments pertaining to that historical period.

Nina Tsikhistavi-Khutsishvili,

Compiler and editor

რვეული ერთი სემენარიელისა[1]

I წიგნი

1879 – 1882

1879 года
ян. 25.

Глупец, хочешь жениться?! Жениться!!! Да на комъ? На проститутке известной!! Быть можетъ, ты думаешь найти въ ней верную подругу въ опасностьяхъ жизни! Блудный, какъ ошибаешься!!

სულ გამოცვლილი ხარ, ის აღარ ხარ რაც აქამდისინ იყავი! რამ შეგცვალა!? დემონმა. ჰე! შენ შინა მოსტყუვდა ქვეყანა, მშვიდობით, ქვეყანა დიდია.

фев. 6

დღეს ერთმა ჩემი ძრიელ საყვარემა მეგობარმა, დიდათ მაწყევინა. იმან მითხრა: ეგოისტი ხარ, მეგობრის პატივისცემა არ იციო. თუმცა ის (ე.ი. ლაზარ კატანოვი) ჩემს ნივთებს ისე ხმარობს, როგორც მე არა, მე კი არა დროს იმისას. ესეც უნდა ვთქო, რომ თავის დღეში იმისათვის არ მიწყევინებია, არც სიტყვით არც საქმით და ისეთ ნაირათ ვცემდი პატივს, როგორც სხვას არა ვის. ის კი სულ სხვა ნაირათ მიცქერის, დღეს სულ გამოაცხადა შენც მომატყუე! (მაგრამ, ჯერ სულ არა.)

7 თებერვალი.

დღეს ჩვენმა საღმთო წერილის მასწავლებელმა (პატოცკიმ[2]) სთქვა: ძველი რჯული ბოზობას გვიკრძალამსო და ახალი, არა თუ ბოზობასაო, ქალის შეხედვასაცაო. მე კი გუშინ აბანოში რომ მივედი და დავინახე, თუ კაცები რა ნაირათ ჯგვლემამდენ ერთი ერთმანეთს, როცა ლამაზი ქალი გაივლიდა ხოლმე, ეს იმას ამტკიცებს რომ ჩვენი ხალხი ფორმით ყოფილან ქრისტიანები.

1879 წ. 8 თებერვალი.

ამ ჩვენ მასწავლებლებსაც კი უხარიანთ, როცა შეგირდებს ითხოვენ. ბოლოს დღეს სულ აღარ შემოდიან ხოლმე, თუმცა შემოდიან გათავების დროს, მაგრამ ვაი იმათ დღეს, სულ საათზე

იცქირებიან. ეს იმას ამტკიცებს, რომ ისინი გულიანად არ ეკიდებიან საქმეს, არიან შკოლებში იმისთვის კი არა, რომ თავიანთი ვალი შეასრულონ – მხოლოდ ფულისთვინ.

9 თებერვალი.

წუხელის რვა საათზე, ჩვენ სემენარიაში წარმოდგენა იყო "მზის დაბნელებისა"[3], რა მშვენივრათ წარმოადგინეს!! თუმცა სუყველაფერი უბრალო იყო. დეკორაცია იმათ არა ქონდათ, ფარდის მაგივრად საწყლებმა შკაფი დასდგეს, ტანისამოსის ნება იმათ არ ქონდათ, მარეხა შემოდიოდა სერთუკით და ანგრეთვე სხვა პირები შემოდიოდნენ სემენარიულ პალტოებში. მაგრამ მშვენიერი იყო მათი ქცევა და მიხვრა-მოხვრა.

უფალმა მან სვეტოვმა მშვენივრათ შეასრულა თავის როლი, ისეთ ნაირათ ლაპარაკობდა და იქცევოდა, თითქოს გუშინდლამდინ მდიდარი ძველ დროს სომეხი ყოფილიყო და დღეს კი სემენარიელი გამხდარიყვეს.

უ.[4] გელაძემ ბევრი ვერაფრათ შეასრულა მარეხის როლი; ანგრეთვე უ. გვარამაძემ გრიგოლის როლი. უფალი ფომინი (ნენეს როლს ასრულებდა) სულ გამოიცვალა ხმითაც და თითქმის ტანითაც. იმას აღარ ეტყობოდა სემინარიელობა, სომხის ბებრად გადაიქცა; თუ უკეთესი არა, ნაკლებათ ხომ მაინც არ უთამაშია. უ.კოშორიძემ რევსიმეს როლი. უ.ლაიბემ თავად ინდოს როლი შეასრულა, მაგრამ როგორა! საკვირველათ!? ისეთ ნაირ დინჯათ, პატიოსნურათ, თითქოს ამას თავის დღეში თავის როლი ხელში არ აუღიაო. მეორე თავადიშვილის როლს ასრულებდა.

უ.მოდიბაძე, ამანაც კარგათ შეასრულა თავის როლი. ბეროს როლი შეასრულა უ.კარბელოვმა. ამანაც მშვენივრათ შეასრულა როლი და ისეთ ნაირათ ლაპარაკობდა, თითქოს გლეხებში იყოს დაბადებული და იმათში გაზდილი. მაგრამ ეს მართლაც არის, სემინარიის მოწაფეები უფრო ახლო იცნობენ გლეხებს და იმის ყოფასა, სარამ სხვა სასწავლებლების შეგირდები. ეს იმიტომ, რომ სემენარიელები არიან სულ თითქმის ღვდლის შვილები, რომლებიც თავიანთ მამებისაეფ გლეხებში ტრიალებენ, სხვა სასწავლებლების შეგირდები ან არიან თავადისშვილები, რომლე-

ბიც სიამოვნებით არ უცქერიან გლეხს და მის ცხოვრებას; (ეს ითქმის სუყველაზე არა, უფრო მომეტებულ ნაწილზე.) ან ქალაქური ვაჭრის ან ჩინოვნიკების შავილები არიან, რომლებმაც არც კი იციან: რა არის გლეხი და იმის შრომა.

უ.კაჩარავამ, ჩინოვნიკის როლი მშვენივრათ შეასრულა; როცა ის ლაპარაკობდა მე სულ ვერ მივხვდი, თუ ეს უნდა ყოფილიყო ბურსაკ-სემენარიელი. უ. ლუკიანოვმაც კინტოს როლი კარგათ შეასრულა. სხვა კინტოების როლიც კარგათ შეასრულეს. სვიმონიკოს როლი ბუნებით იმერელმა აასრულა. მე სემენარიელებს ახლო ვერ ვიცნობ, ამ ოხრებს გული შიგნიდან ქონიათ. თითქოს ესენი არც ხალხს იცნობენო, არც ქვეყანაში არიან გამოსულნიო, მაგრამ ბოლოსა ჩნდება, რომ ხალხიც ამათ უკეთ იციან და ქვეყნის შვილებიც ესენი არიან. იკითხამთ: სოფლის მასწავლებლათ ვინ არიანო? ვინ და სემენარიელები. ვინ უფრო ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა სოფელში? ამანა, ამანა, ამანა. ერთი-ერთმანეთზე ბევრი. იჩუჩუნეთ, საწყალო სემენარიელებო, ეგება მართლა გააკეთოთ რამე!!?....

10 თებერვალი.

გუშინ საღამოს, მეორელებმა წარმოადგინეს "ცოლი თუ გინდათ, ეს არისო", ძრიელ ცუდათ; ამის მიზეზი: როლების დაუსწავლებლობა და სიმთვრალეო ზოგიერთის მოქმედ პირთა. ნახევარწარმოდგენაზე სუფლიორათ იყო უ. ლუკიანოვი, ნახევარზე კი მე. იმის სუფლიორებაზე კიდევ როგორც იყო მიდიოდა საქმე, მაგრამ - ჩემსაზე – კი ღმერთი გაუწყრათ. არ ვიცი მე უფრო ძრიელ ბრალი ვარ, თუ ისინი. რაც უნდა იყოს – ეს პირველი ლაჯია ხალხში გამოსვლისა.

ამ საღამოზე წარმოვადგინეთ "ძუნწი" თ. ერისთავისა[5]. ამ წარმოდგენაში თვითონ მე ვიღე მონაწილეობა, ვასრულებდი ხამფერას როლს. თუ როგორ წარმოვადგინეთ ეს შეგიძლიანთ შეიტყოთ იქიდან, რომ ზოგნი ადარებენ მზის დაბნელების წარმოდგენასთან, ზოგნი ამჯობინებენ.

12 თებერვალი.

წუხელის იყო "სკაპენის ცუღლუტობის"[6] წარმოდგენა. წარმოადგინეს მშვენივრათ, მაგრამ ყველაზე უკეთ აასრულა სკაპენის როლი უ.ნ. ყიფიანმა.

დღეს დაადგა დიდმარხვა, ახლა ამოგვწყვეტენ სამარხვო საჭმელით და სახტარში სიარულით.

13 თებერვალი.

დღეს კუშინსკიმ[7] (ისპეხტორმა) შ. დავიდოვთანა მნახა, სახეზე შეეტყო რომ ვერაფრათ ეჭაშნიკა ესა, ვნახოთ ახლა რას იქს!

ჩვენი ახალი ეკონომი (უ. შოშიევი) ჯერჯერობით კარგათ იქცევა, მაგრამ მეშინიან, ვაი თუ მოსწყინდეს ამას ეს მისვლა მოსვლა. ფოდრაჩიკის უკან დევა, საჭმელების დახედვა, სტოლოვიაში მუდამ სიარული, და მიანებოს ყველას თავი როგორც წინანდელმა ეკონომმა. ეს სულ ასრეა, პირველათ კაცი სიხარულით ეცემა სამსახურსა, ცოტა ხნის შემდეგ გაუგრილდება გული და მიანებებს თავსა. ნათქვამია: "ახალი ცოცხი ძველზე უკეთ დაგვისო." ეს ოხერი, ძრიელ ცუდათ ვარ, საჭმელს ვერ ვინელებ, ამის გამო პირი სულ მუდამ მწარე მაქვს. ამ ოხერ სემენარიაში მომდის ეს, თორემ სოფელში კი არა.

15 თებერვალი.

ეხლამდენ დროში ქრისტიანებში ისრე ყოფილა, როცა გაუჭირდებათ რამე, ღმერთს მაშინ აღსენებენ, თუ არა და ფეხებზე ჰკიდიათ.

გუშინ აბანოში ერთ კინტო[8] ტანისამოსის დასაწყობზე იჯდა და კვნესოდა, თავს დალიქი ადგა. დალაქს ვკითხე, რა არის, რითი არის ავათ და ან რა გინდა უყო? იმან მიპასუხა: "ქალაქის ერთ ნაწილში, ერთ ქუჩაზე ერთი კარგა დიდი ქვა გდია შეყრილან გუშინ წინ ახალგაზრდა ბიჭები ამ ქვასთან და უთქვამთ: "ვინც ამ ქვას ასწემსო ერთი ზორბათ დავპატიჟოთო". სცემიან ყველანი სათითაოთ, მაგრამ ვერაფერს ვერ გამხდარან. მისულა მერმე ეს ჩემი ავათ-

მყოფი იმ ქვასთან, დაუვლია ხელი და აუწია, მაგრამ საუბედუროთ ველარც სანაძლეო მიუღეო და ველარც არაფერი, ჭიპი და ნეკლები ჩავარდნია. ახლა მე მინდა, რომ დავზილო და კოტო შამოვკიდო.” სთქვა თუ არა ესა, შეუდგა თავის ხელობის ასრულებასა. მე აღარ მიცქერია, შინ წამოვედი.

ეს ჩვენი უფროსები რამდენათ ძალას გვატანენ მარხულობითა და სახტარში სიარულითა, იმდენი უფრო ვუკუღმართდებით.

ჩემის აზრით საცა თავისუფლება არის, იქ უფრო ეკლესიაშიც გულმოდგინეთ დადიან და ღმერთსაც გულიანა ადიდებენ. ჩვენი სემენარიელები, შენ არ მომიკვდე, იმათ ღმერთი არ ახსომდეთ, ისინი ერთობ ქალებს უცქერიან, სხვა არას აკეთებენ.

17 თებერვალი.

როგორც ეტყობა ჩვენ სასულიერო წოდებას, იესო ქრისტეს სწავლა და მოქმედებანი ხელობათ გადაუკეთებიათ. დღეს გვაზიარეს. ვინ იცის რამდენი ფული შეუვიდა მღვდელს. რამდენ ოხრულათ თხოულობენ ფულს! გაზანაკით; მთავარი ცალკე, მღვდელი ცალკე და კიდევ რაღაებიც. სასულიერო წოდებაშიც ფულს პირველი ალაგი სჭერია: დღეს ყველაზე პირველათ არისტოკრატები აზიარეს.

19 თებერვალი.

გუშინ დაფიქრებული დავდიოდი ოთახში და უცბათ შემდეგმა ლექსმა მომიარა თავში

ფიქრი

ახ, როდის ვნახამ საქართველოს თავისუფალს,
და სამშობლო დროშას გაშლილს!
სამშობლოს ენას აყვავებულს!
და მის მოქალაქეთ განთავისუფლებულს.

-

ახ, მაშინ, არც მე უკან დავრჩები,
და ჩემს ხალხს ყოველ საქმეში წინ გაუძღვები;

ახ, მაშ, რათ მინდა ეს სიცოცხლე,
თუ არ შენთვის, ოხ, მამულო!

-

ოხ, სამშობლო, როდის გნახამ ფართოთ გაშლილს,
ვით გაზაფხულის ჟამს ამწვანებულს ხის ფოთოლს,
ოხ, სამშობლო შენი შვილნი მხოლოდ მაშინ დასტკბებიან,
რომელნიც აქამდისინ სხვის ტყვეობაში იღწვიან, იტანჯებიან.

-

ოხ, სამშობლო მაშინ ის დრო თავისუფლების
იქმნება ჩვენთვის დროდ სიმართლის პატიოსნების,
ვისარგებლებთ შენი შვილნი იმ თავისუფლებით,
ვით წინაპარნი ჩვენნი განთქმულნი იყვნენ ამით.

ა.გოდორია

უკაცრავათ, მე თუმცა ამას ლექსი დავარქვი, მაგრამ ეს ლექსი კი არ არის, უფრო პროზაა. არა, ერთი, მე ლექსს საიდან დავწერ მამა არ ყოფილა მელექსე და პაპა. პოეტური ნიჭი მე არა მაქვს.

დღეს ჩვენ ეკლესიაში ეგზარხოსი იონიკე[9] იყო მწირველი, წირვის შემდეგ მოლებნი გადიხადეს. დედა, დედა, რამდენი ღვდლები და გენერლები იყვნენ, იმათით იყო გატენილი ეკლესია, აფიცრებს ვიღა დასთვლის, ძაღლთუმრავლესნი იყვნენ. ღმერთო ჩემო, რამდენი ფული მოუნდება იმათ ჯამაგირს და პარადებს. ოი საწყალო ხალხის ნაშრომო მანათო, ვინ იცის რამდენჯერ გაწუწულო იმის ოფლითა! ღმერთო, რა უსამართლოება არის ქვეყანაზედ. თითოეული გენერლის ჯამაგირით, ვინ იცის რამდენ კეთილ საქმეს იქ!!

ამ სამი ოთხი დღის წინათ ჩემ ძმა აქ იყო და მე კი არა მნახა; არ ვიცი რა მიზეზითა, მაგრამ მაინც იმის მადლობელი ვარ, რომ ჩემთვის ზრუნავს როგორც შევიტყე.

21 თებერვალი.

ათს თებერვალს მოხდა ერთი შესანიშნავი ამბავი, რომელიც გავიგე გუშინ წინ ე.ი. 19 თებერვალს. ერთი შეგირდი ჩემი დიდი მტერი განა მარტო ჩემი, სუყველას ჩემის აზრებისა, ეხლახა ხელ-

ში გვყამს, მაგრაა ჩაბოქოლი, ის იქიდგან ვეღარ ამოძვრება. ის იყო ღვთის პირისგან წყეული შეჩვენებული შპიონი, ყველას გვეშინოდა იმასთან ხმას ვერ ამოვიღებდით, მაშინვე ამბავს მიუტანდა ხოლმე უმფროსებს, მაგრამ ამ შემთხვევის შემდეგ, რაღასი გვეშინიან. ხა, ხა, ხა, ხა, ხა,, უბედურს რა მოუვიდა.

მ..... ს.....

23 თებერვალი.

ჩემს ყმაწვილობის მოსაგონებლათ, ერთ დაგლეჯილ ლექსს ჩემს დღიურში დღეს ჩავწერ:

ღმერთი.
მიწყალო მე, უფალო,
ყოვლის მძლებელო;
შემინდე მე, ცოდვა ჩემნი,
ჩემს ცხოვრებაში ქნილნი

შენ განაგებ, უფალო ქვეყნად
და სჯი ყოველს ერთ გვარად;
უფალო, კაცი ქვეყნისაგან დევნილი,
შენ გან არის მიღებული.

ა. გოდორია.

ღმერთო, რამოდენა დროს გვაკარგვინებენ ამ ბერძნული და ლათინური სწავლის გულისთვინ, ნახევარ დრო სწავლისა ამათ უნდება. ნეტა ვსწავლობდეთ მაინც ხეირიანათა და ვინ ინაღვლის, მაგრამ რო ვერა ვსწავლობთ. ეგ არის უბედურება, ეს ენები რო არ იყოს, რამოდენა დრო დაგვრჩებოდა სხვა საგნების შესწავლისათვინ, ვინ დასთვლის; მაგრამ ვისაც განათლება უნდა, თვითონ უნდა მიიღოს ისა, გრამატიკები ვერსა მისცემენ.

28 თებერვალი, ოთხშაფათი

რა დავწერო ამ ჩემს დღიურში არ ვიცი ღმერთმანი. ჩვენს სემენარიის ცხოვრებაში კაცი ბევრ შესანიშნავს ვერასა ნახამს.

დღევანდელი დღე ეთანხმება ხვალინდელს, რაცა დღე რა ხდება, დარწმუნებული უნდა იყვე, რომ ხვალაც ის მოხდება. ეგებ კი ამით განირჩეოდეს რომ ისპეკტორი ან გაბრაზებული დაგვხვდება ან ტკბილათ. ღმერთო, როდის მოვრჩები ამ უმზგავს ცხოვრებას. აქ ხალხი ისე სცხოვრობენ, თითქოს ამათ თავის დღეში არც ვაი უნახამთ, არც უი. აქ ხალხი ცხოვრობენ მხიარულათ, არა ფერზედ არ ფიქრობენ, არაფრის დარდი არა აქვთ, დილით საღამომდინ ჭამაში ატარებენ დროს და ლათინურ-ბერძნულის ზეპირებაში. ერთი რაღაც უმზგავსი ყვითელი ფერი ეცვათ აქაურ შეგირდებს, თითქოს იმათ ტანში სისხლი, ახალგაზრდული სისხლი არ დიოდეს.

საწყლებო, როდის რა გეშველებათ! ამ ოდენა ხანია, ჩემ ძმას არა დაუწერია რა, ვითომც, იმის სიტყვებით ამას უშლის იმის მდგომარეობა (მასწავლებლობა სოფელში); მაგრამ გუშინღა გამოეგზავნა თბილისში დასაბეჭდათ ორი პატარა კარგი ლექსები.

4 მარტი.

ნათქვამია: "თებერვალი და მარტი წინ გედოსო, ზაფხული ნუ გგონიაო". სწორეთ ეს დღე ასრულდა, განა მარტო დღეს ანდაზები მომეტებულ ნაწილათ სრულდებიან. ქ. თბილისში 15 იანვარს იყო თოვლი თითქმის ერთი არშინის სისქე, მას უკან აღარც თოვლი, აღარც ცივი ქარი არ ყოფილა; ის თოვლი აიღო თუ არა, ყველას ეგონა, აღარც თოვლი მოვაო, აღარც სიცივე დაიჭერსო; სრული გაზაფხული დადგაო. ამას უფრო იმით ამტკიცებდნენ, რომ 24 თებერვალს იმისთანა ჟუჟუნა თბილი წვიმა იყო, როგორც მაისშიაც ძვირათ არის ხოლმე. გუშინ ექვსს საათზე რაღაცნაირი მტვრის კორიანტელი ამოვარდა, თითქოს თბილისი აფრიკის სახარაში იყოს, დილაზე კი წმინდა ცივი თოვლ-შხაპიანი ქარი. თუმცა ქალაქში თოვლი არ არის, მაგრამ გარეშემო გორები და კავკასიის მთები, რომლებზედაც აქეთის მხარით თოვლი აიღო, სრული თოვლით არიან მოფენილნი. ახლა რა არიან ანდაზები? როგორც ეტყობა, გამოკვლევა ბუნებისა და ხალხის ცხოვრების სიმართლისა. საიდან შევიდნენ ეს სიმართლენი უბრალო, გაუნათლებელ ხალხში! როგორც სჩანს, ძველ დროშიც ყოფილან

თითო ოროლა სწავლულნი, რომლებსაც გამოუკვლევია ეს სიმართლენი ბუნებაში და გარდაუციათ ხალხისთვის.

5 მარტი, ორშაბათი.

გუშინ წირვაზე პირველათა სთქვეს წრეულ სემენარიელებმა ქადაგება. იყო ნათქვამი ეხლამდენ რუსების თათბირთან შერიგებაზე უ.შ. ლუკიანოვისგან. ქადაგებას არა უჭირდა რა. კარგი იყო, რაც შეფერობს ბურსაკ-სემინარიელებს[10], ცოტაოდენი პატრიოტული სულიც უდიოდა, კარგად ლაპარაკობდა ქობულეთელებზე, მაგრამ სამწუხაროთ ქების მაგივრად, ვაი ვაგლახი მიაყენეს ავტორს. ჯერ სანამდისინ წარმოსთქვამდა ეკლესიაში რეკტორს გაესწორებინა ბევრი აზრები და ალაგები. როცა ქართველებზე ლაპარაკობდა, სულ წაეშალა, ამის გარდა ბევრი სიტყვები გაესწორებინა, მაგალითებრ: отечество-край; кавказскому победоносному войску – Русско-кавказскому победоносному войску; კიდევ ბევრი მაგისთანები, ვინ ჩამოთვლის ყველას. Что за глупость и узкость патриотизма со стороны Р[11]?!!. მაგრამ ავტორმა თავისი არ დაიშალა, ეკკლესიაში ისრე წაიკითხა, როგორც ეწერა. თქვენ წქარმოიდგინეთ, რაგვარ გააფთრდა შემოსილი რეკტორი და რაგვარ დორბლები გამოსდიოდა, მაგრამ რას იქმოდა, საკურთხევლიდან ხომ არ გამოვარდებოდა. როგორც იყო პატარა შეითმინა. მაგრამ გაათავა თუ არა ქადაგება და შევიდა საკურთხეველში, მივარდა გაკაპასებული, დაუწყო ლანძღვა. უფრო მეტს უზამდა მაგრამ დრო ნებას არ აძლევდა, და რაც ღვთის სახლში დააკლო, იქ დაუსრულა. ეგ არ დააჯერა, შეუვარდა მერმე "საკვირაო შკოლაში" და იქ ვეღარ დამშვიდდა, ანთება მოსდიოდა. ნეტა რისთვის? ეშმაკმა იცის იმის თავი. უ. ლუკიანოვმა ყურიც არ გაიბერტყა, ის ასე ცივგულათ ეკიდებოდა იმის ლაპარაკს და ლანძღვას, რომ ეს უფრო ასიებდა უბედურ რეკტორს – ლუკიანოვი[12] ასრე იმიტომ იქცეოდა, რომ აკადემიაში არ მიდის, მას რომ იქ წასვლა ნდომოდა, აგრე ვერ მოიქცეოდა.

მარტი 6.

გუშინ წინ "დროებაში" იყო სტატია გ.წერეთლისა სემენარიელებზე. ის პირველად ლაპარაკობს თავის სტატიაში სემენარიის მდგომარეობაზე, რეკტორზე, ისპექტორზე და იმათ საქმეებზე სემენარიაში. მერმე უბრუნდება ქართულ ინტელიგენტობას და არისტოკრატებს, თუ როგორ ცივგულიანთ ეკიდებიან საერთო საქმეს, შესახებ ქართველი ღვდლის შვილების აღზრდისა, მაგაში ეჭვი არ არის, რომ ინსპექტორიც და რექტორიც ყველა განათლებულ კაცს ეჯავრება მარტო ჩვენ ქალაქში კი არა, აგრეთვე რუსეთშიც. მაშ, რაღა აკლია, კითხულობს უ. წერეთელი, ჩვენს განათლებულ ხალხს იმათი კისრის მოტეხისათვის და გაუკეთესობისათვის მღვდლისშვილების მდგომარეობისა სემენარიაში!? მოთავეობა, არის პასუხი, განა არ შეუძლიანთ ერთი ორიოდე პირთ მოილაპარაკონო უ. ორბელიანთან[13] (პირველი ღენერალი) და იმან სთხოვოსო ნამესტნიკს, რომელიც უეჭველია უარს არა ჰყოფს მთელი ხალხის ინტერესსაო და გააძევებს ადმინისტრაციული წესებით? მაგრამ, იმეორებს ავტორი, მოთავეობა არ არიო.

ახლა იკითხამთ, რა არიან ეს ისპეხტორი და რეკტორი რომლებმაც ააყაყანეს მთელი საქართველო? ისინი ეკუთვნიან იმ გვართა ხალხთა, რომლების გვამშიც არ არის გრძნობა ძმათა-მოყვარეობისა, ერთობისა, პატიოსნებისა და სხვ. საჭირო არ არის ჩამოთვლა იმ საქმეებისა, რეებიც მაგათ უქნიათ სემენარიაში. ამიტომ რომ მთელმა ქვეყანამ იცის ჩვენზე უკეთ; ვიტყვი მხოლოდ იმას, თუ როგორი შეხედულება აქვთ მაგათ ქართულ შეგირდებზე სემინარიაში. ისინი უცქერიან ჩვენ ახალგაზრდობას, როგორც ველურ ხალხს, რომელსაც არ გამოუვლია ჯერ არც ერთი ფაზისი კაცობრიობის განათლებისა და რომელსაც არ შეუძლიან მიიღოს ნათელი განათლებისა, ამის გამო ყოვლის გზით ისინი სცდილობენ შეამცირონ რიცხვი შეგირდებისა და აღარ დაჰკარგონ. იმათი აზრია, ტყუილი შრომა. ესეთები არიან ჩვენი პედგაგოგიური გამზრდელნი! წარმოიდგინეთ ახლა თქვენ, თუ რა უნდა იყვნენ მაგათი შეგირდები?! მაგრამ ის არ ხდება რაც უნდა ყოფილიყო. ტყუილი არ არის ანდაზა "დაშლილი ნაყოფი უფრო ტკბილიაო". სემენარიას ბევრი კარგი შეგირდი გაუზრდია და კიდევაც გაზრდის, მაგრამ

სამწუხაროთ ამ ხანობაში სემინარიას სუსტი შეგირდები ჰყავს.

დიდი ბედი დაეცემა სემინარიას ეგ ორი პარაზიტი რომ მოაშოროს. იმედია, რომ ისეთი მხეცი არ მოვა სემინარიის ისპეხტორ-რექტორი, რომლებიც დაუშლიან შეგირდებს გარედან შემოტანილ წიგნების კითხვას, თითქოს გარეთ ცუდი აღარ არის რა! რომ არ მისცენ ცოტაოდენი თავისუფლება ან სიტყვაში, ან მოქმედებაში.

აბა მაშინ ნახამთ, თუ რა არიან სემენარიის შეგირდები და ღვდლის შვილები?!!...

8 მარტი

უეჭველია, ვისაც ჩემი დღიური მოხვდება ხელში იტყვის, ვინ ყოფილა ამის მბღაჯნელიო; საქმე არა ჰქონია რაო, რომ ამაზე უკარგამს დროება. ჩემო მკითხველო, საქმე მაგაში არ არის. ჩვენ შკოლებში ისეთნაირად გვასწავლიან, რომ არამც თუ დედა-ენას, არამედ მთელი მხრის ენასაც დაგვავიწყებენ. მეც ერთ ამისთანა შკოლაში გახლავართ. მე ვწერ ამ დღიურში ათას რასმეს. განა იმისთვის კი არა რომ შენ გაგაკვირო ჩემის აზრებით, იმისთვის რომ შევისწავლო ენა და წერა. ამაში დარწმუნდები, როცა წაიკითხამ ჩემს დღიურს, რომელშიაც ნახამ უთავბოლო აზრებს, და წინადადებებს. მაგრამ ვგონებ, კაი მნიშვნელობა უნდა ქონდეს ჩემთვინ ამ ბღაჯვას.

ახ, რა ცუდი დრო დაგვიდგა
ჩვენ უბედურ ქართველებსა!
ქართულათ ვერ ვლაპარაკობთ,
უფრო ვხმარობთ რუსულსა
---

10 მარტი შაბათი.

ერთი ჩემი ამხანაგი ხანდისხან მეტაფიზიკურ[14] ფიქრებს მიეცემა ხოლმე, აი მაგალითებრ ორიოდე იმის მეტაფიზიკობისა: “საქართველო განთავისუფლდება რუსების ქვეშევრდომობისა-

გან 1904 წელსა". თითქმის რაღა ერთი საუკუნის შემდეგ. თუმცა, ის მარწმუნებს, რომ ეს მეტაფიზიკობა არ არისო. ამას ამიტომ ვამბობო, რომ ვხედავ ევროპის და რუსეთის საქმის მდინარებასო, მაგრამ რაც უნდა მარწმუნოს, მაინც მეტაფიზიკობა არის.

ხანდისხან იმას კაი ფიქრებიც გაუვლის ხოლმე თავში შესახებ საქართველოსი: მაგ. ქართველი ახალგაზრდობა რომ რუსულ შკოლებში იღებს განათლებას რუსდებიანო და თავიანთი ენა და სამშობლო ავიწყდებათო. ეს ფრიად კარგი, ეგ ყველამ იცის რომ მაგრეა, მაგრამ აი რა მოიგონა: ქართველებს რომ ხეირი ჰქონდეთ, ქართულ სათათრეთში საშუალო ქართულ შკოლას გახსნიანო, როცა მართებლობისაგან დაშლის მიზეზი არ იქნებაო, და იქ ხეირიან განათლებას მიიღებენო ქართულ ენაზეო.

აი, რამდენათ თათრები სჯობიან რუსებს, და რამდენათ იმათ უფრო კარგათ ეყურება პედაგოგიის წესები. მანგლისის ქვემოთ ყოფილა ბერძნული სოფელი, ნაცალკა, რომლის მცხოვრებნიც დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენ ქართლში გადმოსახლდნენ. (ბერძნების და თათრების არეულობის დროს) და რომლებიც ახლა ისევ აქით მიიწევენ. "რუსებშიაც მოვტყუვდითო," იძახიან ნაცალკელები, "ისევ თათრებთან გვირჩევნიაო". უმთავრესი მიზეზი უკმაყოფილებისა, უთანასწოროთ გაყოფა მიწისა, თურმე იქაურ ნემცებს – კოლონისტებს კვამლს აძლევენ 30 დღიურს და ბერძნებს კი ათ ათს. ამის გარდაც მიწაც უნაყოფო ყოფილაო. ისინი აპირებენ დასახლებას ან ყარსის ახლო, ან ბათუმისას, ვითომ რაო, აქეთ რკინის გზა გაიყვანესო[15], და კარგათ ვივაჭრებთო. რა ხალხი არიან ეს ბერძნები! რა ნაირათ გაირჩევიან ჩვენი ქართველებისგან.

12 მარტი, ორშაბათი.

ცხრა მარტს პეტერბურგში წარმოდგენა ყოფილიყო "მზის დაბნელებისა", ქართული სტუდენტობისაგან. პუბლიკას, კარგათ მიეღოთ, თუმცა ბევრი რამე არ ეყურებოდათ-რა. მაგრამ დიდ რამედ ეჩვენებოდათ რუსებს ქართული ქცევა და მიხვრა-მოხვრა. ეს პირველი წარმოდგენაა რუსეთში ქართულ ენაზე.

მაგ დღეებშივე პეტერბურღში ერთი სტუდენტი შიმშილით მომკვდარა. აი, გამოსძვრეს რუსეთს ორთავ თვალები, რომ მაგისთანა შვილებს შიმშილით ხოცამს.

ამბობენ, ვითომც რუსეთში ყველა რედაქციებს პირობა შეუკრამთ, რომ აღარც ერთს გაზეთს არ გამოვსცემთო, თუ პატარა პრივილეგიები არ მოგვანიჭესო. საქმე დაიწყებაა! თორემ თუ დაიწყეს, უთუოდ საქმეს მოიგებენ, ამიტომ, რომ სიმართლესთან დიდხანს ფეხებს ვერ გასჭიმავს უსამართლოება..

გუშინ შევიტყე, რომ ქალაქში რაღაებსაც აპირებენ სტუდენტები, ჯერ კარგათ არა ვიცირა, გავიგებ თუ არა სუყველას დავწერ.

14 მარტი, ოთხშაბათი.

გუშინწინ, ოთახში როცა სუყველა შეგირდები წავიდნენ დასაძინებლათ, დავრჩით მე და კიდევ ორნი. ჩვენ ვლაპარაკობდით მასზე, თუ როგორ ერთ ორიოდ მხეცებს, რომლებიც აწუხებდნენ სუსტ შეგირდებს, ფრთები ჩამოვაყრევინოთ რომ ისრე ვეღარ იპარპაშონ. ამას ჩვენის აზრით აქვს დიდი მნიშვნელობა აი როგორ: როცა შეხირება მოუვათ ხოლმე აზრებზე, სუსტს და ძლიერს, თუ რომ სუსტი დასძალამს, ძლიერი რომ აღარ იცის, რა ქნას, თავის მუშტს დახედამს, და დაიწყებს ცუდი სიტყვების გამორევას; სუსტიც ვეღარ მოითმენს, ამიტომ რომ ის ლაპარაკობს მართალს, იმის წინააღმდეგ კი მხეცურს. და ეტყვის ერთ ორ სიტყვას ისიც. წინააღმდეგსაც ეგ უნდოდა: მოავლებს ხელს, მიბერტყამს და მიაგდებს კუთხეში. სიმართლემ რა მოიგო? მუშტები და ცხელი სილები! ამის გამო სუსტნი, რომლებსაც შეადგენენ კლასში მომეტებულს ნაწილს, იძულებული არიან ხოლმე, თუმცა ბევრი კარგი აზრებიც უბრუნავდეს თავში, ჩუმათ იყვნენ. ამისთანა წყობილებაზე ყოველი პროგრესი კლასში შეჩერებულია.

მეორე საგანი ჩვენი იმ ღამის ლაპარაკისა – იყვნენ შპიონები. ჩვენ კლასში არიან ორიოდ-სამიოდ შპიონები, რომლებისთვისაც ისრე გვინდა მოუხერხოთ, რომ ფრთები ვეღარ გაშალონ. თუმცა ორი მათგანი რუსები, კარგათ გვყანან დაბოჭილი (ნახე 21 თებ.) მაგრამ ჩვენ ისე გვინდა მოვახერხოთ, რომ აღარც ერთი შეგირდი

ჩვენგანი აღარ ელაპარაკებოდენ იმათ, და ყოველი იმათთაგანი გრძნობდეს, თუ რა საშიში ხალხნი არიან შპიონები.

ამისთანა ლაპარაკში რომ ვიყავით, ერთი საათი ისრე გაპარულიყო, რომ ვერა გავიგეთ რა. ამოვარდა ისპეხტორი და ის დღე თქვენ მტერს დაადგეს, რაც იმან ჩვენ დაგვაყენა. ამ დღეს უკან დამიწყო ცუდათ ცქერა და დღე აღარ გავა, რომ შენიშვნა არ მომცეს.

გუშინ ეგზარხოსი ევსევი[16] მოკვდა. ისე იმის სიკვდილი არ გამხარებია, როგორც ბერძნულ-ლათინურის მორჩენა.

15 მარტი, ხუთშაბათი.

დღეს ერთი შესანიშნავი ამბავი მოხდა ჩვენს კლასში. შევიწროებული შპიონი უ. ობოლენსკი სჩივის ისპეხტორთან, რომ მას "შპიონს" ეძახიან შეგირდები; რასაკვირველია ეს არ ესიამოვნებოდა ისპეხტორს, რადგან თვითონაც რუსია. შემოვარდა კლასში, ეცა ერთ ჩემს ამხანაგთაგანს, ბერძენ კატანოვს, და დაუწყო კითხვა, თუ რა მიზეზით ეძახის ის ობოლენსკის შპიონს. იმან უთხრა ამისათვის და იმისათვის. ინსპექტორმა ეს არ იკადრა და უთხრა, ვითომც ისე "კოვარნი" იყვეს, მერმე სხვა შეგირდებს ჰკითხა, ისინიც უძახიან თუ არა შპიონს. ყველამ "არა" უთხრეს. გაბრაზებულმა გასწია შინ. სადილით უკან დაიბარა ყველანი კატანოვიც, ობოლენსკიც და ორნი კიდეც სხვანი. კატანოვმა თავი გაიმართლა, რომ ის "კოვარნი" არ არის, ობოლენსკი ისევ შპიონათ დარჩა. - .

19 მარტი, ორშაბათი.

ძლივს გვეღირსა გაზაფხული. მოგვშორდა ცივი თბილისის ზამთარი, მაგრამ მის მაგივრათ მოვა ტვინის ამდუღებელი ზაფხული. ჯერ ზაფხული შორს არი, ვისიამოვნოთ გაზაფხულის მშვენიერის ბუნებით, აგერ ეს ერთი თვე არის, რაც ქალაქში კარგი სითბოები დაიჭირა; ბუნებამ წმინდათ გამოიღვიძა; თბილისის მოტვლეპილ მთებზე მწვანე ბალახი გამოჩნდა. ხეხილმა კუკური გამოიღო, ფრინველებმაც მოსვლა დაიწყეს, მტკვარმაც

კარგათ მოიმატა, და ბოლოს მშვენიერი თბილი ჟუჟუნა წვიმა დღეს სრულებით ააყვავებს ბუნებას, მაგრამ გაზაფხული თბილისში ისრე მშვენიერი არ არის, როგორც სოფელში, ოხ, რა მიხარიან შინ წასვლა! ვის არ უხარიან საპყრობილიდან გამოსვლა. ესრეთია ჩვენი სემინარია. გამომატვინეს ამ უაზრო საგნებმა. დათხოვნის დრო როცა მიიწურება ხოლმე, ისრე დავსუსტდები ხოლმე, რომ თუ საავადმყოფოში არ ჩავედი, ფეხებს ვეღარ გადავდგამ. ოხ, როდის იქნება ჩქარა გავსწიო შინისაკენ, საცა მივიღებ სიცოცხლეს და სიმრთელეს. მამულზე უტკბოესი რა უნდა იყვეს. ოხ, მამულო შენთვის დავღვრი წითელს სისხლს და შენს გვამში ჩავყრი ჩემს ძვლებს!?.

22 მარტი, ხუთშაფათი

გუშინ საღამოს საყვარლათ დაცურამდნენ ლაშვარდ შავი ღრუბლები ცაზედა, ხან ჰქრებოდენ, ხან ისევ სჩდებიან უფრო წინანდელზე დიდათ. დღეს დილით კი ქალაქში მშვენიერი ცივი ქარი! თოვლის სუნი მოგვდიოდა, მართლაც მთის წვერებზე თოვლი იდგა. ღმერთო, რა მოგვანდომებდა, თუ კიდევ თოვლი მოვიდოდა, მაგრამ ხალხის ანდაზა: "თებერვალი და მარტი წინ გედოსო, ზაფხულს ნუ მოელიო" აქაც მართლდება. ეს ოხერი, რა დროს თოვლია. ზეგ შინ უნდა წავიდე.

27 მარტი, სამშაფათი

ამ დღიურში იწყება დღეს ს. საღოლაშენში. ეს ორი დღე არ არის რაც აქ მოვედი ქალაქიდან და უცნაური ცუდი ამბები მეყურება. წყალმა (ვინ იცის თუ სხვა რამეცა არის) ლამის მთელი მხარე სულ ამოსწყვიტოს. ზოგი ჩემი ნაცნობნიც გაუტაცნია და ზოგნიც მეელიან. დიდი სარგებლობა მოგვიტანა ამ ომმა![17] მთელი რუსეთის იმპერია ჭირით არის მოდებული. გუშინ ფცის წყალმა ხიდი დაშალა. როცა ზედ ფაიტონი შედგა ის ოხერი მაშინ ჩაწვა, ორი ცხენი დაიხრჩო და ერთი ქალი; მეფაეტონე და მეორე ქალი გადარჩნენ. სიცივეები ძალიან ცუდი არიან. თითქოს ღმერთი გვჯიბრობს, რომ უფრო მეტი ხალხი გაწყდესო თვალითგან.

დღეს დილას ს. წვერში ერთი ქალი ქადაგათ დაცემულა. იმას ბევრი ულაპარაკნია მაზედ, რომ ვენახის თავზე ხატიაო ამოწყვეტას გიპირებთო, თუ მე ოთახს არ დამადგამთო. ახლა რა არის ეს ქადაგად დაცემა და რათ მომეტებულ ნაწილად ქადაგად ეცემიან ქალები? (ქადაგად დაცემული ქალი არის ახალგაზდა 28 წლისა.) რა არის მიზეზი და როგორ ხდება? მე ამ ნაირ კითხვებზე პასუხის მოცემა არ შემიძლიან, რადგანაც ტეოლოგი არა ვარ, მე მგონი ამ ნაირ კითხვებზე ტეოლოგსაც კი გაუჭირდეს ხეირიანი პასუხის მიცემა. მე ყოვლის მხრით ვეცდები ამ მიზეზების გაგებას და მერმე ჩავწერ ჩემს უბრალო - დღიურში.

30 მარტი, პარასკები.

ეს ორი სამი დღე არის, ცოტა უფრო კარგი დარები დაიჭირა, მინდორი სულ ამწვანდა, მაგრამ ხეხილს ჯერ კარგათ კუკური არ გამოუღია, ტყემლისა და ატმის გარდა. გუშინ გორს ვიყავი, ისეთი შესანიშნავი არა მინახამ რა, რომ ჩემს დღიურში ჩამეწერა, გარდა იმისა, რომ ჩემი ძველი სახლის პატრონი სულ გაღარიბებულა. ერთი ორი კარგი მეგობარებიც ვნახე. დღეს დილით ერთი კორესპონდეცია დავწერე ფცის[18] წყლის გამო, თუმცა ძრიელ გლახა არის, მაგრამ მაინც პირველი ნაწერი არის. აღდგომაც მოდის! ვნახო როგორ მიიღებენ ჩვენი ქართველები.

31 მარტი, შაფათი.

რა ნაირათ განირჩევა სოფლის ცხოვრება ქალაქში, ბურსაში ცხოვრებიდგან! Там однообразие убивает человека, напротив здесь – жизнь полна разнообразьями. Там человек находится в сонливом положении, здесь душа бодрствует; и весело и скучно!

ამიტომაც აქ დღე არ გავა, რომ იმისთანას არას შევხედე, რაც ღირსი არ იყვეს დღიურში ჩაწერისა – გუშინ ჩვენი მოჯამაგირე ტყეში იყო და ორ ოსს კარგათ მიებერტყათ. საქმე როგორ ყოფილიყო: როცა ის ურემზე შეშას უდებდა, იმ დროს ორთავ მხრიდან მოდიან ორი ოსები, ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს და ბიჭს უთხრეს: გადმოყარე ურმიდან შეშაო და ცელი მოგვეციო. ბიჭმა

უარ ჰყო. მაშინ ერთი კარგი უდეს ზურგში ჯოხი, მეორეც ზედ დააყოლეს: უფრო ბევრს ურტყამდენ თუ მას ცული არ ეშიშვლებინა. როცა იძრო, მხოლოდ მაშინ დაანებეს თავი და წავიდნენ. ეტყობა ჯერ კიდევ ბლომათ ყოფილან ჩვენში ავაზაკები და ოსები ჯერ კარგათ არ მიეჩვიენ პატიოსნურ შრომას.

დღეს შაფათია და ხვალ აღდგომა. ჩვენებს დიდი მომზადება აქვთ. სახლს ასუფთავებენ და თვითონაც სუფთავდებიან. ეტყობათ წმინდის გულით მოელიან ქრისტეს აღდგომას. კვერცხებიც ბლომათ დაღებეს; დილას აქეთ ბიჭებს ზარის რეკა არ შეუწყვეტიათ – სულ დიდი აღდგომის ნიშნებია!

კიდევ სიკვდილი, სიკვდილი! ღმერთო, აღარ ილევა! დღეს მამა ჩემი დირფშია მიწვეული. დღე არ გადის, რომ მკვდარი არ იყოს ამ ოთხე ხუთს სოფელში. ეს სულ ომის ბრალია!

5 აპრილი[19]

ეს ხუთი დღე გავიდა აპრილისა, და დღიურში არა ჩაწერილა რა. სწორე ვთქვა, მისთანაც არა ყოფილა ამ დღეებში, რომ ჩამეწერა. ისე გაიარეს ამ უქმეებმა, როგორც სხვა დროს. აღდგომა (კვირას), გარეგნობას (ორშაფათს), სამებობის (სამშაფათს).

9 კათათვე 1879 წელს

[აქ დასრულდა I წიგნი[20]

II წიგნი

1879

10 აპრილი[21]

9 აპრილი, ორშაბათი

ქ. თბილისში დავბრუნდი სოფლიდამ 9 აპრილს. ჯერ ისევ ვაგონში ვისხედით, რომ ათას ნაირი მშვენიერი და საძაგელი ამბები შევიტყეთ. ანგრე კარგია ქალაქებში ცხოვრება, თუ რომ კაცს სურს უგდოს ყური და ადევნოს თვალი ევროპულ განათლებას და მოძრაობას. იმ ორი კვირის განმავლობაში სრულებით არა შემიტყვიარა. აქ ჩამოვედი თუ არა, ათას ნაირი ამბები! პირველი, რომ რუსების ხელმწიფეს ხუთ ჯერ რევოლვერი დაახალეს ორს აპრილს და ვერ მოჰკლეს[22]. მსროლელი იყო სოფლის მასწავლებელი უ. სოლოვიოვი. მეორე, როგორც პირველის შედეგი, დაარსება თორმეტის პოლიციის ღუბერნატორებისა და მათ მინისტრათ ლორის-მელიქოვი, როგორც ამბობენ. მესამე, სასულიერო სემენარიელებს, აღუკრძალეს უნივერსიტეტებში შესვლა, რადგანაც მართებლობა მომეტებულ ნაწილად ცუდს საქმეებს (იმათი აზრით) და სოციალისტობას მათ აბრალებს. გაზეთ "საეკლესიო მახარობელი"[23] ძრიენ ერთგულად ამართლებს თავის შეგირდებს და მაგასთან ამ მოქმედებებს აწერდა ღემნაზიელებს, რეალისტებს და სხვას.

11 აპრილი, ოთხშაფათი

სიზმარი ათს აპრილს 1879 წელსა.

დილის ოთხს საათზე, როცა ძილი "ცოლის მზითევს სჯობიან."

"ვითამ მე საწერ სტოლთან ვიჯექი და ჩემის დღიურისთვის პროგრამმას ვამზადებდი. პროგრამმის შემდეგ ერთი პატარა სტატია დავწერე, რომელშიაც ჩვენს მასწავლებლებს ვარჩევდი და ზოგს იმათგანს ძრიელ ვლანძღამდი, უფრო მომეტებულათ ილანძღებოდნენ რეკტორი და კუშინსკი. ამეების წერაში რომ ვიყავ, უცფათ სტენკოვსკი (კედლაძე, როგორც ეძახიან შეგირდები) ერთი ზედამხედველთაგანი, ზედ წამომაწყდა და დღიური პროგრამმით გამომტაცა. ისე შევწუხდი, რომ სულ ალმული ამწვდა.

უცფათ სულ ცხადად თვალ წინ წარმომიდგა ჩემი მომავალი,

თუ როგორ ჩემი დედ მამა სახლიდან დამითხოვენ ჩემი სემენარიიდამ გამოგდების შემდეგ; თუ როგორ სუბუქნი ნათესავთაგანი ჩემი აზრის კვალს მიჩვენებენ ანდაზით "ცხენი ცხენთან დააბიო, ან ფერს იცვლის, ან ხასიათსო". საწყლებმა ის კი არ იციან, რომ ის წმინდა აზრებისთვინ დაითხოვეს და იმის მიბაძვა უფრო საქებური უნდა იყვეს, სირამ დასაცინი! იესო ქრისტემ სთქვა თავის მტრებზე: "არ იციან, რას შვრებიან." მეც მაგას ვიმეორებ. ეგ არა ფერი, საზიზღი ის იქნებოდა მაგათ გამორიცხვაზე რომ კაცს სიმართლისთვინ აკლებენ სწავლას. (მე თუ ჩვენ მასწავლებლებს ვლანძღამ მაგაში დასაძრახი რა არის, წუწკები არიან და ვლანძღამ?) თან იმის იმედიც მქონდა, რომ ისრე სულელები ხომ არარიან მეთქი, რომ ერთი უბრალო სტატიის გულისთვინ დამითხოვონ მეთქი; პროგრამმა ხომ სულ უბრალო იყო.

მაგ ფიქრებში რომ ვიყავი უცფეთ ვეცი ზედამხედველს და გამოვგლიჯე ხელიდამ დღიურიც და პროგრამმაც, რომელსაც კითხულობდა. ის წამოეტანა დღიურს წასართმევათ, მაგრამ მე ისე დავფლითე, რომ ერთ აბზაცსაც ვეღარ ამოიგნებდა, ვისთვისაც უნდა მიეტანა. ეს გახლდათ ჩემი სიზმარი 10 აპრილს 1879 წელსა.

13 აპრილი, პარასკები.

გარჩევა კუშინსკის სიტყვისა, რომელიც წარმოთქვა 8 საათზე საღამოთი 12 აპრილს 1879 წელს. სემენარიელების უნივერსიტეტში შესვლის აღკრძალვის თაობაზე.

ჩვენმა პატიოსანმა ისპეკტორმა საქმე იქიდან დაიწყო, რომ შეგირდებს გამოუცხადა ერთებს (1) იღებთ ძრიელო, ზარმაცები ხართო, (ეს მართალი არის. ჩვენ კლასში მომეტებული ნაწილი ცუდათ სწავლობს), მაგრამ ცუდათ რომ სწავლობენ, ვისი ბრალია? მაგისი და ჩვენი უტვინო მასწავლებლებისა! მერმე მანდედგან ლანძღვას შეუდგა: ცუდები ხართო, შეუპოვრები, უფროსებისა არა გეყურებათ რაო, თქვენისთანა შეგირდები ჯერ პირველ კლასში არა ყოფილანო (ეგ ჯერაც არ გვითქვამ?!). სჩივით რომ თავისუფლება არა გვაქვსო, თავისუფლების მოხმარება არ იცითო, გაფუჭდებითო და იმიტომ არ გაძლევთო,

მართლია, ზოგმა არ იცის, მაგრამ ერთი ორისათვის ამოდენა ხალხი მოაკლონ თავისუფებას! უფ, ეს მეტის მეტობა არის! (გუშინ წინ ბერძნულის მასწავლებელთან ლაპარაკი გვქონდა მაზედ, თუ რა მიზეზია სემენარიელების უნივერსიტეტში შესვლის აღკრძალვა; სხვათა შორის ისიც უთხარით, რომ ჩვენ სრულებით არა გვაქვს თავისუფლება, გაზეთის კითხვასაც გვიშლიან, ქართულს არ გვასწავლიან და სხვ. მაგ მხეცს ესეები სულ ისპეხტორისთვის მიუტანია, როგორც სჩანს საქმიდან. შენშიც მოვტყუვდით უ. გრიაზნოვო!) სემინარიის დანიშნულება და პირველი მიზანი ის არისო, რომ პატიოსანი, სვინდისიანი ღვდლები და მამულისშვილები დაზარდოს (შე უტვინო, აბა მაგისთანა კაცების დაზრდას უნდა თავისუფლება, თორემ მხეცებს რა ჩემ ფეხებათ უნდათ!). მე თქვენისთანა ამპარტავანი და წარმოდგენიანი შეგირდები ჩემს დღეში არ მინახამს, თხუთმეტი წელიწადი მასწავლებლის პროფესიას ვადგევარ; სტავროპოლის ღიმნაზიაში, ქალების ღიმნაზიაში, სამასწავლებლო ინსტიტუტში ვიყავი და თქვენისთანა შეგირდების ცქერაც მიჭირს.

აი რა მიზეზი შემოიტანა თავის აზრით, ჩვენს სიგიჟისა: თქვენ რომ სოფლებში მიდიხართო, იქ თქვენი დედ მამა გაქებენო, თქვენც წარმოგიდგენიანთო და ხეირიანათ ყურადღებას აღარ აქცევთ საქმეს და თქვენ წესებს. ამ ნაირი შენიშვნა თითქმის მართალია. არიან ჩვენშიც ბევრი იმისთანა შეგირდები, რომლებსაც როგორც ყვავს ფარშავანგის ფრთებში თავის თავი ფარშავანგი ეგონა, ეტყვიან წასაქეზებლათ "ყოჩაღები ხართ" და იმათ წარმოუდგენიათ თავიანთი თავები გმირათ, რომლის ჭკუა-გონება შეიცავს ევროპის სწავლა-განათლებას: ეგ ფრიად კარგი, მაგრამ ყველაზე ხომ არ უნდა ვთქვათ, იმიტომ რომ ეგ სიტყვები პატიოსანი კაცისთვინ შესარცხვენია და ლაფდასასხმელია; თითქოს ჩვენ იმისთვინ ვსწავლობდეთ, რომ სხვებმა გვაქონ!. მანდედან ჩვენი ორატორი შეეხო ჩვენს მომავალს, თუ რა ნაირათ უნდა მოვემზადოთ, გავსწვრთნათ ჩვენი თავი იმის მისაღებათ, (თემა მშვენიერია, ვნახოთ რას იტყვის!!) სემენარიელებს აქამდისინ გზა გახსნილი ჰქონდათ მაღალ სასწავლებლებში – უნივესრიტეტებში, ინსტიტუტებში, ახლა მაგას მოაკლდენო. თქვენ აღარაფერი დაგრჩებათ რაო, გარდა ღვდლური პროფესიისა. მეტი

ჯანი არ არის, ღვდლებათ წახვალთო, ამიტომაც ერთგულათ უნდა მიჰყოთ ხელი სწავლასა, რადგანაც სოფლის გაუნათლებელი ხალხი თქვენგან მოელის განათლებასო (ამის ასრულებას ფრიად დიდი შრომა და განათლება უნდა, მერმე ახლამთ ჩვენს ბედუინებს[24] (შეგირდებს) თან განათლება, თან შრომის ძალა!) მერე ახლა კითხვა იმაშია; რა უნდა ვისწავლოთ? ლათინური, ბერძნული, სამღრთო წერილი?! მაგ საგნით, შე უტვინო, ხალხის განმანათლებელი უნდა გავხდეთ?! განა შენ გეყურება "ხალხის განათლება"?! ბიჭო, ხალხის განმანათლებელი როგორ უნდა გახდნენ შენი შეგირდები, როცა გაზეთის კითხვაზედაც კი რიცხამ, როცა უბრალო ქართული წიგნის კითხვას უშლი: თქვენის აზრით ამისთანა შეგირდი საშიშიაო, რევოლუციონერიაო, ბუნტოვშჩიკიაო და ღმერთმა იცის თქვენი თავი რანაირ სახელს არ არქმევთ საწყალ შეგირდებს, რომ უფრო შეგირდის გამორიცხვა იყვეს «на основании закона». ბიჭო, თქვენის შკოლით როგორი განმანათლებელი უნდა გამოიყვანოთ ქართველის ხალხისა, როცა ერთ სიტყვას ქართულათ არ ასწავლით! კიტაიურათ თუ დაუწყებენ ლაპარაკს! მე ეს სრულებით არ მეყურება, ძრიელ გასაკვირველია!.

უ. ისპეხტორო, თუ ჩვენთვის კარგი გინდოდა, ანგრე გიჟურათ კი არ უნდა გელაპარაკნა, ანგრე გულები კი არ უნდა დაგეხეთქნა ჩვენთვის (ზოგიერთისთვინ). არა შენ უნდა შემოსულიყავ ჩვენს ოთახში; როგორც პატიოსანი კაცი, გულის მტკივნეულებით, რომ დაგვენახა ჩვენ, თუ რა ნაირათ თანაუგრძნობს ჩვენი უმფროსი ჩვენს მწუხარებებს. მაშინ შენ სიტყვიერად, შენ მიხვრა-მოხვრასაც მნიშვნელობა ექნებოდა. კუდიანო, რაც გინდოდა, ის ნელ-ნელა სრულდება. ზოგი შეგირდნი თავებს იხოცავენ გაკვეთილების დაზეპირებაში, რომლებსაც აქამდისინ ცოტა სურვილი ჰქონდათ მათი სწავლისა იმ აზრით, რომ სადღა უნდა წავიდეთო თუ არ ღვდლებათო, კაი აზრია!!

სულ რაც უნდა ცუდი იყვეს ეხლანდელი მაგის სიტყვა, მაინც წინანდელებს სჯობიან. ეხლა სწავლა მაინც გვირჩია, კვლავ სულ ლანძღვა და ლანძღვა ....

13 აპ. 10 საათი საღამოზე.

17 აპრილი, სამშაფათი.

ძრიელ ცუდი სიცხეები სცოდნია თბილისში. ჯერ აპრილი არ გასულა, იმისთანა სიცხეებია, თიბათვეში ან კათათვეში რაღა უნდა იყვეს! ამისთანა სიცხეში მეცადინეობა ძრიელ გასაჭირია განსაკუთრებით ჩვენ სემენარიაში, სადაც კაცს ტვინი უდუღდება. ამისთანა სიცხეში, როგორც ვხედამ, ქალაქში განა თუ მარტო სწავლა იქნება ძნელი, არამედ სხვა ნაირი შრომაც უნდა ძნელი იყვეს აქ. აქ გაზაფხულსაც ძრიენ ადრე იჭერს; მე რომ შინიდან (სააღდგომოთ) აქ ჩამოვედი, ხეხილები სულ გაფოთლილნი იყვნენ, თუმცა სოფელში კუკური ძლივს იყო გამოსული. ჩემზეც ცუდათ იმოქმედა ამ სიცხემ, წერა და ხეირიანი კითხვა სულ გაძნელდა, მაგრამ რადგანაც დღეს ჩემი დღეობა არის, გულმა მოიმხიარულა და ჩავწერ დღიურში ერთ უბრალო მოთხრობას, ნაამბობს უ. დიონისესგან.

“ერთმა აზნაურმა სადღაც იპოვნა მამლის კვერცხი (ეს ტყუილია, მამალი კვერცხს ვერ დასდებს, ეს იქნება ბუნების წინააღმდეგი, თუმცა ეს ცრუ მორწმუნება გავრცელებულია მთელს საქართველოში;) წავიდა და კრუხს შეუდო. ქართველებში ამისთანა რწმუნება არის კვერცხებზედ, რომ ვინც იპოვნისო, რამდენისამე კრუხს უნდა გამოევლოსო ქვეშ და მერმე ერთ-ერთს დაუდოსო; კრუხი იმ კვერცხიდან წიწილას კი არ გამოჩეკს, ოქროს ერკემალს[25]. ჩვენი აზნაურიც ერთი იმათგანი იყო, რომელსაც ესა სჯეროდა, როცა ის სკივრიდან იღებდა ჩუმათ (ისიც ნათქვამია, არავის უნდა აჩვენოსო). ცოლმა შენიშნა, მაგრამ არაფერი უთხრა, და კრუხს ჩუმათ დაუდო. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, განაგრძელა დიონისემ, იმ აზნაურის მდგომარეობა, თუ რა ნაირი ფიქრები მოსდიოდა თავში (ისიც ნათქვამია, იმ კვერცხზედ რომ როცა ოქროს ბატკანი გამოვა, მის პატრონი რასაც ინატრებს ის სულ აუხდება) მუდამ ღამე ეძლევოდა ხოლმე თავის საყვარელ ოცნებებს, თუ როდის გამომიტანს ჩემი კრუხი ოქროს ბატკანს; მერმე რას არ ვიქ, ღმერთო, მარმარილოს სახლებს ავიშენებ, მშვენიერს ორს ეკლესიას კარს წინ, შევისყიდი დიდს მამულებსა, ერთი სიტყვით საქართველოს მეფე ვიქნებიო! შენც, ყმაწვილო, წელიწადში ორას თუმანს გამოგიგზავნი ხოლმე, სამზღვარს გა-

რეთ რომ წახვალო, მომიბრუნდა მე და ამ ნაირი იმედი მომცა. მე გამეცინა, სთქვა დიონისემ, და შევხედე ჩემს ბიძაშვილს, რომელიც ჩემს წინ სუფრაზე იჯდა, მაგრამ სიცილი მალე შევიკავე, და მთხრობელს არ შევატყობინე ჩემს დაცინვაზე.

საუბედუროთ, განაგრძელა დიონისემ, ერთხელ მისი ცოლი მივიდა კრუხთან, გაუსინჯა კვერცხები, ჩვეულებისამებრ და იმ პატარა, შესანიშნავ კვერცხსაც მოჰკრა თვალი. საწყალმა, რა იცოდა, თუ მაგისთანა საქმეს უშვრებოდა თავის ქმარს, ან რა იცოდა იმ კვერცხის ძალა!

ერთხელ, გულმა ვეღარ მოუთმინა თითქმის მის ბიქარებით გაგიჟებულს აზნაურს, წავიდა კვერცხის სანახავათ. მის უბედურებას, კვერცხი გალაყებული დახვდა! მიუვიდა ბრაზები, გაცეცხლდა კაცი, არ იცოდა, რა ექნა! უთოოთ ვიღაცას უნახამსო, ამბობდა გაშფოთებული კაცი. ავარდა სახლში, ცოლის სანახავათ, შინ არ დახვდა: მოახსენეს, "სხვაგან წაბრძანდაო". წავიდა იქაც. მისი ცოლი მხიარულ თამაშში იყო. მივიდა ახლოს, არა ფერს არ მოერიდა, ისრე იყო გაჯავრებული, და კარგათ გამოლანძღა. ცოლს უკვირდა, თუ რა დაემართა მის ქმარს, მაგრამ როცა მიზეზი შეიტყო, პატიობა მოსთხოვა უცოდინარობის გამო. აზნაური ამრეზილი წამოვიდა. ერთი თვის შემდეგ როცა გული დაუცხრა, ერთს იმისთანა სადილზე, როცა ეს მთელი მოთხრობა იყო, გულდაწყვეტილმა მითხრა: (ამბობს დიონისე) მე რომ ერთი კვირის წინ სარამ გალაყდებოდა თვითონ კვერცხში გამოხატული ერკემალი არ მენახა, როდი დავიტირებდიო, მაგრამ რაკიღა ის ვნახე, მაგის შემდეგ გული მიკვდება ხოლმე, მის მოგონებაზე.

ამით დაასრულა ჩვენმა პატიოსანმა და დიდათ წარჩინებულმა უ. დიონისემ ეს ფრიად შესანიშნავი მოთხრობა ქართლის ცხოვრებიდამ. ეს მოთხრობა წმინდათ და ცხადათ გვაჩვენებს, თუ რა ნაირათ არის განათლებული ჩვენი საზოგადოება. განა თუ მარტო პატარა ხალხი, ანუ გლეხობა, არამედ ის კლასიც ხალხისა, რომელსაც ეძახიან საშუალოს. თუ ჩვენს საშუალო საზოგადოებაში მაგისთანა პირები იპოვებიან, რომლებმაც იმდენითაც არ იციან ესტესტვენა ისტორია, რომ მამლები კვერცხებს არა სდებენ და თუ კიდეც დასდებენ (რაც ბუნების წინააღმდეგი იქნება) მაგისთანა ძალა არ ექნება; გლეხობას რაღა მოეთხოვება მაგის-

თანა ბატონების ხელში! შკოლები სოფლებში არ არიან, ხალხის განათლება რჩებათ ღვდლებსა. ხეირიან ღვდლებს სად ვიშოვით? ჩვენი სემენარია იმისთანა შვილებს უშვებს, რომ სახლის განათლებას კი არა, ორ ღორსაც არ მივაბარებ! როდის შეიცვლება ჩვენი სემენარიის წყობილება!

აპრილის 25, ოთხშაფათი.

ეს ერთი კვირაა თითქმის, რაც აღარა მიწერია რა, თუმცა შესანიშნავი ჩასაწერი ამბები ბევრი იყო. დღიურის დარდი ვის ჰქონდა, ევროპიის გულის ძგერამ მიიტაცა ახალგაზრდები, რომლებიც მოუთმენლათ მოელიან, თუ რა გვარი იქნება შედეგი ამდენ ნაირ ვაი ვაგლახისა. რესპუბლიკური პარტია ყოველ დასავლეთის სახელმწიფოში გაძლიერდა, ანგლიაში და იტალიაში კი აპირებენ რევოლუციას. ამის თაობაზე გერმანიამ მოინდომა შეერთებული სახელმწიფოების ძალით ემოქმედნა რესპუბლიკების წინააღმდეგ და განეფანტა კონგრესი, რომელსაც აპირებენ რესპუბლიკელები მომავალ წელს ლონდონში მაგრამ თავის საუბედუროთ ვერ მოუხდათ.

დღევანდელ გაზეთებში რუსეთს ძლიერ დასცინიან დასავლეთ-ევროპული გაზეთები. ისინი ამბობენ: "ეგ ისეთს საქმეებს სჩადის ეხლაო, რომ არც კი იყო ღირსი აღმოსავლეთის საქმეში გარევისაო. "ახალგაზრდობას ლამის ბოლო მოუღოსო, პოლიციას უმატებსო და სწავლულებს კი ამცირებსო". ეგ სულ ამ კვირის ევროპული ამბებია, ახლა, ჩვენებური, ე.ი. სემენარიული.

კვირა დღეს მე დავლიე ორ სტაქანნახევარი პივა, რაც თავის დღეში არ მომხდარა, მაშინათვე ვიგრძენი, რომ თავი ამატკივა და ღვინოსებ თითქმის დამათრო. სემენარიაში მოვედი, 4 ½ საათზე, ბილეთი ისპეხტორს მივეცი და მე ჩემს გზაზე წაველ. (პივა დავალევინე უ.მანასე კაპანაძეს და უ.დავით ალადოვთან, რომელიც კარგად გავიცან). რადგანაც ცოტა ცუდათ ვიყავ წაველ და სავადმყოფოში დავიძინე. ჩემს ძილში სამი ჩემი ამხანაგი, იმერლები, მოსულან შვიდ საათზე ზორბათ მთვრალები. ისპეხტორს შეუნიშნავს, ჩვეულებრისამებ გაჯავრებია და გამოურეკნია. ამ დღეს დეჟურნათ იყო ზედამხედველი სტენკოვსკი, ერთი რაღაც

მხეცი და დიდი ფორმალისტი. მაგ მხეცმა კინაღამ სკანდალი მოახდინა. ჩამოთრეულა სავათმყოფოში უნახივარ მძინარე და უფიქრია, რომ ვითომც მე მთვრალი ვიყო და იმ ლოთების კომპანიაში ვყოფილიყავ. ცარიელი ფიქრობა არა ფერი, დამტკიცებაც მოუნდომებია. ამისათვინ უკითხამს ერთი იმ სამთაგანისთვინ, რომელნიც მთვრალები იყვნენ: "კიპშიძეო, თქვენს კამპანიაში იყოო?" იმას, "არა" უთქვამს. ეს უცფათ მთელ სემენარიას შეუტყვია, კიპშიძე მთვრალიაო, უკვირდათ. ღვინის სმა (ცოტასი) რა დასაცინია, მაგრამ ჩვენ უმფროსებს წარმოუდგენიათ, რომ ვინც ღვინოს დალევს, ის უთოოდ ცუდია. კიდევ კარგი რომ რეკტორისთვინ არ ეთქვა იმ ღამესვე; თუ ჩვენი იეზუიტი მაგას შეიტყობდა, ის ხომ საქმეს არ გამოიკვლევს იმისთვინ სულ ერთია ტყუილი და მართალი, სწორეთ საქმე ცუდათ წავიდოდა. მეორე დღეს დილა ადრიან, რაკი ყოველის ფერი შევიტყვე გავიქეც სტენკოვსკისთან და ახსნა მოვთხოვე იმასა, რაც მას გუშინ ჩემზე საქმეები ჩაედინა. იმან თავის კატუნება დაიწყო, მე ანგრე მეგონაო. ეგ მაგ" მეგონაობით" ბევრ შეგირდს ღუპავს. სარამ სემენარიაში მაგისთანა ძაღლები არიან, რასაკვირველია, აქ კარგი ბევრი არა იქნება რა.

აპრილის 26. ხუთშაფათი.

განგრძელება გუშინდელისა. დაუბრუნდეთ ჩვენ ზედამხედველს უ.სტენკოვსკის. კვირა ღამეს, ვახშმის შემდეგ შესულა ჩვენ ოთახში, და თითქოს ისიც მთვრალი ყოფილიყო, ესეები ეთქვა: "თქვენ სემენარიის წესებს და კანონებს რათ ემდურებითო, ცუდს ამბებს რათ აწერინებთო გაზეთებშიო, ვითომც ცუდათ გაცმევენო და გასმევენ-გაჭმევენო. თქვენ ამაზე უკეთესი შინ რა გაქვთო?" ერთი მაგის მიქარვას დახედეთ რეებს ამბობს. ჯერ ეს ერთი, მაგას რა ნება აქვს, შეეხოს ჩვენ შინაურ ცხოვრებას, მეორე ესა, რომ ფული დადებულია და მაშ ის ფული სად უნდა წავიდეს? ყველამ იცის, რომ რეკტორის და იმის ამხანაგების ჯიბეში მიდის; მესამე ის, რომ მაშ მაგის აზრით, კარგ ჩაცმა დახურვას, სმა ჭამას, კარგათ შენახვას ე.ი. კარგ ჰაერში, თბილათ, როცა საჭიროა, მაშ ამეებს მნიშვნელობა არა აქვთ კაცის

სვინდისზე, პატიოსნებაზე, სწავლა, განათლებაზე? მაშ სულ ტყუილია იმოდენა სწავლულების შრომა, რომლებიც გვარიგებენ, რომ მუშა ხალხს კარგი სახლები მისცენ, კარგათ ასვან და აჭამონ, ჩააცვან და დაახურონ? თქვენ წარმოიდგინეთ ახლა, მაგისთანა ზედამხედველების ხელში, რა გვარი შეგირდები უნდა იყვნენ?

აპრილის 28. შაფათი.

საღამოს 8 ½ საათი. ვწერ, მაგრამ ნაძალადევია! ჯერ ეს ერთი, რომ ძრიელ ცუდათა ვარ, თავი მტკივა; მეორე ისა, რომ დღიურის ქონიება, დავიწყე და რომ არა ჩავწერო რა, სირცხვილი იქნება, უფრო მიტომ, რომ ჩემმა ძმამ შეიტყო; მესამე ის, რომ გული სრულებით აღარ მიმწემს წერისაკენ. ეს სამი მიზეზი მე მგონი, საკმარია, რომ აღარ მეწერა, მაგრამ ამაღამაც დავბღაჯნი რასმეს უსაქმურობის გამო. მე ეხლა აქ მოგახსენებთ ჩემი დღიურის თაობაზე და თვითონ ჩემს თავზედაც ცოტა რამეს. ჩემს დღიურს ის ხასიათი აღარ აქვს, რაც სააღდგომომდინ ჰქონდა; მაშინ თავისუფალი იყო, არავინ არ იცოდა. რაც მე მინდოდა ის იწერებოდა ახლა კი სულ სხვა არის. რაც სხვას უნდა, ის უნდა ვწერო მეც. თავის დანიშნულებას ეს რვეული ვეღარ შეასრულებს: ჩემის აზრით, დღიური აქამდისინ მით იყო კარგი რომ რასაც ვგრძნობდი, რასაც ჩემი ამხანაგები ფიქრობდნენ - სულ იწერებოდა, და მაქ წერილით, ვისაც ბოლოს ხელში მოხვდებოდა გაიგებდა თითქმის მთელი სამენარიის ცხოვრებას. (ამიტომ, რომ სულ ერთ კლასში ხო არ დავრჩებოდი). ჩემს დღიურთან მეც ძრიელ გამოვიცვალე ხასიათით. აქამდისინ ძრიელ გულჩქარი ვიყავი, ბრაზიანი და ამპარტევანი. ახლა აღარც ერთი ეს ნაწილი ხასიათებისა აღარა მაქვს, და თუმცა კი მოიპოვებიან, მაგრამ ისე კი აღარ როგორც აქამდისინ იყვნენ. ეგ ცვლილებები ძრიენ გასაკვირველი არ არის, რადგანაც რამდენადაც კაცი გაიზრდება და ბევრს ისწავლის, იმდენათაც ის უფრო კარგათ დარწმუნდება, რომ გულჩქარება და ამპარტავნობა ვერაფერ ვერ მოუტანებენ ცუდისა და ხიფათის მეტსა. ცვლილება, რომლის თქმაც მე მინდა, ეს არის: აქამდისინ, ანუ 16 წლამდინ, რაც უბრალო ბიოგრაფია

ან წიგნი წამეკითხა, სიხარულით ცაში ავფრინდებოდი ხოლმე, მაშინათვე უთოოთ იმ პირობას მოვინდომებდი ხოლმე, რომელზედაც ვკითხულობდი. ახლა კი რაც უნდა, სუყველას ცალპირით უცქერი. ეს იმიტომ, რომ მაშინ ბავში ვიყავ და ყველა მართალი მეგონა, ახლა კი ვხედამ, რომ ნაწერებშიც ბევრი ტყუილი ყოფილა. წერით ბევრი ვწერე; თქმით კი არა მითქვამს რა.

2 მაისი, ოთხშაფათი

ეს ერთი კვირაა რაც მშვენიერი, გრილი დარები დაიჭირა, ამისთანა დარებმა მე ძრიენ მარგეს. მაგრამ სიცხეები გვირჩევნიან, უფრო მალე დაგვითხოვენ. გუშინ პირველ მაისს, კარგი დიდი წვიმა იყო.

ერთ ამბავს ვსწერ, რომელიც მოხდა გუშინ წინ ჩვენ კლასში, და რომელიც შეეხება განა თუ მარტო მე, არამედ მთელს ჩვენს კლასის შეგირდებს. წარსულ ორშაფათს ბერძნულიდან დიდი გაკვეთილი გვქონდა. პირობა შევკარით ნახევრის მეტი არ მიუგოთო. ჰკითხა ერთ ორიოდ მდარე შეგირდებს, სრულებით ვერ მიუგეს ისიც რაც ჩვენ დავინიშნეთ. მერმე ააყენა ჩემი ამხანაგი და ქვემოთ ჰკითხა, იმან უთხრა, აქამდისინ ვისწავლეთო გაკვეთილის სიდიდის გამოო. მერმე სხვებმაც უთხრეს მასწავლებელს რომ ვერ შევძელითო სულ დასწავლაო. ის ძრიენ გაჯავრდა და სთქვა:” ვისაც ვკითხამ, პასუხი იმან მომცესო”. ჩემს პირველ ამხანაგს 1 დაუსვა, ახლა მე წამომაყენა; მეც ისრე უთხარ, აბა ჩემთვის ხომ თავის მოჭრა იქნებოდა, რომ მეღალატნა, მეც ის დღე დამადგა, რაც პირველს. შეეშინდათ საწყლებს სხვებს და ზოგმა უთხრეს: ვისწავლეთო! აი, ჩვენ კლასში როგორი შეგირდები არიან!!

7 მაისი. ორშაფათი

კვლავ სხვა წლებში შვიდ მაისობას სწორედ კარგი დარი ყოფილა ხოლმე და კაი მხიარულებითაც გაგვიკეთებია ეს დღე. წრეულ არც ერთი არა ყოფილა. ისეთ ნაირათ ციოდა, რომ თებერვლის მიწურულებშიც არ ყოფილა მაგისთანა სიცივე; მხიარულებაზედ და უქმობაზეთ, ნუღარას იტყვით; ან კი ვის მოუვიდოდა თავში,

თუ დღეს შვიდ მაისს ასრე ჩვენი ყველა ნელ-ნელა გვავიწყდება და მივდევთ სხვებს გაურჩევლად: ცუდია, თუ კარგია! ამაზედ გაგრძელება, მგონი არა ღირდეს; დაუბრუნდეთ ჩვენ შინაურ ცხოვრებას; ერთი წლის წინათ ჩვენი ისპეხტორი, მემგონი, შეგირდებს გარეთაც ძლივს უშვებდა, არამედ თეატრებში წარმოდგენებზე[26], წრეულ კი როცა გსურს. ეს ნების დართვა აღდგომის აქეთ გამოვიდა. როგორც შევიტყე ერთ ალაგას ქართულ ინტელიგენციას უთხოვნია მისთვის, რომ მან ნება აძლიოს სემენარიელებს თეატრებში სიარულისა ქართულ წარმოდგინებზე. მას პასუხათ მიუგია, რომ მე თავის დღეში მათთვის თეატრში წასვლა არ დამიშლიაო. (თუმცა თავის დღეში არ აუსრულებია). ახლა ისე არ მოვა ქართული წარმოდგენა, რომ სემენარიიდან ოცდა ხუთ შეგირდზე ნაკლები წავიდეს, მასაშასდამე ეხლა ერთი მეოთხედი სემენარიისა წარმოდგენებზე დადის. წარსულ პარასკებსაც იყო ქართული წარმოდგენა, რომელზედაც იმოდენავე რიცხვი სემენარიელებისა იყო.

ამ ღამეს ერთი ცოტა რამ ამბავი მოხდა. ყველამ იცის რომ დიდი ხანია მას აქეთ, რაც სემენარიაში იმისთანა მამაძაღლობა აღარ არის, რაც წინეთ ყოფილა. მაგრამ ხანდისხან მაგისთანა ცუდი ამბები აღმოჩნდება ხოლმე პირველ კლასში. პირველ კლასში გროვდებიან შეგირდები მთელი ორი გუბერნიიდან და რა გასაკვირვებია, რომ იმათში ბევრი ხასიათ გაფუჭებული იყო. მაგ ღამესაც სწორედ მაგისთანა ამბავი მოხდა. თორმეტ საათზე ერთი ჩვენგანი (თელაველი) ამდგარა. გაუქვრია სანთელი და ბნელაში მისულა ერთთან (ოზურგეთელი). ეგ შეეტყოთ ორ იმერელს; მეორე დღეს მთელმა სემენარიამ იცოდა. თუ კი მაგისთანა ამბავი მოხდა რამ, სემენარია კი არა ქალაქიც შეიტყობდა, მაგრამ მაღალი კუშინსკის გადიდებული კედლები როდი გაუშვებენ მაგისთანა ამბავს გარეთ! თქვენ წარმოიდგინეთ, თუ ჩვენთვის რანაირი სირცხვილი იქნებოდა მაგისთანა საქმის მოხდენა ჩვენ კლასში! უფრო უარესად გავგულისდით მაშინ, როცა უფროს კლასის პატიოსანმა შეგირდებმა (ზოგიერთმა) გვკითხეს: "არა გრცხვენიათ, რას ჩადით, ეგ განა მარტო თქვენი თავის მოჭრაა, არამედ მთელი სემინარიისა". შაფათს საღამოს ლოცვის შემდეგ, შევგროვდით ორიოდ-სამი და დავიწყეთ ლაპარაკი, თუ როგორ

მოუღოთ ბოლო მაგ ბოროტებას. ვილაპარაკეთ, ვილაპარაკეთ, და ბოლოს ასე გადავწყვიტეთ, რომ ვთქვათ სიტყვა ოთახში მაგ კაცის ნაკლულებანობაზედ. ჩვენი განძრახულება აღსრულებაში მოვიყვანეთ იმავე ღამეს. სიტყვის სრულიად მოყვანა სიდიდისა გამო შეუძლებელია და არც არის საჭირო. სხვათა შორის მასში იყო ნათქვამი, თუ რა მიზეზების გამო შეემთხვევათ ხოლმე შეგირდებს ეგ საქმეები. აი მიზეზები: "გამოუცდელობა, უცოდინრობა მისი, თუ რა შედეგი ექმნება მაგ საქმეს, ხასიათის გაფუჭებულება და ბოლოს ფულის ინტერესი. სიტყვა ბოლოს სთხომდა, რომ გაფრთხილდნენ და ეცადნონ თავიანთი ნამუსის და სვინდისის დაცვას, რადგანაც კაცს მაგაზე უკეთესი არა აქვს რა". სიტყვაშიაც ხომ ეწერა და პირათაც გამოუცხადეთ, რომ თუ მაგისთანა საქმეებს თავს არ დაანებებენ მაშინ ჩვენ იძულებული ვიქნებით, მთელი კლასის ინტერესის გულისთვინ ცუდათ მოვექცეთ იმ პირთ, რომელნიც ნიშს სდებენ ჩვენს ნამუსს და სინიდისს. სწორეთ რაც გვინდოდა, ის მოახდინა ჩვენმა სიტყვამ. ყველას ერთ ნაირათ მოეწონათ და მადლობა გამოუცხადეს. როგორც სჩანს, ცუდებსაც ნამუსი ძვირად ღირებია!

9 მაისი, ოთხშაფათი.

ეს სამი დღე უქმე, ღმერთო ჩვენთვის აბა ახლაა აღდგომა! ამ სამ დღეში კაბინეტში ჩავსწყდით, ბევრი ახალი ამბები შევიტყეთ, სხვათა შორის ესეც: " ანგლიაში, ვითომც, კითხვა აღუძრავთ, თუ რა უყონ რუსეთს, რომლის ხელში არის ბედი და უბედობა 90 მილიონის ხალხისა. ამ კითხვას რასაკვირველია საფრანგეთიც თანა უგრძნობს. გერმანიას კი არაფრათ მოსწონს ამისთანა კითხვის აღძვრა". მეორე ამბავი ეს არის: "ტურციიდან ჩუმათ სავაჭრო გემებზე შეაქთ ოდესაში აღკრძალული წიგნები (ბროშურკები). ეგ მართებლობამ შეიტყო და ეხლა ყველა გემს ჩხეკენ". ლამის ტურციამაც არ გაასწროს რუსეთს განათლებაში! ეს გასაკვირველიც არ არის. როცა ტურციამ კონსტიტუცია მიიღო ეგ მაშინათვე იწინასწარმეტყველეს!

11 პარასკები, მაისი

გუშინ ვის არ მოგეხსენებათ, ამაღლება იყო. ჩვენ სემენარიაშიც კაი ამბები მოხდა ერთმანეთზე. ხუთ საათზე ჩვეულებრისამებრ სემენარიაში შეგროვდნენ სუყველა შეგირდები; აკლდნენ ოთხნი ერთი ჩვენი კლასიდან, ორი მეორედან, ერთიც მეხუთედან (ცისკაროვი). ისპეხტორმა იკითხა, არ არიანო უთხრეს. წავიდა სახლში, მზის ჩასვლამდინ არ გამოსულა, მზის ჩასვლის შემდეგ ამოვიდა, იკითხა, კიდევ არ არიან. გაიარ გამოიარა ბალკონზე, ისევ წავიდა შინ, პატარა ხანს უკან. კიდევ ამოვიდა და არც მაშინ იყვნენ. ბოლოს როცა ვახშამზე მივდიოდით 9 საათზე, მაშინ მოვიდნენ. ისპეხტორმა ჯერ "ლოთები" დაუძახა და მერმე ჰკითხა სად იყავითო. იმათ უთხრეს ცირკშიო ბეკვერის წარმოდგენაზე რომელიც ცოცხალს კაცს თავს ჭრის და ისევ აბამს. საწყლები ძრიენ არ იყვნენ მთვრალები, მაგრამ კუშინსკის რა დააჯერებს! იმან თავისებურთ წაიყვანა საქმე და რას იქს, არ ვიცით: სახემწიფო ხარჯიდან უპირებს მე მგონი დათხოვნას.

12 მაისი, შაფათი

ჩვენი ისპეხტორი მაგ ამბის შემდეგ ძრიენ გაჯავრებული არის. თითქოს ამ მთელი წლის განმავლობაში სულ ეძინაო, და ახლა უცფათ გამოიღვიძაო! გუშინ წინაც, გუშინ საღამოს, (ლოცვებზე ვახშმის შემდეგ) გამოგვიცხადა, რომ პაპიროზის წევას თავი დაანებონ, და თუ თავს ჭკვიანათ და თავის ნებით არ დაანებებენ თავს, მერმე ის სულ სხვა ნაირათ მოიქცევა. განსაკუთრებით ჩვენ პირველის ახალგაზრდობას ემუქრება. გუშინ წინ მან თავისი სიტყვა ასე დააბოლოვა ირონიით: "მომავალი ახალგაზრდობა, იმედი სამშობლოსიო! კაცმა სწორე სთქვას, ზოგჯერ ისპეხტორი მართალსაც იტყვის ხოლმე, მაგრამ ვიღა გაუგონებს. ყველა იმის დარიგების შემდეგ იძახიან ხოლმე: ყბედი ვინ მოღალა და მუნჯმაო!." დღეს ისპეხტორი ერთი შეგირდის საქმეს იძიებს. მაგ შეგირდს ერთი-ორმა შპიონი დაუძახეს (მართლა შპიონი არის განა!). იმან, წავიდა და დააბეზღა. ისპეხტორი ღობე ყორეს მიაწყდა და რას იქს არ ვიცით. წერა მეზარება, თორემ ამ ორ

სამ დღეში მთელი ისტორია შეიძლებოდა დამეწერა. ამ ორ სამ დღეში რაღაც ვაი ვაგლახია სემენარიაში.

20 მაისი. კვირა!

დილის ექვსი საათი. ეს ერთი კვირაზე მეტი არის რაც დღიურში აღარაფერი დამიწერია; და ან კი რა უნდა დამეწერა! ისპეხტორი თავისებურათ ზამთრულ, ცხოველურ ძილს მიეცა და როგორ გადასწყვიტა ზემოთ მოხსენებული შეგირდების საქმე არავინ ვიცით. სხვა მხრით შესანიშნავს ვერას ნახამ სემენარიაში რომ კაცმა ილაპარაკოს მასზედ; თითქმის ყველა კლასში ორ-ოლი ღიმნაზიის პროღრამას მანიჭებენ და თითქოს .... [27]

გუშინ წინ ბალკონზე გადაყუდული ქართულ წიგნს "ჯერ დაიხოცნენ მერმე დაქორწინდნენ"[28] ვკითხულობდი. ჩემთან მოვიდა ერთი მესამელი და დამიწყო ლაპარაკი, პატარა ხანს რომ ვილაპარაკეთ მერმე მკითხა შენ ამ ხანებში როგორ ხარო? ძრიენ კარგათ! მეთქი. .....

მერმე მე უთხარი: მაგის ასრულება შეუძლებელია შემდეგი მიზეზების გამო: პირველი ხელით აშვერა. შეგირდები მალი მალ იშვერს ხელს მასწავლებელი მაგისთანებით აფასებს, მაშასადამე კარგ ბალს დაუსვამს. რადგანაც ხელს მაშინ იშვერს შეგირდი როცა კარგათ იცის. რომელი შეგირდიც გაკვეთილებს მნიშვნელობას აძლევს, აბა რა სისულელეა რა ქნას რო ხელი არ აიშვიროს და კაი 5 არ ჩაიკრას. ჩემის აზრით მე ვგონებ რომ ეს იმისთანა შეგირდები არიან, არც ჩვენ არც თქვენ! პარტიაში რომელსაც არა სურდეს კოხტა 5 მიღება, მარტო იმ აზრით რომ ჩემ ამხანაგს ვაწყენო. მეორე: რა არის ჩვენი ბუნება? თქვენ დამეთანხმებით იმაში, რომ ყოველს ჩვენგანს რაც როდესმე შეუძენია რამე და რადგანაც მასწავლებელი ჩვენზე კარგად დააფასებს ამას, ამის გამო შეგირდსაც მასწავლებელთან სურს თავისი აზრის წარმოთქმა და თუ გსურთ, რომ ხელის აშვერა აღარ იყვეს, მიტომ რომ ამას ზარალი მოაქვს მათთვინ ვინც კარგად ვერა სწავლობს დაფიქრდით რას უშვებით იმათ ვინც კარგად სწავლობს? თქვენი ხათრით არ იქნება მუდამ თავისუფლებას შეუვიწროებთ რომ კაცს უნდოდეს ის ვეღარ სთქვას, თქვენ ეს იცოდეთ ამას ვინ

მოგიწონებთ. მესამე:” მასწავლებელი თხოულობს. რითი გინდა თქვენ: დააკმაყოფილოთ, რომ ხელი აღარ აიშვიროთ. გაკვეთილს გთხოვს – ასრულებ. ხელის აშვერას გიხმობს – არ ასრულებ. რა მიზეზით არა! მე ვგონებ მიზეზს ვერ იპოვნით. ვისაც სემენარიაში ყოფნა უნდა, ცუდათ თუ ბევრად უფროსების ბრძანება უნდა აასრულო. ამ ჩემის ლაპარაკიდნ, როგორც ჩანს შემდეგი დასკვნა გამოუყვანოთ: ვითომც მე მსურდეს ხელის აშვერა. მე ეს არ მინდოდეს, რაც იმათ არა! თანაუგრძნობდე იმათ ინტერესებს და სხვა. თუ იმათ ჩემს ლაპარაკიდან მაგნაირი დასკვნა გამოიყვანეს ძრიენ სცდებიან. მე თავის დღეშიც ის არა ვარ, რაც მათ ეპიტეტებითაც მაგათ შემამკეს, მე მხოლოდ ხელის აშვერის აუცილებლობას ვამტკიცებდი არც მეტს და არც ნაკლებს.

მაგ მეორე ხასიათის ნაკლულევანებაზე ე.ი. ამპარტავნებაზე, არ ვიცი, ღმერთმანი რა ვთქვა. დაბადებიდან ამ დრომდისი ყველა ამპარტავანს მეძახიან.

უთოოთ ეგ უნდა ვიყო, თორემ რაღაც ყველას თვალები ეხვევა და ვერ მცნობს. მაგრამ არა მჯერა რომ ამპარტავანი ვიყო, ცდებიან ყველანი. ვინ მეძახის აბა ამპარტავანს? უვიცი ხალხი, რას იძახებს?

ავიღოთ მაგალითებრ ჩემი ამხანაგები: ან საიდან შეადგინეს მაგათ ჩემზე ამისთანა აზრი? აი საიდან: მე მაგათთანა უსაქმური არა ვარ, მაგათსეებ დროს ტიტინში არ ვატარებ. როცა ისინი ჯგუფ-ჯგუფად მოჰყვებიან ლაპარაკს გოგოებზე და ბალებზე, რასაკვირველია თუ მაშინ ახლო გავლა მომიხდა, ზედაც არ შევხედამ, და შიგ არ ჩავერევი იმ ჯგუფში და ირონიით ჩემ გზაზე წავალ. როცა მე რასმეს ვაკეთებ ან ვწერ, ან გულიანად ვკითხულობ მოვა რომელიმე ბედუინი და მეტყვის: ”ბერძნული ან სვიაშ-ჩენოპიეპისანიე სადამდისინ გვაქვს”. რასაკვირველია მე მაშინ იმას “დაიკარგე” ვეტყვი. რასაკვირველია იმათ ეუცხოებათ რომ მათსეებრ თავისუფალ დროს ღიტ ღიტში არა ვკარგამ, დავდივარ ჩემთვის დაფიქრებული და ჩემს მომავალზე ვფიქრობ. მე მაგათთან არ დავსეირნობ ქალაქში, სულ მართალ კლასიანებს ვიცნობ და იმმათთან ვლაპარაკობ. ესეები რომ სულ ერთათ შეაერთოთ, გამოვა ერთი რაღაც ახალი კაცი სხვანაირი ხასიათებითა, რომელიც არ ემგვანება არც ერთს მაგათგან. ახლა ვისი ბრალია,

რომ მე მაგათ არ მოვწონვარ, მაგათ იდეალს ვერ წარმოვადგენ. აქედან ის კი არ უნდა გამოიყვანონ, ვითომც მე ამპარტავანი ვიყო, ის რომ მე მაგათს კულტს არ ვეკუთვნი.

23 მაისი, ოთხშაბათი.

ეს ამბავი რისაც დაწერა ეხლა მე მინდა, ან გუშინ ან გუშინწინ უნდა დაწერილიყო, მაგრამ გუშინ ძრიენ ვიყავ გაჯავრებული. ეს სამი დღე არი, რაც ცხვირიდან სისხლი მდის, აგერ ჯერ უნდა რვაჯერ წამოსკთომია; დოკტორს ვუთხარ რომ იმას სავათმყოფოში მივეღე იმან უარი მითხრა, ავათ არა ხარო. მე კარგათ მივლანძღე და გავანებე თავი. ე, მამა ძაღლი, ავათ მყოფს კი არ იღებს, კარგათ მყოფებით კი საავათმყოფო სავსეა! ის ძრიენ გაჯავრდა და სთქვა: "დღეის უკან ვინც ძრიელ არ იქნება ავათაო, აღარავის მივიღებო". ახლა დახედეთ, რა ამბავი აქვთ ჩემზე სემენარიელებს:" ყიფშიძემ ეს რა ჰქნაო, ცხვარივით დოხტორი გაგვიჯავრაო, დღეის უკან აღარავის მიგვიღებსო".

21 მაისს სემენარიიდან შვიდი შეგირდი ვიყავით თავადაზნაურობის ყრილობაზე. თუმცა ლაპარაკი და პრენიები არ ყოფილა და ბევრიც არ შეგვიძენია რა მაგ წასვლით, მაგრამ საქმე იმაშია, "რომ ვიყავით". ეს როდის მომხდარა სემერარიაში კუშინსკის ყოფნის დროს, რომ მისი შეგირდები დადიოდნენ პრენიებზე, კლუბებში, თეატრებში, კაბინეტებში, ბიბლიოტეკებში და სხვ. (ეხლა ხმებიც დადიან, რომ ორივეს ისპეხტორსაც და რეკტორსაც ითხოვენო).

სწორეთ ახალი ერა დადგა სემენარიის ისტორიაში. აბა სემენარიელებო, თუ ხეირი გაქვსთ, ახლაა თქვენი დრო! ლაგამი, რომლითაც თქვენ იყავით მიბმული დაჟანგდა; და კალამმა შავის ტყვიით მხედარს გული გაუხვრიტა.

ჩვენი საქართველოს წარმომადგენლები, ინტელიგენცია, დღეს ერთ ზალაში ყველანი ვნახე. მაგრამ სასიხაულო რა იყო მაგათ ყრილობაში? ერთმა ტყუილათ კი არ შენიშნა: "საფრანგეთის მარცხენა მხრის ყრილობას არა გავსო"! მართლა ისე ცივათ ეკიდებიან საქმეს, რომ კაცს გული აერევა. ყრილობაში ორმოც და ათ წევრზე ნაკლები არ შეიძლება და ისინიც არ იყვნენ. უცა-

დეთ, უცადეთ წევრებს და ბოლოს ავდექით და წავედით შინა. ყრილობა გადიდვა მეორე სამშაფათისთვინ.[29].

ათას რვაას სამოცდა ცხრამეტსა წელსა, ოზდა ოთხსა დღესა, საღამოს რვა საათზე.

1879 25 მაისი[30]

ჩვენთვის, შეგირდებისთვინ სწორეთ მწარე და ცხარე დღეები დადგა ახლა. ორი სამი დღის შემდეგ დაგვითხოვენ ეგზამენებისთვინ მოსამზადებლათ. რაც მთელ წელიწადში შეგვიძინა თითო საგნიდამ, ორი სამი დღის განმავლობაში უნდა განვიახლოთ თავში. სიცხე მეცადინეობაში ძრიელ გვაწუხებს. მომეტებული შრომისგან და ცხარი სიცხისგან შეგირდები ისე სუსტდებიან ფიზიკურათ, რომ კატის ნათრევებს გვანან. ყველას წამალი ამ შემთხვევაში კანიკულებია, მაგრამ ყველას ვერ შველის. შკოლაში უგუნურათ დაკარგულ ტანის სიმრთელეს ბევრჯელ სოფლის განმაცოცხლებელი ჰაერიც ვეღარ შველის.

შეგიძლიანთ დაინახოთ სემინარიეს გძელს ბალკონზედ აქაიქ მოხეტიალე, ცხვრებივით შეგირდები მაისის და თიბათვის პაპანაქებაში ყველა მათგანი ან იმეორებს რომელსამე საგანს, ან კიდენ სწავლობს, რაც მთელ წელიწადში გაუშვია ან ავათმყოფობის, ან სხვა მიზეზის გამო. ეზოც მთლად მოფენილია შეგირდებისგან. ათას-ნაირ ღონისძიებას ხმარობენ საწყლები, რომ ეგეები როგორმე ცოტათი მაინც დაემალონ მკაცრი მზის სხივებს: ზოგი კედელს ეკვრება და სიარულით წინ და უკან გაუკეთებია პატარა ბილიკი, რომელიც რაღაც სიამოვნებას უღვიძებენ გულში შეგირდს და აღარ შორდება მას, ზოგი საცოდავი ლობიოს ტოტებს ან ფოთლებსშია აფარებს თავსა, და ზოგი კიდენ შეშის საჟენებში იმალება, რომ ყუდროებაც არავინ დაურღვიოს. მაგრამ ტყუილათ! ცხარე მზე ყველგან პოულობს ბურსაკებს. ბევრ შუბლზედ წკურ-წკურით ჩამოდის ოფლი და ბევრჯელ თითო ოროლა წვეთი წიგნზედაც ეცემა ხოლმე. ცოტა ხნის შემდეგ მაგას შეეძლება თქვას: “მეც მიღვრია ოფლი, მაგრამ სამწუხაროთ

ბერძნულ და ლათინურ გრამატიკებს ეტანებოდნენ". საშინელი ძნელი და განსაცდელი დღეებია ეს ეგზამენები ჩვენ, შეგირდებისთვინ. ეგენი ახალს ჩვენ სრულებით არასა გვძენენ. წავალთ თუ არა საორთვეოთ შინ, სულ სრულებით გვავიწყდება ორ დღეს შეძენილი, ორ დღესვე გვეკარგება. ეგზამენების უსარგებლობას ჩვენზედ კარგათ ვერვინ იგრძნობს. ტყუილათ გონიათ ჩვენ ოსტატებს, რომ მაგათ რამე სარგებლობა მოქონდეთ. გარწმუნებთ, რომ არაფერი. თუ ჩვენ არ დაგვიჯერებთ ამ საქმეში, მაშ ვიღას უნდა ერწმუნოთ?

ღამის ათი საათია... ზარი დარეკეს და შეგირდები ნელ-ნელა აიშალნენ და გასწიეს საწოლში დასაძინებლათ. დიდ უზარ-მაზარ ზალაში, რომელშიაც სწავლობს ორმოცდაათამდინ შეგირდი, თითქმის აღარავინ დარჩა. მოსამსახურე ბიჭი შემოვიდა, დააქრო ლამფები ერთის გარდა და წავიდა. ერთად-ერთი ლამფა ძლივს ანათებს უზარ-მაზარ ზალას, კუთხეებში საშინელი სიბნელე ჩადგა. წყნარი დაურღვეველი სიჩუმე და სიბნელე კაცს გულ გვამს მოუხიბლავდნენ. ამოდენა ზალაში ჩემს გარდა ერთი შეგირდის მეტი აღარავინ იყო. საშინელს სურათს წარმოადგენს გამხმარი ახალგაზრდა ლამფის სუსტ სინათლეზედ! მიყუდებია კედელს, დაყრდნობილია ნიდაყვით პარტას და ღრმათ ჩაფიქრებულია. ტუჩების ცმაცუნიდან ვტყობილობ, რომ რაღაცას უნდა კითხულობდეს. ცოტას რომ მიუახლოვდი, დავრწმუნდი, რომ გაცხარებით, გულ მოდგინებით კითხულობდა რაღაცას. საშინელი დაღლილობა ეტყობა მის სახეს მომეტებულის კითხვით, სიცხით, ოთახის ცუდ ჰაერსაც ძრიენ შეუწუხებია. ათასში ერთხელ სიწითლეც ეპარება ლოყებზედ. ეს კაცი საჭიროებს დასვენებაში ყველაზე ძრიელ, მოძრაობაში, გართობაში, სუფთა და წმინდა ჰაერში, მაგრამ არ იძვრის, არ მიდის დასაძინებლად, არ ანებებს თავს საქმეს. ეს შეგირდი გახლავთ ჩემი გულითადი მეგობარი სამსონი.

ზალის ბოლო კუთხეში დავდივარ წყნარათ მე, რომ ეგები სამსონს არ დაუფრთხო მყუდროება და საიდანაც ვადევნებ ყურს მის გულის ცემას და სახის ცვლილებას. მე ამის გულისთვინ არ დავრჩენილვარ აქ. რისთვისაც ვარ აქა, რათ დავრჩენილვარ ამ დროს, როდესაც ძილის დროა, სრულებით არ ვიცი, არ მეყურე-

ბა მიზეზი. მეც ვგრძნობ დაღლილობას, ძარღვებში სისხლი ისე მაგრათ ვერა სცემს, როგორც საჭიროა, მეჭირვება ის წამლობა, რომელიც სამსონისთვინ მოვინდომე, მაგრამ არც მე მივდივარ საწოლში. რაღაც ცუდმა ფიქრებმა გამიტაცეს. ხომ იცით ახალგაზრდას წარმოდგენა ცხელია და თავისუფალ დროში შორსაც გააფრენს. „რისთვის ვარ შკოლაში, რას შემძენს, გამანათლებს, ჩამინერგამს გულში „ჩაგრულთა და ბედკრულთა“ სიყვარულსა, პატიოსან კაცად გამხდის, თუ რას მიზამს“? აი ამ საღამოს რა კითხვები მაღელვებდნენ და ვერც ერთზე „ჰო“ პასუხით ვერ მიუგე. საზოგადოდ ეხლანდელი სისტემის შკოლები და საკუთრათ ჩვენი ვერც ამ ბუნების მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებენ. თუ ჩვენით რასმეს შევიძენთ, ეგ იქნება, სხვა არაფერი; ეხლანდელი შკოლები ხოლოდ ჯანმრთელობას გვაკარგვინებენ გვყვრნიან ხასიათით სამუდამოთ.

მომეტებულათ სამსონის ბედიღბალზე დავიწყე ფიქრი. ჯერ ეს ერთი, რომ საშინლათ მიყვარდა და მეორე ის ხომ ძრიენ გულკეთილი, ამხანაგის მოყვარე, სწავლა განათლების გულითადი მოსურნე იყო და გული მიკვდებოდა, როდესაც დავფიქრდებოდი მაზედ რომ სამსონს უაზრო სხოლასტიკური განათლება ჯერ დააჭლექებდა და მერმე ..... ანდა. ბურსაკი ხეპრეა და გულქვავი. ის ბევრს აიტანს. იმისთვისინ ბევრს არას ნიშნავს მასწავლებლის ლანძღვა გინება და გაჯავრება, თუ მკითხამთ კიდევაც სიამოვნობს ის ამითი. საუბედუროთ ასეთი არ იყო ჩემი მეგობარი. მისი გულჩვილობა და ნერვიანობა ყველასას აღემატებოდა. დარწმუნებული ვარ, რომ სხვა დროს და სხვა გარემოებაში სამსონი ერთი უდიადესი ღუმანისტთაგანი იქნებოდა და ეხლა კი მეც არ ვიცი რა მოუვა.

რაღაც ჯიუტმა მომიარა და აღარ ვაპირებდი საწოლში წასვლას. დავიწყე წინ და უკან სიარული, ჩუმ-ჩუმათ სამსონს ვაჩერდებოდი და უფრო უარსეათ ვსცდილობდი მედევნებინა თვალ-ყური მის გულისცემისთვინ. სამსონა ვერც მამჩნევდა მე, ისე იყო გართული წიგნის კითხვაში. სუსტი სინათლე ლამფისა ძლივს უნათებდა გადაშლილ წიგნს. იმეორებდა ბერძნულ სინტაქსის. ხვალისთვინ იყო დანიშნული ბოლო რეპეტიცია ბერძნულიდან და ვინ როგორ მიუგებდა, მასწავლებელიც მთელი წლის

ბალათ იმ ნიშანს წარადგენდა. აი მიზეზი, თუ რისთვინ იხეთქამდა თავს სამსონი ასე თავგანწირული. პატარა ხანს უკან მოისმა შტაბის საათის წკარუნი. დავთვალე და გამოვიდა თერთმეტი. მაშასადამე მე და სამსონმა ერთი საათი მეტი დავყავით ზალაში. მე გავეშურე საწოლისკენ. ისპეკტორს რომ შეეტყო ინსტრუქციის წესის დარღვევისთვინ ძრიელ დავისჯებოდი, რადგანაც ათს საათს იქით ნება აღარა გვაქვს კითხვისა. აჩქარებული ფეხის ბრაგა-ბრუგზედ სამსონამ თვალები გააჭყიტა.

ბიჭო, რა დაგემართა, ახლა აღარ წამოხვალ? ვუთხარი მე სამსონს. ბევრის კითხვით თავი გეტკინება. თუ არა და ამხანაგებიც დაგცინებენ, რას იტყვიან, რომ გაკვეთილებს და მერე ისიც ბერძნულს ამდენს იმეორებ.

მამა არ მომიკვდება, ეხლა დაგეწევი, მითხრა სამსონმა. შენ წადი და პირის საბანათ მომიცადე. ცოტა ხანს ვილაპარაკოთ. თუ მალე არ მოვიდე, თუ გინდ მომკალი. ეს სიტყვები რომ სთქვა ჩააციცინდა წიგნს.

მე წავედი. ბევრი ვიარე ზემო სართულის ბალკონზედ, პირის საბანათაც ბლომათ ვიდექი, ვუცდიდი სამსონს, მაგრამ არ ჩანდა. მომწყინდა ცდა, ძილმაც დამძლია, და გავსწიე დასწაოლათ. ცოტა ხნის შემდეგ ამოუშვი ხვრინა. ღამის პირველი საათის ნახევარი იქნებოდა, როდესაც მე გამომაღვიძა ფეხის ხმაურობამ და კოიკის ჭრიალმა. თვალების ფშვნეტით ავიღე თავი და ძლივს გავარჩიე სამსონი.

სამსონი, რა ქენი, შე ოხერო, რათ მომატყუე? ცდით გული გამიწყალდა. ან აქამდის რა დაგემართა, აგე პირველის ნახევარია?

რა ვქნა, მომიგო სამსონმა, ცოტა ღა მრჩებოდა ის ოხერი წასაკითხი, და რა მექნა. ამის მეტი აღარა მითქვამს რა. ძილმა თავი წამართვა და ჩქარა ხელმეორედ ამოუშვი გმირული ხვრინვა.

ხუთი წამის შემდეგ ზარის წკარუნი გვაცნობებს მეოთხე გაკვეთილის დაწყობას. თითო გაკვეთილი გრძელდება ხუთ ჩეთვერს საათისას, და ეს ბოლო გაკვეთილი გათავდება სამის ერთს ჩეთვერზედ. ყველაზე ძნელი გასაძლისი შეგირდებისთვინ ეს ბოლო გაკვეთილი ხდება. დაღლილი და მოქანცული ტვინი წინა გაკვეთილებზედ სრულებით აღარა მუშაობს ხოლმე; ისე ჩლუნგდება,

როგორც ბლაგვი დანა, სრულებით გვეკარგება ჩვენ შეგირდებს სიცოცხლე და მთქნარების მეტს აღარაფერს ვაკეთებთ. თუ მასწავლებლები ძრიენ კვირცხლნი და ყოჩაღნი არ არიან, თუ თავისი მკვდარი უგემური საგნები არ გააცოცხლეს მჭერმეტყველებით და ათასში ერთხელ ოხუნჯობით, შეგირდები უთოოთ ძილს მიეცემიან.

დღეს განსაკუთრებით მომეტებულათ დასუსტებულს ვგრძნობთ ჩვენ თავებს და ერთი მოგონებაც კი მეოთხე გაკვეთილზე სასოწარკვეთილებას გვართმევს. ხუმრობაც ხომ არ არის, ახალი ჩამოსულები ხომ არა ვართ სოფლებიდამ, სადაც, როგორც ფუტკრები ყვავილებზე[31], ძალასა და ღონეს ვპოულობთ, რომ მერმე უგუნურათ დავხარჯოთ შკოლაში. აგერ თითქმის ცხრა თვეა რაც დაუსვენებლივ ვზეპირობთ გაკვეთილებს და დათხოვნა კი ჯერ არსად არის. დაურთეთ ახლა საშინელი სიცხეები, სამ-ოთხ საათამდინ დიაკვნურათ დუდუნი და რა მოგვივა, თუ არ საშინელი დაღალვა! მაგრამ დაღალვას ვინ ათხოვს ყურს, შეგირდები გაფაციცებით კითხულობენ ბერძნულს და გულის ფანცქალით მოელიან საშინელს მასწავლებელს. ნეტამც ეხლა კი ვისმეს შემოგახედათ[32] ჩვენ დიდ ზალაში, გეგონებათ ურიების თორააო! კარებს გააღებთ თუ არა მკვახედ გეცემათ შეუჩვეველ ყურებში ათასნაირი ხმები, რომლებშიაც ვერაფერს გაარჩემთ გაურკვეველი გრგვინვის და ჟივი-ხივილის მეტს. ცოტა ხანს მე დაგეხმარებით ამ ძნელ საქმეში, რადგან თვით მონაწილეობის მიღებით კარგათ გახლავარ გამოცდილი. ძნელ საქმეში მეთქი მიტომ გეუბნებით, რომ ხომ იცით ქვეყნის ბედი და უბედურება ახალგაზრდობაზედ კიდია და მსურს დაგანახოთ სურათი ჩვენი ჭკუის ვარჯიშობისა და რა საჭმლით გვასაზდოებენ ჩვენი უმფროსები. პერემენა გრძელდება სულ ათს წუთს და ამიტომ გაცხარებული კითხვაა ბერძნულ გრამატიკისა. ერთი მხრიდან მოისმის (ბერძნულად) და სხვა. მეორე მხრიდან: (ბერძნულად) და სხვა; მესამედგან ჩასტიცა (ბერძნულად) სწავლობენ, მეოთხე მხრიდგან ლანძღვა გინება მოისმის, მეხუთედგან აპატიურათ იგრიხებიან და სხვა ამგვარი, ბევრი რამ კარგი და გასახარელი.

აგე სწავლაც დაიწყო. გაიღო უცფათ კარები და შემოვიდა ოთახში თავმოშვლეპილი მასწავლებელი და სტატუებ გაჩერდა

კაფედრაზედ. შეგირდები უცფათ დაწყნარდენ. მასწავლებელი ერთი კიდევ მიიშმუშნ-მოიშმუშნა, გასწორდა, გადაავლო შეგირდებს ბრდღვიალა თვალები და გადაშალა ჟურნალი - ჩვენი ბედ-იღბლის დავთარი. კლასში საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა. ბუზიც რომ გაფრენილიყო, მის ბზუილსაც გაიგონებდით. მასწავლებელმა აავლ-ჩაავლო თვალი ჟურნალს, შეგირდებმა სული გაიტრუნეს და გულის ფიცრის კაკა-კუკით ჩააციცინდენ მასწავლებელს შიგ თვალებში. "ვაი თუ მე გამიყვანოს, ვაი თუ მეო" ფიქრობდა ყოველი მათგანი გულში. სუყველას ძრიენ ეშინოდა და არც არაფერი სახუმარი იყო, რადგან ეს იყო ბოლო გაკვეთილი და დღევანდელი ნიშანი ჩაირიცხებოდა "წლიურ ნიშნად", რომელიც ბევრს ახარებს, ბევრს კიდენ სამუდამოთ უთუთქამს გულს. დაირღვა სიჩუმე, მასწავლებელმა გააღო პირი და ჰაერში გაისმა სამსონის სახელი და გვარი: სამსონ ოსაძე. სამსონი ზლაზვნით ადგა, თითქოს მუხლები მოეკეცა, გაფითრდა და ტანი მთლად აუკანკალდა. მე ცოტა არ იყო გულში შიში შემომეპარა. რა ვქნა, რა დაემართა ამ კაცსა, გული კი არ წაუვიდეს მეთქი. საკვირველიც იყო ღმერთმანი! თითქოს გუშინ კარგათ დაისწავლა, ასე ძრიენ რაღათ უნდა შეკრთეს კაცი! სამსონა უსაქმოთ დიდ ხანს არ მდგარა, მალე მასწავლებელმაც მიმართა მას კითხვებით. დაიწყო განსაცდელი, მაგრამ უბრალო კი არა, საშინელი! პირველ კითხვებზედ კი აირია სამსონი. განა არ მოგეხსენებათ, გაუგებრათ მომზადებულ გაკვეთილზედ, ან თუ შეკრთი, ან თუ პირველი შეგეშალა, მერმე წავა შენი ხეირი. მასწავლებელიც უფრო ჩაციებით აძლევდა კითხვებს. მაგათზედაც ისე ურევდა სამსონი, როგორც დომხალი, სრულებით აღარ ეყურებოდა, თუ რას ბოდავდა. სინტაქსისი და ეტიმოლოგია სრულებით თავის ალაგას აღარ იყვნენ. მასწავლებელიც თავისის მრივ გაბრაზებული უაზრო პასუხებით, უარესად ჩააცივდა და თითქოს მელურის ღიმილით ეუბნებოდა "სარამ არ მომცემ პასუხს, სარამ არ დაგეხსნებიო". სამსონს ტვინი და სისხლი აემღვრა, გულს უწუხებდა. "ნეტამც ეხლა კი დამეხსნებოდესო, ამბობდა თავის გულში, და დვოიკა (2) კი არა თუნდ ნულიც (0) დამისვასო". თუმც კარგათ ამჩნევდა მასწავლებელი სულის მდგომარეობას და ღელვარებას, მაინც არ დაცხრა. საზარლათ

დაუწყო ბუზანკალივით სისხლის წოვა და ტანჯვა თავის უბედურ მსხვერპლს. სამსონმაც მეტი ვეღარ შესძლო. ისე წაუხდა ფერი, რომ ნაცარს დაემსგავსა, ვატყობდი, რომ მალეც გული შეუწუხდებოდა და უარესად მე შემეშინდა. ბოლოს საცოდავმა ძლივს მოახერხა სუსტის ხმით წარმოთქმა: "აღარ შემიძლიან, გარეთ დამითხოვეთ". ამ საშინელს მომაკვდავ სიტყვებზედ მასწავლებელი სრულებით არ შეკრთა, არ შეებრალა თვისი პირუტყვი მსხვერპლი და გულგრილათ ზდილობიანათ უთხრა: "მიბრძანდით". სამსონი იმ წამს გარეთ გავიდა, შუბლზედ და საქოჩრეზედ წყალი დაისხა, გაიარ-გამოიარა, გაგრილდა და ცოტა არ იყოს მობრუნდა. ცეცხლივით გახურებული ტვინი შეუგრილდა სუფთა ჰაერზედ. დარეკამდინ სულ ხუთი-ექვსი წამიღა რჩებოდა, როდესაც კლასში შემოვიდა თავდასველებული სამსონი. მისი სახე დაქანცულებას და სულით დაცემას ხატამდა. კვდარივით დაეგდო პარტაზედ და დაღვრემილი შესცქეროდა თვალებში მასწავლებელს. ოხ, ჩემო მეგობარო, რა რიგ დაიტანჯა შენი სული და გული, მთლად შენი გრძნობიერი არსება ამ წუთში!... ვინ თანაგიგრძნობს? არავინ მის მეტი, ვისაც შენსეებ არ აწემს მწარე უღელი კისერზედ, ხოლო ის თუ იგრძნობს შენს ტანჯვას და შეგიბრალებს ტანჯულს ამ უგუნურ ტანჯვაში!...

მზე იწვერებოდა. თითო ოროლა სხივები მთაწმინდიდან ძლივსღა სცემდნენ სემენარიის უშველებელ კედლებს. საღამო ჟამს სუსტმა ნიავმა და მთაწმინდის ჩრდილებმა მზის დამალვის შემდეგ ცოტა არ იყო გააგრილეს სიცხისგან ალაპლაპებული სემენარიის კედლები და კრიშა. ბურსაკებმა იგრძნეს თუ არა ნესტის სუნი დაიწყეს მოძრაობა, როგორც გაზაფხულის მატლები ძვრებიან სოროებიდან. სარდაფებიდან, ოთახებიდან ამოიზლაზნენ ბურსაკები და იღლიაში წიგნებით მოეფინენ სემენარიის ეზოს და ბალკონს, და დაიწყო ჩვეულებრივი გულგამწვრილებელი ბურტყუნი. დიდი ხანი არ გასულა მზის ჩასვლის შემდეგ, რომ გაისმა ზარის წკარუნი, რომელიც აუწყებდა შეგირდებს ჩაიზე წაბრძანებას.... დახურულ ზავედენიებში სადილ-ვახშმის ზარის დარეკას აღდგომასაებ მოელიან ხოლმე.

მოკლებულნი ყოველგვარ სიამოვნებას, თამაშსაც, დახამე-

ბულნი საჭმელზედ, დაქანცულები გაკვეთილების ზეპირობით, ბურსაკები სიხარულით მირბიან სტოლოვიისკენ, სადაც ცოტაც არის გაძღებიან და ლაჟღანდარაობაში პოვებენ ცოტაოდენ დასვენებას და სიამოვნებას. უნდა ნახოთ რა გვარის სისწრაფით დაქანდებიან ხოლმე მაღალის სართულებიდან, ასე გეგონებათ უთოოთ ზემოთ ან ცეცხლი გაჩენილა, ან სხვა რამე უბედურება გაჩენილაო. ყველაზე წინ თითქმის თავისმტვრევით გარბიან თითოოროლა, რომელთაც აქვთ ჩვეულებათ სუპის და მოწვნევა, ან სხვის კარგი პორციის. ამ წუთსაც ისეთივე სურათი წარმოუდგა ჩემს თვალებს, როგორც უწინ. აგერ შეგირდები თითქმის სულ ჩალაგდნენ სტოლოვიაში, მხოლოდ აქა-იქ ღა დარჩენილი ცხვრებივით მიღინღილებენ ორიოდე შეგირდი და ეგენიც ჩქარა მოგვშორდენ თავალთაგან.

სემენარიის ეზოს ერთ კუთხეში დგას ძრიელ ახლო ერთი ერთმანეთზედ ორი ლობიოს ხე. ამ ხეებს შუა სდგას პატარა სკამეიკა ორი სკამის კაცის დასაჯდომი. ზემო აღწერილ დროს პატარა სკამეიკაზედ ვისხედით მე და სამსონი. დიდ ხანს ვილაპარაკეთ ჩვენ აწმყო-წარსულ-მომავალზედ, მაგრამ მაინც ვერ გავათავეთ. ზარი დაგვირეკეს, გავეშურეთ სტალოვიისკენ, მაგრამ მაინც მინდოდა გამეთავებინა საუბარი იმსაგანზედ, რომელმაც დღეს ისრე ძრიელ შეგვაწუხა ორთავენი.

– კაცო ასე რა ღმერთი გაგიწყრა დღეს, რომ მასწავლებელს ვეღარაფერი უთხარი? ხომ გუშინ პირველ საათამდინ იჯექი და განა ვერ დაისწავლე? შაშა, ღმერთმანი, თქვენ უღმერთოები ხართ, მითხრა სამსონმა. შენ რომ ჩემი ალიან-ჩალიანი იცი და მაგას მეუბნები, უცხო რაღას მიზამს? სულ მთლათ კარგათ ვიცოდი, მაგრამ რაკიღა პირველი კითხვა გაუგებარი მამცა, გადვირიე და მერმე მთლათ ღმერთი გამიწყრა. მერმე იმ უღმერთო მასწავლებელმა რა ნაირათ დამტანჯა! ისე მაწვალებდა და სიამოვნებდა ჩემის ტანჯვით, როგორც კატა თაგვის ტანჯვაში ხედამს სიამოვნებას. ყოველი მისი სიტყვა შიგ გულში და ტვინში მხვდებოდა; თაბრო დამეხვა და ვეღარა გავიგე რა. გარეთ რომ არ გავსულიყავ გასაგრილებლათ, უთოოთ გული შემიწუხდებოდა. არ ვიცი ღმერთმანი, რა ვქნა. რისთვისა ვარ აქა, არ გამეგება. წრეულ რომ იმავე კლასში დამარჩინონ, ჩემ საწყალ მამას

რაღა პასუხი გავცე. ჩემი გამოზდის გულისთვინ მამა ჩემი წელზე ფეხს იდგამს, არას იცვამს ტანზედ; და ფეხზედ. სიკვდილი არ არის ჩემთვის, რომ ნახევრობითაც ვერ გაუმართლო მას იმედები. ღმერთმანი ზარმაცი არა ვარ, ცდილობა მეტი უნდა ეს ოხერი, წუხელის კითხვით და უძილობით კინაღამ მოვკვდი. რა წუხელის, რა წინათ, განა სულ მაგის გზას არ ვადგავარ და მაგას არ ვაკვდები? ეს მუდრეგი რუსული მაინც ვიცოდე კარგა.... ეგ რომ არ მიშლიდეს, სხვა საგნებს ცოტას მოუნდებოდი და იმათ ხვედრს დროს მაგ წყეულ ბერძნულს და ლათინურს შევსწირამდი, რომლებმაც ლამის სიცოცხლე მაწყევლინონ: თავიდანმე რომ ჩემს სამშობლო ენაზედ ესწავლებინათ საგნები და რუსულიც რაციონალურად გარდმოეცათ ჩემთვინ, აქამდისინ ორ თვეში ჭკუა გონებით გავარჯიშებული ვიქნებოდი და მგონი აღარც ბერძნული და არც სხვა რამე სრულებით არ გამიძნელდებოდა. აბა ეხლა რა ვქნა? ენა ცალკე გიშლის და გაუგებარი საგანი ცალკე. რომელ ერთს ჭირს გაუძლებ. ეჰ, ჩემო შაშა, დავანებოთ თავი ამაებსა. ერთხელ და ორჯელ არ შემომიჩივლია შენთვის ამ საგანზედ. ვინუგეშებ იმითი, რომ ჩემსეებ სხვებიც ბევრი იტანჯება და ყველამ ერთათ უცადოთ "გამოდარებას". ყველა ამას შემიძლიან გაუძლო, მაგრამ კაცის გულქვაობას როგორღა გაუძლო. ხედამდი დღეს რა ნაირათ მაწვალა მასწავლებელმა! ხომ იცის, რომ მე მისი მსხვერპლი ვარ, ჩემი ბედი და იღბალი მის ხელშია, ისე რაღათ მაწვალებს!?. დღეს, დღეს რა ქნა!.. ასი წელიწადი რომ ვიცოცხლო, არასოდეს ეს არ დამავიწყდება, ისე მაწვალა, ისე მექცეოდა, თითქოს უხარიან, რომ ასე ვექცევით ფსიხიკურ ტანჯვას რომ ეტყვიან, სწორეთ მე მითი დამსაჯა დღესა მასწავლებელმა. ამაზედ უსაძაგლესი და დამღუპავი ახალგაზდობისთვინ არა იქნება რა. ეს სამწუხარო მოვლენა არის ახალი მოდა ახალი სისტემის განათლებისა, რომელიც თავისი დელიკატურის დასჯით უფრო ბევრს ზარალს აძლევს ქვეყანას, სარამ ველურის ძალით. სწორეთ გითხრათ დღეს მე მერჩინა ერთი, ან ორი სილა, სარამ ათასი დამცინავი და გულდამთუთქავი სიტყვები მასწავლებლისა. სილას უფრო მალე მოვინელებდი დათვისა არ იყვეს, სარამ მაგ ყრალ სიტყვებს. არ იფიქრო, რომ მე ცემა ტყეპის მომხრე ვიყვე და ვნატრობდე მაგის შკოლებში შემოღე-

ბას, ღმერთმა მაშოროს ამისთანა ცოდვასა. მაგრამ იძულებული ვარ ერთი საძაგლობა მეორე უფრო საშინელ და მავნებელ საძაგლობას დავამჯობინო. წეღანაც გითხარი და ეხლაც გეტყვი, რომ ეს ბოლო დროს მოგონილი დელიკატური პსიხიკური დასჯა საშინელებაა. განა თუ მარტო ახალგაზდობას ყვრნის, უფუჭებს სულს და გულს, ხდის ყმაწვილს უხასიათოთ, არამედ ჯანმრთელობაზეც კი აქვს გავლენა. აიღე თუ გინდ ეხლანდელი გიმნაზიები. რა გამოდიან მანდედგან? აი რა: სუსტნი ჯანით და სულით. უხასიათონი, არა ფიქრობენ საზოგადო ინტერესებზედ თავის თავებზედ გარდა, მეცნიერების წინ წაწევა მაგათ არ შეუძლიანთ, თუ კიდევაც უკან არ დასწიეს, ერთი სიტყვით კარგი მაგათგან არა იქნება რა "მეორე მალჩალინობის" შჩედრინისა[33] არ იყვეს. თითქმის მუდამ დღე რომელსამე გაზეთში ვკითხულობთ, რომ ამა და ამ ქალაქში ამა და ამ გიმნაზისტმა თავი მოიკლაო რევოლვერით, თავი დაიხრჩოო, ჭკუაზედ შეიშალაო და სხვა, სხვა. ეს რასა ნიშნავს? იმას, რომ სწავლა-განათლება თავის ნამდვილ წრეზედ არა დგას. ეხლანდელი რუსეთის გიმნაზიები გენიოსებს, სწავლულებს, მაგარ ხასიათოვან სულით და აზრებით გმირებს აღარა ზრდის, რასაკვირველია, ათასში ერთის გარდა. ამათთანა ნატურები გიმნაზიების მავნე გავლენა კი არა, ადუღებული ტყვიაც რომ ჩამასხათ გულმუცელში, მაინც ვერავინ მოხრის. საუბედუროთ ეს ცუდი გავლენა გიმნაზიებისა თავისი «პსიხიკური ტანჯვით» (ამ ტერმინით კარგათ ვერა ვხატამ მას, რის თქმაც მინდა, მაგრამ დანარჩენ შენც შეიტყობ) ჩვენ სემინარიებშიაც იპარება ნელნელა. პირველი მსხვერპლი ამ სენისა აგერ თითქმის მე ვხვდები. ხომ იცი ძმაო: ცხენი ცხენთან დააბიო, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო. ჩემდა უნებლიეთ დიდი გავლენა აქვთ ცუდს მასწავლებლებსაც, ცუდ გარემოებათაც და სხვა. შენ ხომ იცი ძმაო, მე ძრიენ სუსტი აგებულებისა ვარ და მაშასადამე ბევრი მოთმენაც არ შემიძლიან. მასწავლებლების მწარე სიტყვები, მათი გულგრილად მოქცევა, და დაცინვა გულს მიხიბლავენ და მითხრიან უდროოთ საფლავს. მსურს თავი დავახწიო მაგათ გავლენას, მაგრამ ვერ ვახერხებ. გიმნაზიებზედ რომ გითხარი უმიზეზოთ არ მითქვამს. ამ 20-30 წლის წინათ რუსეთში ეგენი ძრიელ მცირედი იყო. მომეტებულად ახალგაზრდობა სასულიე-

რო შკოლებში იზდებოდნენ. მაგათში თუმცა ხეირიანი ცემა-ტყეპის და მხეცური ცემის მეტი არა იყო რა, მაინც ბლომათ ზდიდა ისეთს ბუნებებს, რომელთაც დიდი ღვაწლი დასდეს რუსეთს, და რომლების მოგონებაც გვავიწყებს ძველი ბურსების საძაგლობას. მოგვშორდა ერთი სენი, დადგა მეორე უფრო დამღუპველი.

– აღელვებული სამსონი ცუდს მდგომარეობით სწავლისა ეხლანდელ შკოლებში, რომელიც ყველაზედ პირველად მაგას აგრძნობინებდა თავის უვარგისობას, კიდენ ბევრს იბაასებდა, თუ ამ დროს ზედამხედველს არ გამოევლო. ნეაკურატნობისთვინ "ცხოვრების წიგნში" ჩაგვწერა და გავეშურეთ სტალოვიისკენ.

(* სუპის მოწვნევა)

დიდი ხანი არ არის, რაც მე და სამსონი მეგობრები ვართ, სულ ორი წელიწადი იქნება. ეგ სხვა შკოლაში იზრდებოდა, მე სხვაში და ეხლა კი ერთათ შევიყარენით სწავლის გაგრძელებისთვინ. სამსონი მოვიდა აქა, ნამდვილათ აღჭურვილი ნდომით და ნატვრით სწავლის მისაღებათ და არაფერსაც ზოგამდა მის გულისთვინ. როგორც სხვას, ისე მაგას უჭირდა მომეტებულათ გაკვეთილების მზადება, მაგრამ ეგზამენები ხომ ბოლოს უღებდა სამსონსა. სიცხეში სრულებით ვერ იტანდა მეცადინეობას და ხან თავი სტკიოდა, ხან ცხვირიდან სისხლი სდიოდა. ეგ იყო შვილი ერთი ღარიბი გლეხისა და როგორც თვითონ მეტყვის ხოლმე, ძრიენ უყვართ დედმამას. სულს არ იშურებენ სამსონისთვინ, ოღონდაც მაგან კი ისწავლოს რამეო და ვალის აღებისაც არ ეშინიათ. აბა ამისთანა დედმამის პატრონს სამსონს როგორ თავი არა ქონდა მოსაკლავი, რომ ერთს და იგივე კლასში ორი წელიწადი დაერჩინათ. მთაში გაზრდილი სამსონი, შეჩვეული პატარაობიდანვე მთის ჰავას, სრულებით ვერ იტანდა თბილისში სიცხეებსა, ათასნაირი თავის და გვამის ტკივილი უჩდებოდა. მოთმინება რადგანაც უსაზღვრელია, ისიც ითმენდა, კარგათ იცოდა სამსონმა, რომ შკოლაში ამნაირი სწავლით ვერას შეიძენს თავის გასანათლებლად, ჭკუის გასავარჯიშებლათ. სხვა წყაროებს ძებნიდა, მაგრამ შკოლას თავს ვერ ანებებდა. ეს სულებით

რას ეგონებოდა და მესამე კურს შეუსრულებელს ცხოვრებაში, მთლად დაეკარგებოდა გზა.

წუხელისაც არა ჩვეულებრივ ყველაზედ გვიან მე წავედი საწოლში. ამ ბოლო დროს რათა ვფიქრიანდებოდი, მეც არ ვიცოდი; რაღასაც ცუდს კი გრძნობდა ჩემი გული. დავრჩი მარტო იმ საშინელ უზარ-მაზარ, ერთი ლამპით განათებულ ზალაში. სუყველა შეგირდები დალაგდნენ, ფეხის ხმა სრულებით აღარ მოისმოდა ბალკონიდან. პატარა ხანს უკან გაისმა შტაბის საათის წკარუნი. დავთვალე და გამოვიდა თერთმეტი. ოჰ, ეხლა კი დროა რომ წავიდე, ვთქვი ჩემს გულში. რომ წავიდე დასწძინებლათ. გამოვიღე პარტიდან პირსახოცი, სავარცხელი, დავიხურე ქუდი და გავსწიე. მეოთხე სართულის კიბეზედ ორი ნაბიჯი არ გადამედგა, რომ რაღაც გაჩქარებული ფეხის ხმა შემომესმა. უნებლიედ შევჩერდი და ავიღე მაღლა დაქინდრული თავი. ჩემ წინ იდგნენ ორი ჩემი ამხანაგი, ფერ მიხდილნი, გაყვითლებულნი, შეშინებულნი რაღაცა ცუდი ამბით. მეც შევკრთი, ცეცხლი ხომ არ გაჩდა ზემო სართულში, გამიელვა უცფათ თავში! კითხვა ველარ მოვასწარ, რომ ერთმა იმათგანმა გულ აჩქროლვიოთ მითხრა:

- არიქა შაშა, ჩქარა შეატყობინე ვისმეს, ვინც უნდა იყვეს, თუნდ ინსპეკტორი, რომ მოვიდნენ.
- ბიჭო, რა დაგემართათ, უთხარი მეც ჩემის მხრით, რათ გინდათ ინსპეკტორი.

სამსონა გვიკვდება სპალნიაში. თითქმის გაჯავრებით მითხრა ისევ მან. არც დოკტორი, არც არავინ სხვა. ბალნიცაში ვიყავი და ფერშალი შინ არ დამხვდა. გაათავა თუ არა ეს სიტყვები ფეხ აჩქარებით გასწიეს საწოლისკენ.

ამ საზარელმა ამბავმა სრულებით თაბრო დამასხა. უთოოთ თავის ანთება მოუვიდა სამსონს, ერთის მხრით საშინელი სიცხე, მეორეს მხრით მომეტებული ტვინის მუშაობა, დაუმატეთ ახლა, თუ რა ნაირ აწვალა გუშინ მასწავლებელმა, დასჯები და რა საკვირველია რომ ველარ შეუძლია და ანთება მოსვლია. დრო არა მქონდა ბევრი ფიქრისა და გავკურცხლე რეკტორისაკენ. შინ არ დამხვდა. წყევლა და კრულვა ბევრი გაუგზავნე განა თუ მარტო ჩვენს ბერს, არამედ მთელი ქვეყნის ბერს. მანდედან გავიქეცი

ძირის სართულში ისპეხტორთან. თუმცა შინ დამიხვდა, მაგრამ ვაი ვაგლახი იყო მისი მაღლა მეოთხე სართულში აყვანა, რადგანაც ძალზედ აკლდა თვალსა. თუმცა ზედ მხრებზედ დამეყრდნო, მაინც ისე ნელა მოდიოდა, რომ თხუთმეტ ფუთიან აკიდებული რაჭველი გაასწრობდა. მე მეჩქარებოდა, ბრაზები მომდიოდა, მაგრამ ის ყურს არ იბერტყდა. ბოლოს როგორც იყო მივედით იმ ოთახთან, რომელშიაც იწვა საწყალი სამსონი. საშინელი ჩოჩქოლი შემომესმა. შეგირდები ბუზებივით ირეოდნენ. ზოგი შედიოდა, ზოგი გამოდიოდა. ჩვენც შევედით ოთახში. სულ სამსე იყო შეგირდებით. ვის რა ჩაეცვა, ვის რა. ერთის სიტყვით, ვისაც რა მოხვდებოდა ხელში, ისა ქონდა ტანზედ. ზოგი მარტო შალვარში იყო, ზოგი ნიფხავში, ზოგი გახეხილ ზამთრის პალტოში, ზოგი ... [34]

უსიამოვნება, უკმაყოფილება ეტყობოდათ სახეზე და რაღაებზედაც ბუტბუტებდნენ. «ისპეხტორი», «ისპეხტორიო»! და ყველა ჩამოგვეცალა. ისპეხტორს აღარ მოუცადე და მივარდი კოიკას, რომელზედაც იწვა სამსონი. ღმერთო, ჩემს თვალებს არა უნახავს რა ამ ნაირი! რა საშინელი სანახავი რამ იყო! ათასი წელიწადი რომ ვიცოცხლო, ეს არ დამავიწყდება. პირის სახე მთლათ ქონდა გაწითლებული, პირიდან თითქოს რაღაც დუჟი ამოსდიოდა, თვალები დახუჭული, მარჯვენა ხელი გულზედ ედვა და მარცხენა საცოდავათ იყო გაშვერილი კოიკის იქით. ფეხებს და მარცხენა ხელს თითქოს ხამუშ-ხამუშ ანძრევდა. უცქეროდი თავზარ დაცემული და რას უშველიდი, როდესაც მე თვითონ არა ვიცოდი რა. ეს ცხრა წელიწადია შკოლაში ვარ და ბერძნული და ლათინური ღლაღოლების მეტი არაფერი შემიძენია აქ ხეირიანი. თუ კი საჭირო იქნება ზმნები, ღმერთმანი, სულ მთლად ჩამოვთვლიდი. გამოუდეგარი კაცივით ჩამოვყარე ხელები და გაცეცებით ჩავცქეროდი სამსონას დაბჟუტულ თვალებს და გულის ცემას. შეგირდებმა, ვინც რა იცოდა, შეგირდულათ უწამლეს. ზოგმა ყურები დაუსრისა, ზოგმა დასველებული პირსახოცით დაუწყო გაგრილება შუბლს და გულსა. ისპეხტორმაც გამოიღვიძა და ხელმეორეთ გაგზავნა ფერშლის მოსაყვანათ. ვერც მაშინ იპოვნეს. იმის მაგიერათ მოვიდა ერთი ცოტაოდნათ მცოდნე შეგირდი და გაუშინჯა მაჯა. "არა უჭირსო, სისხლი მოსწოლია....."

ბარემ ხუთი მინუტი გავიდა და სამსონი სიკეთისაკენ არა

ბრუნდება. ბოლოს ისპეხტორს ვთხოვე ვინმე გაეგზავნა დოკ-ტორთან, ვის ეცოდინებოდა მისი სახლი. ბევრი ვაი ვაგლახის შემდეგ მოიძებნა ერთი იმოდენა ხალხში, რომელსაც სცოდნო-და დოკტორის სახლი. წავიდა. თითქმის ყველა გულის ძგერით ველოდით დოკტორის მოსვლას. მეტი რამ არის გაჭირვებაში დოკტორი! თუ ისა გყავს დარწმუნებული ხარ, რომ ავათმყო-ფი არ გიკვდებოდეს, დაგიბრუნებს. ღვთის მადლით დოკტორი მალე მოვიდა. საკვირველი გულგრილი ხალხია ეს დოკტორები! ისე ექცეოდა ავათმყოფს, ისე პარტყამდა ხელებს, გეგონებოდა ამოდენა ახალგაზდობის გულმტკივნეულებას ვერა ხედამსო. მაჯა გაუშინჯა. დაგვარწმუნა, რომ არა უშავს რაო. გულიდან ლოდი მომეხსნა. პატარა ხანს უკან რაღაც სასუნებელი შუშა მოა-ტანინა აფთიაკიდან, ასუნებინა და სამსონმა თვალებიც გააჭყი-ტა, სიწითლეც სრულებით დაკარგა. ყველას გულით და სულით გვიხაროდა, რომ ძმა არ დავკარგეთ სამუდამოთ. ცხელია დედის სიყვარული, მაგრამ არა ნაკლები, თუ არ მეტი ნამდვილი ძმური, მეგობრული და ახალგაზრდური სიყვარული, რომელსაც არაფე-რი შეედრება ქვეყანაზედ.

26 მაისი, შაბათი.

ეს კვირაც გავიდა – ცდისა და ვაი ვაგლახის! საათობით ვთვლი-დით, თუ როდის დაგვითხოვენო: მეტი-მეტათ მოგვაბეზრეს თავი ერთმა და იგივე საგნებმა! მარტო ეს არა ფერი, უფრო სხვით არის შესანიშნავიო ეს ნაბოლარა კვირა! ორი ამბავია, მაგრამ ერთი ერთმანათზე უკეთესები არიან! პირველს ამბავს უფრო ჩემთ-ვის აქვს მნიშვნელობა, და მეორეს კი – მნიშვნელობა ცოტათ თუ ბევრათ საყოველთაო. პირველი ამბავი იმაში მდგომარეობს, რომ ნილომ (კასრაძე) პოპოვი კარგათ მიბერტყა. (მაგის მიზეზს გაკვრით ვიტყვი, მიტომ რომ დაწვრილებით, რომ მოვყვე, მაშინ თქმა მომინდება პოპოვზე, კასრაძეზე, კარიჭოვზე, პატარა კა-ტანოვზე და ჩემზე, ეგ ძრიენ შორს წავა, ამიტომ რომ ეგ ხუთი კაცი ორს პარტიას წარმოადგენს.

პირველი – პოპოვისა თავის ადეპტებით კარიჭოვით და პატარა კატანოვით, მეორე – ნილოსი შაშათი.)

ნილომ ერთ ალაგას წარმოსთქვა, რომ პოპოვმა ცარიელი ტიტინის მეტი არა იცის რაო, აბა ცხოვრებაში გამოვიდეს, როგორ ჩაწვებაო. ეს სიტყვები პატარა კატანოვისაგან პოპოვმა შეიტყო და ძაანაც ჭრიჭინასაებ უხტუნავია. იმასაც ერთ ორ ბედოვლათ შეგირდებთან ეთქო შემდეგი: "ეგ გზა დაბნეულები, სოფლის მასწავლებლათ მიდიან და წარმოუდგენიათ, რომ ქვეყანას დიდ სარგებლობას მოუტანთო." (შენ კი, შენმა მზემ, შენის აკადემიით ვინ იცის რას არა იქ!). ეგ ნილომ შეიტყო და იმის ამხანაგებმაც, რომლებმაც კლასის ბიცარზე დაუწერეს: "я тоже исповедаться о, к деву т.д.". ეგ პოპოვმა წაიკითხა თუ არა, გამოვარდა ბალკონზე და დაუწყო ლანძღვა ნილოს. ნილომ გაუშალა და სდო "ღმერთმა მეტი შნო ნუ მოგცესო".

მეორე ამბავი: რყ.მ. ბაიევმა (მათემატიკის მასწავლებელი) მიბერტყა უ. კუშინსკი. როგორია! უცხო ამბავია განა! აი როგორ იყო: ბაიევი დღეს გვიან მოვიდა უროკზე (ეს პირველათ მოხდა, რაც ეგ აქ არის) ისპეხტორმა გალანძღა ბაიევი და შემდეგი ეპიტეტებით შეამკო: "ლოთო, ზარმაცო და სხვა". იმან ეგ ვერ მოითმინა (განა არ იცით ოსი არის!) ერთი-ორიოდე შიგ პრავლენიაში უდო, მერმე სტაცა ხელი პალტოს საყელოში და რეკტორთან წაათრია მუჯლუგუნებით, იქაც ორიოდე ურტყა და გაანება თავი. ახლა მაგის დათხოვნაში ეჭვი აღარავისა აქვს და ძრიენაც უხარიანთ სემენარიელებს. უხარიანთ, მიტომ, რომ ახალი მოგვივა, იმას აღარ ეძებენ თუ როგორი იქნება, კარგი თუ ცუდი!

28 მაისი.

1 თიბათვე, პარასკები.

ეს ერთი თვე არის, რაც აღარა ფერი მომწონს, გული ისრე მიღრენამს, როგორც ბებერ ძაღლს, ლამის მთელ ჩემ ამხანაგებს შემოვწყრე. დღესაც ორს გავუთავე საქმე. ერთი კი არა ფერი, მაგრამ მეორეს, რომელსაც მნიშვნელობა აქვს კლასში, კარგათ მოვდე, სულაც აღარა ფერს დავერიდე. გულისოვს (პირველი რომელიც არის) დიდი ხანია აბრეზილათ ვექცევი. ერთი რაღაც ხეპრე, ქარიანი კაცი არის! მე მაგისთანაები არ მომწონან. ჩემს საყვარელ კატანოვს ხომ დიდი ხანია გაუთავე საქმე, ი. ნასრაძეს

კიდევ მიტომ, რომ ყურ მოჭრილი მონასაებრ დაეთანხმება, რასაც მის ბრწყინვალება ინებებს გამოთქმას. ამ ათიოდ დღეშიც, ვინც დარჩნენ, იმათაც გაუთავებ საქმეს, და მერმე დავრჩები ცარიელ-ტარიელი. ენგრე ჯობიან, უფრო ბევრი დარდი აღარ მექნება! შემოდგომაზე ახალ ჩემ გულის მეგობრებს ვიშოვნი. ჩემი მიზანტროპობის მიზეზს ჩემშივე ვპოულობ და ეგ უფრო მაჯავრებს. აქამდინ როგორ ვერ გავიგე, რომ ლაზარ კატანოვი ცუდი ყოფილა და მე კი ანგელოზი მეგონა? ერთი რაღაც საშინელი ეგოისტი, ამპარტავანი, თავის დღეში არავის სიტყვაში არაფერს დაუთმობს, თუნდაც რომ კარგათ გრძნობდეს, რომ სტყუის. არ იფიქრო, რომ შენ ის თავის დღეში დაგეთანხმოს, რაც უნდა მშვენიერი აზრი სთქვა. მე ეგ ხასიათები ადრევე შევნიშნე, მაგრამ ჩემი თავის მევე არა მჯეროდა, სარამ ერთორიოდ გარეშე პირებსაც არ გამოუცხადე ჩემი ეჭვები: იმათ მითხრეს, რომ შენი ეჭვები სულ ნამდვილნი არიანო. მას უკან სულ სხვანაირათ დაუწყე ცქერა და თუმცა ჯერ სრულიად არ გავშორებულვართ, მაგრამ ეგეც ჩქარა იქნება. ვისაც ნამდვილად სურს შეიტყოს ხასიათი ლ.კატანოვისა, იმას მოვახსენებ, რომ ეგ არის პოპოვის შკოლისა, რომელსაც მაგაზედ ჰქონდა დიდი ზედმოქმედება. ღმერთო, იანვარ-თებერვალში რა მამაგონდება, თუ ეხლა ეგ ასრე შემძაგდებოდა. რა ნაირათ ვართ ეხლა, ღმერთო, მიკვირს! ერთი-ერთმანეთის სიტყვებს ისე ვხიბლამთ, რომ კაცს გული აერევა. რა ნაირათ ვცხოვრობდით ერთ დროს, როგორც ღვთის ფარისევლები! მაშინ სწორეთ ვერ მოვიგონებდი, თუ ასრე გავხდებოდით. რეებს არ ვფიქრობდით, რა პლანებს არ ვაწყობდით. სწორეთ მაშინ ბედნიერნი ვიყავით! ახლა არ ვიცი რა იქნება.

მე კატანოვის კაიკაცობის ეჭვიანობა დავიწყე მის შემდეგ, როცა პოპოვმა ცალკე მითხრა: "მე რუსეთში მივდივარ და რაც ლაზარემ გითხრასო, გაუგონეო, ჩემ მაგივრობას ის გიზავსო". მე ჩემ გულში ვიფიქრე, ეს ლაზარე ვინ არის, რომ იმას გაუგონო. მე იმას გაუგონო და მივიღო, რაც იმისთვინ პოპოვს ულაქლაქნია. ხედამ, გულში რა სდებიათ! თურმე ჩემი თავისებურათ იეზუიტურათ გაწვრთნა! ალბათ მაგისთვინ მეკიდებოდა ანგრე ამპარტავნულათ, არა ფერს ჩემს თხოვნას თავის დღეში არ ას-

რულებდა, რასაც მეტყოდა, სულ უნდა ამესრულებინა. (თურმე ის მიბრძანებდა და მე კი მეგონა, რომ ამას ვჩადივარ მეგობრულათ). ალბათ ანგრე მუდამ მიტომ მეკიდებოდა, რომ თავის თავს მასწავლებლათ რაცხდა. ახლა სულ გათავდა. მაგისთანა მხეცებს ნებას არ მივცემ, ჩემზედ იპარპაშონ. ეგ შემძაგდა, მაგასთან პოპოვიც და კორიჩოვიც. ამ ჟამად სუყველა მეჯავრებიან; ჩემი ძმაც კი. რაღაც ქარაფშუტასაებრ აირბენს და ჩაირბენს ქალაქში, საქმეს კი გულიანათ არ ეკიდება. ეხლა ჩემი გული აღარავის ელტვის, ნილოს მეტისას. მე მგონი არ მოვტყუვდი არჩევანში! მაგრამ კიდე ვინ იცის.

10 თიბათვე, კვირა.

ამ ერთ კვირაში ცოტა არ არის გავმხიარულდი. ნახევარ ეგზამენიები თითქმის გავისტუმრეთ, შინ წასვლა მოახლოვდა. შემომწყრალი ამხანაგები მეგობრობას თხოულობენ. მაგრამ ახლა კი ფრთხილად იყვეს ის ბერძენი! ისრე აღარ ვითამაშებ, როგორც აქამდისინ. მაგას, ერთი ფრანგული ბროშურკისა არ იყვეს, ის არ მოუვიდეს რაც ეხლა რუსეთს მოდის. ის ბროშურკა ამბობს, რომ რუსეთს გერმანიაზედ დიდი ზედ-მოქმედება ჰქონდაო 1867 წლამდინო ე.ი. სანამ ბისმარკი გერმანიას შეაერთებდა. ახლა კი რუსეთის ზედ-მოქმედება შეიცვალა გერმანიისადმი. მე არც ერთი არ მომწონს და არც მინდა. იმისთანა მეგობარი რა ჩემს ფეხებად მინდა, რომელიც შენ თამაშობას მოინდომებს ისე, როგორც კატა თაგვისას! ეგ თავის დღეში არ ვიქ იმას, რომ ვცდილობდე ჩემს ამხანაგზე ზედ მოქმედება ვიქონიო. როცა კაცს ვისზედმე დიდი ზედ მოქმედება აქვს, მაშინ იმის შეგირდი თავისი ხომ აღარ არის. ის საცოდავათ იმეორებს იმ სიტყვებს და აზრებს რაც წინა დღით შეიტყო, ის უკრიტიკოთ ერწმუნება იმის ყოველ გვარ საქმეს. და აბა ამ ნაირი შეგირდი რა მოსაწონია! მეგობრობა სხვა რამ არის და სხვა ნაირათაც უნდა მოვიხმაროთ. მაგრამ აი ერთი ცუდი ამბავი: სამს თიბათვეს, როცა ქართული წარმოდგენა იყო, ისპეხტორს ვთხოვე, რომ დავეთხოვე. წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როცა ბილეთის მაგივრათ, უარი მივიღე! რა მიზეზით არ მითხომთ მეთქი, ვკითხე მე. იმან

მიპასუხა, რომ "პირველელი ხარო". ამისთანმა პასუხმა უფრო ძრიენ გამაკვირვა: მე კიდევ უთხარ, ეს პირველათ მივდივარ თეატრში მეთქი? ჯერ პატარა ხარო, შენთვის ჯერ ადრეა თეატრში სიარული. სწორეთ ეგრე გაკლდა, უ.კუშინსკი, რომ ამ წასვლაზე ეგ გეთქვა! არა ერთი, ეგ რა პასუხია! პირველელი ხარო, პატარა ხარო, ჯერ ადრეაო. თუ თეატრებს სარგებლობა შეუძლიანთ რამე, უფრო საჭირო არის ახალგაზრდასთვინ და პირველი კლასელისთვინ, სანამ ბებრებისთვინ, რომლებიც უფრო მომეტებულ ნაწილად თეატრებში დადიან გულის გასართობად, სარამ რისამე სასწავლებლად! ეგ არ მეგონე უ. კუშინსკი! გუშინ წინ საქვეყნოთ იძახდი, რომ ეხლა სემენარიაში სრული თავისუფლება არის მეთქი, მაგრამ მე ვე პირველათ შევიტყვე, რომ უფრო ყურმოჭრილობა არის, სარამ თავისუფლება! მეც მოვტყუვდი.

8 კათათვე. კვირა.

თითქმის ეს ერთი თვე არის, რაც დღიურში არარა ფერი მიწერია. ჯერ ეგზამენები თბილისში, მერმე დათხოვნის შემდეგ აქეთ იქით სიარული და სრულებით დრო არ მქონდა, რომ შენიშვნები მეწერა. დღეს ნახევარ კვირა არის რაც სოფელში ვარ.

დღეს ერთმა უბრალო ამბავმა ისეთ ნაირათ გამაჯავრა, რომ აღწერა არ შემიძლიან. საქმე რაში იყო. სადილის წინათ მე, დედა და ედილაანთ ნიკო ვსხედვართ და ვლაპარაკობთ კალოს საქმეზე. ამ დროს მამა ჩემი სამზარეულში ბოზბაშისთვის დუმას კეპდა. დაკეპის შემდეგ, დედას დაუწყო ყვირილი: "გამოდი შეამზადეო!" ისიც, რადგანაც კაბას იცვამდა უძახდა: ხო გამოვალო. იმან ეგ ველარ მოითმინა, რატომ ჩქარა არ გამოვიდაო, დაიწყო თავისებური ყვირილი და გამოვარდა გარეთ. ჩვენი ქოფაკიც თურმე მიდარიჯებული ყოფილა და თვალ ხარბათ შეცქეროდა დაკეპილ დუმას. იმის გამოსვლა იყო, და დუმის გაქრობა. ხონჩა ისე მშვენივრათ მეეტლიკა ქოფაკს, რომ დედას ვერც კი გაეგო, როცა სამზარეულოში შევიდა, სად დაეკება დუმა. ჩვენ ე.ი. მე, მამა და ნიკო სადილზე ვსხედვართ როგორც დედამ დაიძახა: "ღვდელო, დუმა უყო?" ხონჩაზეო. დახედა დედამ ხონჩას, რა გაგიშვია რა იქნებოდა! თქვენ წარმოიდგინეთ მაშინ მამა ჩემის

ყოფა, წმინდათ რომ იტყვიან, გაგიჟდა. ისეთ ნაირად დაიწყო ღრიალი, რომ შევხტი მე პირველ დაყვირვებაზე. ყვირილის დროს კინაღამ ტახტიდან გადმოხდა, მაგრამ ვერ შესძლო. (მამა ჩემი ძრიელ მსუქანი კაცია). სახლში გაულანძღავი აღარავინ დარჩა. ჯერ ცოლს მივარდა: მე რომ სადილის ჭამა მომინდებაო, შენ ტანისამოსის ჩაცმა მაშინ მოგინდებაო. (რა ტანისამოსის ჩაცმა, კვირის კვირობამდი მთელი ოჯახი მასზედ კიდია და გაჭუჭყიანებულ კაბას იცვლიდა, ისიც რომ დრო არ დაეკარგნა, ჩვენ ლაპარაკში იცვამდა კაბას). მერმე მიუბრუნდა ორ უმცროს დებს, რომლებიც სუფრაზე გვემსახურებოდენ: ”ჰოი, თქვე მამა ძაღლებო, ჭამაზედ კი მარდნი ხართ და საქმეს კი კაცი ვერ გაგაკეთებინებთ. თვალით აღარ დამენახვოთ. პურს ერთს აღარ გაჭმევთ!” უმცროსმა ცხარად გაკურცხლა მამის ყვირილზე, უმფროსი კი ნელ-ნელა წავიდა. გაჯავრებულმა იმის ნელ ნელა სისრულზე, წამოუვლო პურის ნატეხი და შიგ თავში სდო. თვალით აღარ დამენახო, შე მამაძაღლო, შენაო! (პატარა ხანს უკან წვენი რომ შემოუტანა მაგან მამასა, ორი ხელით ჩამოართვა). მე ვეუბნები, მღვდელო დამშვიდდი; მტყუანი შენ ხარ და სხვას აბრალებ საქმის წახდენას. მტყუანი რათ ვიქნებიო, როცა დაუყვირე, რატო არ გამოვიდაო. ბიჭო, იესო ქრისტე ხო არ ხარ, რომ რაცა სთქვა აგისრულდეს. ისიც ადამიანია, ვერ გამოვიდა, მიტომ დუმას ძაღლს რათ უდგამდი. რო აღარა და არ დაიშალა თავის გამართლება და მერმე მეც მამყო ხელი, ავდექი დანა და სალფეტკი მივაყარე და გამოვედი: “თქვენც შეგარცხვინათ, თქვენი სადილიცა მეთქი”. მაშინ ცოტა შეცხრა.

ამისთანა გაფუჭებული ხასიათისაგან რა საკვირველია ცუდი ხასიათიანი შვილებიც იქნებიან. მე და ჩემი ძმა თუ მამას და სხვა შვილებს არა ვგავართ ეს იმის მიზეზია რომ ჩვენ მომეტებულათ სხვაგან გავიზარდეთ და განათლება მივიღეთ. მაგრამ იმასაც ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ მამითგან არ გამოგვყოლოდეს რამ. სიბრაზე, რომელიც ორთავ ძმებსა გვჭირს, მოუთმენლობა, ეს სულ მამიჩემის ხასიათის ნაწყვეტნი გახლანან. მაგრამ მამა ჩემის ხასიათს რა გამოცვლის ეხლა! რაც ამ ორმოცდა რვა წლის განმავლობაში მიუღია, ის სულ შეურყეველია! სწორე რო ვთქვა, ან კი რა გასამტყუნარია მამაჩემი? მამა ყოლია ერთი გაუნათლებელი კაცი,

რომელსაც დავითნის და ცემა – ტყეპის მეტი არა ცოდნია რა. მართალია განათლება მიიღო, მაგრამ რა განათლება იყო 28 წლის წინათ? მაშინდელი მასწავლებლები, მასწავლებლები კი არ იყვნენ, ტირანნები იყვნენ. "რაც გიბრძანოთ, გაიგონეთ". აი იმათი დევიზი. და თუ არ გაიგონებდნენ მაშინ ურჩს შეგირდს წკეპლები ზედ ტრაკზე. რასაკვირველია, მომავალში მამა, გაზრდილი ამისთანა პედაგოგებისგან, თავის შვილების გასაზრდელათ იხმარის იმ ხმალს, რითაც თვითონ მამას ზრდიდენ. შორს რათ მივდივარ, აქვე ჩემ თვალწინ ფაკტი. გიგა მე მცემდა ხოლმე, მე ნინასა, ისე არ მოვიდოდი სახლში, რომ დღეში ხუთჯერ ჩხუბი არ მოგვსვლოდა. ნინაც თავისი მხარით მარასა სცემდა, მარა სონასა, სონა შაქროსა, შაქრო მერმე პელას დაუწყებდა ცემასა, ის კიდე შემდეგს. მამა ჩემიც სწორედ ენგრე არის. ჯავრობაში და ცემა ტყეპაში არის გაზრდილი, და თავისი შვილების გაზრდაც ანგრე უნდათ. მაგათი აზრით: "გოჭი ჭყვირილით არ მოკვდება და ბავშვი ტირილით". თვალები გაახილეთ წავიდა ეგ დრო!!

10 კათათვე. სამშაფათი,

საქართველოს ანუ ტკვრის ხეობას ერთხელაც არის მოევლინება ხოლმე კალია ათი - თხუთმეტის წლის განმავლობაში. როგორც ამბობენ მნახველნი, კალია ყოფილა კიდევ საქართველოში 1850 წლიდან 1870 წელსა. პირველათ წვრილი კალია ყოფილა, როგორც ეხლა. მეორეთ კი სხვილი. მაგრამ არც პირველ კალიას, არც მეორეს გორის მაზრისთვინ დიდი ზარალი არ მიუციათ. ეს იმის მიზეზი უნდა იყვეს, სარამ გაზაფხულზე წამოსული კალია გადმოივლის, მცირე აზიას, ზაკავკასიას და მოვა გორის მაზრაში, სარამ თიბათვე და კათათვე უსწრობენ ხოლმე და მაშასადამე ყანებიც შემოვლენ. შემოსულ ყანებს კალია ვნებას ვერ აძლევს. ეხლანდელმა 1879 წლის თიბათვის კალიამაც ვერაფერი ქნა ჩვენ მაზრაში, ხოლოთ დუშეთის მაზრის სამზღვარზე კი დააზიანა რამდენიმე ასეული. კალიამ ყანებს ვერა დააკლო რა, მაგრამ ბაღებში ნიახური, კარტოფილი, ცერცვი და საზამთრო სულ ძირიანათ ამოაგდო.

16 კათათვე, ორშაფათი.

“ეხ, მომწყინდა სიცოცხლე ამ ოხერ ქვეყანაზე; ახ, შე ოხერო სიკვდილო, სად ხარ!” აი დევიზი რუსული ხასიათიანი ახალგაზრდებისა, რომლებსაც ქვეყანაზედ ცხოვრება კუკლის ხტუნაობათ მიუღიათ. სამწუხაროთ მეც ეგ სიტყვები უნდა გავიმეორო, მაგრამ სხვა ფორმით. მომწყინდა სიცოცხლე მამი ჩემის სახლში; შე ოხერო თვენახევარო, როდის გახვალთ, მიზეზი ამ საშინელი სიტყვებისა შემდეგია: დედას კევარზე უდექი და მამაც კალოზე იყო. შიგნითა ხარი ჩაელობა ნაპირას და აღარ უშვებდა. გადაუქნიე სახრე თავში და თვალი კი ვატკინე. წამოვარდა მამა ჩემი, მეცა სახრის წასართმევათ, რასაკვირველია საცემრათ! წარმოიდგინეთ, თუ რა იქნებოდა ჩემი მდგომარეობა, როცა ამ სცენას (მამა-შვილის შეტაკებას!) სამი კალოს ხალხი უყურებდა! იმ დროს სიცოცხლეს სიკვდილი მერჩივნა. ღმერთო, ამაზე მეტი უსვინდისობა, უპატიოსნება კიდევ იქნება, რომ მამამ თავის ჩვიდმეტწლის ნახევრის შვილს ხალხში ცემა დაუპიროს! მერმე თუ ამ შვილს კიდევ ცოტაოდენა პატიოსნება აქვს, თუ თავისუფლების სიტკბოება გაუგია, მამას მოითმენს? პატიოსანი კი არა, ამას ნამუს გარეცხილიც ვერ დასთმობს. რადგანაც მე ჯერ ნამუსი არ გამწყვეტია, აკი ვერ ვთმობ. ისეთ ნაირათ მძაგს ამ წუთში სახლი, რომ მეცვე მრცხვენიან ჩემი ეგოისტობისა. დღეის უკან გარდავწყვიტე, რომ სახლში აღარ დავბრუნდე, მაგრამ გავძლებ! ჩემ პატარა ძმას, შაქროს რაღა უყო! მაგ იეზუიტის ხელში როგორ ჩავაგდო!

ვინც წაიკითხამს ამდენს ჩემს ინტრიგებს მამასთან, იტყვის: ეს ბიჭი გაგიჟებულაო, მაგრამ რათ დავმალო, რაც გულში მიდევს, იმას ვიტყვი, რომ უფრო კარგათ მიცნონ და რომ ცხვრის ტყავში მგელი არ ვიმალებოდე. რომ ჩემზედ სამართლიანი პრიგოვორი წარმოთქვან მკითხველზედ ჰკიდია. თუ ძველი აზრებისა, იტყვის: “რატომ მამას პატივს არა სცემსო, რას მიქარავსო; თუ ახალი აზრებისა იტყვის: “თავის დღეში თხა და მგელი ერთად ვერ მოძოვენ”.

28 მარიამობისთვე, ოთხშაფათი

ცოტაოდენი შენიშვნა რადიშჩევზე და იმის წიგნზე "მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვში"[35].

ა.ნ. რადიშჩევმა ჯერ იქვე წინასიტყვაობაში და ბიოგრაფიაში ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზედ. ავტორს დაუწერია წიგნი, რომელიც მართველობას არ მოსწონებია. ამის გამო მას გადაუწყვეტია ავტორის ციმბირში გზავნა. ამ ამბავს რადიშჩევი ისე შეუშინებია, რომ ხასიათ-გარყვნილი ლაქიასებ დაუწყია იმპერატრიცასთვინ პატიობის თხოვნა. პატიობის თხოვნას კიდევ გადაუწყდეს, საქმე იმაშია, რომ დაპროსჩიკთან არც ერთ თავის აზრს არ ხსნის ისე, როგორც ან საჭიროა, ან როგორც თვითონ უწერია. ესა და ეს აზრი წარმოვთქვი ჩემის სისულელითაო, თუმცა გონებამ მიმტყუნაო, მაგრამ გუილთ კი სულ სხვა ვარო. ამისთანა სიტყვები სრულებით არ შეშვენიან ავტორს და ბევრს ჩირქსაც სდებენ, როგორც თვითონ იმის პიროვნებას, ისეც იმის წიგნს. ავტორი, რომ თავის თხზულებაში ერთნაირი მიმართულებისა იყვეს, და მართებლობასთან კი პირთ სხვას ლაპარაკობდეს, ეს იმისგან დიდი სულმოკლეობაა! გამომცემელი იმის წიგნისა ამბობს: რადიშჩევი, რომ დაბრუნდა სამზღვრის გარედანაო, ახალი აზრებით და მოახლოვებული საფრანგეთის რევოლუციის იდეებით იყო სავსეო; რასაკვირველია კმაყოფილი არ იქნებოდა მაშინდელი გლეხების მდგომარეობით რუსეთში. რომ რადიშჩევის წიგნში არც ახალი აზრებია და არც რევოლუციონური იდეები, მაგაში ეჭვი არ არის, მაგრამ ესეც კი უნდა ვთქვათ, რომ ტონი რადიშჩევისა – არის სატირიკული; ჩვენ იმის წერილებში ვხედამთ დაცინვას მართებლობაზე და მის წეს-წყობილებაზე. მაგის გულისათვის კი, სწორე გითხრათ, არა ღირდა, რომ პროცესები გაეჭიანურებინათ, ავტორისთვის ღირსება წაერთმიათ და ციმბირში გაეგზავნათ!

დიდი რამ მომხდარა, არა, რომ ერთმა ვიღაცამ თავის მგზავრულ წერილებში შენიშნა: „გლეხების მდგომარეობა რუსეთში ძრიენ ცუდია, საჭიროა, რომ მაგათი მდგომარეობა რაც შეიძლება ჩქარა გაუკეთესოვდესო".

P.S. (მაგრამ ნათქვამია: ქოფაკი, რომ კურდღელს მოაბრუნებს, დაჭერაში ჩაუგდებენო... იმ დროს, როცა რადიშჩევი თავის მოგზაურობას სწერდა, ანგერ გაბედვით ლაპარაკი, დიდი რამე იყო!)

———————————

ეს შენიშვნა ერთი კვირის წინ არის დაწერილი, მაგრამ გადაწერილ არის ახლა 28 მარიამობისთვეს.

აქ დასრულდა წიგნი II [36].

1879 წ. ენკენისთვე.[37]

წელი II

1879 წ., 5 ენკეისთვე, ოთხშაფათი.

დღეს მე კლასში ვარ. ჩემ წინ ზის მასწავლებელი. ის მშვენივრათ და კოხტათ არის გამოჭიმული კათედრის სკამზე. იმის სიკოხტავეს უფრო მომეტებულათ ამშვენებენ მშვენიერი თეთრი - ფუნჩულა ხელები, ლამაზი, ვაშლივით წითელი ლოყები, კოხტათ დაბარცხნილი თაფლის ფერი თმა, ჟუჟუნა თვალები და კოხტათ შეკვერცხილი წვერი! წარმოიდგინეთ ახლა, რომ ამ ღვთისაგან ასე მდიდრულათ შემკულ სხეულს ამშვენებენ მშვენიერი, ძვირფასი ტანისამოსი.!? არშინ რვა მანეთიანი მაუდის ფრაკი, თეთრი ანგლისური გახამებული პერანგი მეტათ ამშვენებს იმის თეთრ ყელს!. ზედ აბრაშუმის ყელსახვევი, ახალ მოდის შარვალი, ჩინურ ფეხებზე შვარცის ფეხსაცმელები!. როგორია სურათი? მიმზიდველი სახეა განა! უცქერი, შაშაჯან, ამ სურათს ევროპიულათ მორთულს, მაგრამ რას ფიქრობ? შენც ხომ იმას არ ფიქრობ, რომ ჩქარა დიპლომი მიიღო და პროფესორობა და რასაკვირველია, მასთან ზემოახწერილი სიმშვენიერეც.? სრულებითაც არა. მე მაშინვე საღოლაშენში გავკურცხლამ ხოლმე და აი იქ რას ხედამენ ჩემი ბედნიერი, ამ სურათის მომცქერალი თვალები: კათათვის პაპანაქებაში კევრზედ სდგა გლეხი, ეს ქვეყნის მუშაკი და ერეკება ხარებს. თავი მასაც კოხტათ აქვს მორთული, მაგრამ ევროპიული შლიაპით, პარიკმახერის გაკეთებული თმით და სუნებით კიარა, უბრალო წითელი ხელსახოცით, რომლის ტოტებსაც ქარი საყვარლათ აქანავებს. იმის წითლათ დაბებრებულ ხელებზე, მზისგან დამწვარ გულზე და შავ კისერზე, ვინ იცის რამოდენია მტვერია და როგორ წურწკურით ჩამოსდის ოფლი! აგერ სურათი, ბედისაგან დევნილი, რომელთანაც მტყუანია ღმერთიც, ხელმწიფეც და კაცობრიობაც!?

გავათაოთ ლაპარაკი ყველასგან მოძულებულ არსებაზე და დავბრუნდეთ ჩვენს ოთახში, ზემო ახწერილ სურათთან. ეს სურათი ზის მშვენიერ კათედრაზე, კათედრა სდგა წითლათ შეღებულ პოლზე; რაღა გავაჭრელო სურათი არის მშვენიერ ოთახში, მის სახეს ეტყობა, რომ კმაყოფილი არის ცხოვრებიდან და მეტიც არა ფერი სურს. იმის წყლიანი, ჟუჟუნა თვალები თავდაბლა გადმოგვცქერიან კათედრიდამ ჩვენ, იმის შეგირდებს. ოხ, რით

ვერ მოვრჩი ამ მშვენიერი სურათის ახწერას! ახლა კი სწორეთ დროა, რომ ბოლო მოუღო მაგის ახწერას. მკითხველო, (მკითხველი ხარ თუ სხვა ვინმე, ჩემთვის სულერთია) ახლა ხომ წარმოიდგინე სრული სურათი ჩვენის ოთახისა? თუ ვერ წარმოგიდგენია, ხელმეორეთ გაგიმეორებ მოკლეთ. ზალა ძალიან გრძელია, ნახევარზე შეგირდების პარტიებია[38]. პარტიების წინ კაფედრა, კაფედრის გვერდზე საწერი ფიცარი და კედლებზე რამდენიმე სურათი-ხატი. ისიც ხომ იცი, რაღა თქმა გინდა, რომ კათედრაზე ზის ჩვენი მასწავლებელი (მშვენიერი სურათი) და პარტიებზე შეგირდები, რომლებიც კატებსავით შესცქერიან მშვენიერ სურათს და ცქვიტი მელიასებ ყურს უგდებენ, ეგებ ცოტაოდენი სიტყვა არ გაგვისხლტესო. ახლა ხომ წარმოიდგინე სურათი ჩვენი ოთახისა? პატარა მოიცა და ცარიელი წარმოდგენა არ იქნება, ბოზბაში არა გნებავსთ მოგართვათ? აი ახლავე. „ვინ მოგვიყვანა ჩვენ ამ მდიდრულათ მორთულ პალატაში, ამ მშვენიერ სურათთან, და რა ნება გვაქვს ჩვენ აქ ასე სუფთათ ყოფნისა, როდესაც საღოლაშენის გმირი, ქვეყნის მუშაკი, ქვეყნის ცოდვის მზიდველი, პაპანაქებაში კევრზე უდგია და ჭირის ოფლი ჩამოსდის? რისთვის შეგვიყარა ჩვენ აქ თავი და რას ვაკეთებთ? ო, ვისაც გაგება აქვს, თუ რა არის ქვეყნის მეხანიზმი და როგორ ტრიალებს უკანასკნელი მისი ჩალხი, მასთან პირველ კითხვებზე მიგება აღარ მომინდება; მაგრამ ბოლო კითხვაზე, „თუ რას ვაკეთებთ ჩვენ დღეს ე.ი. ეხლაო რაც უნდა გენიოსი იყოს, ვერც ვერაფერს მომიგებს, და ვერც ვერაფერს გაიგებს, თუ ან მე არ უთხარი, თუ ან იმან არ დაგვიგდო ყური. მაგრამ ის საიდან დაგვიგდებს ყურს, ისევ მე გეტყვით. დამიგდე ყური, ქვეყნის გენიოსო. აი რას გეტყვი: „მშვენიერი სურათი ზის კათედრაზე. წინ უდემს ლათინური ქრისტომატია; ანგრეთვე თვითოულ შეგირდს გვაქვს გაშლილი ქრისტომატია და ვთარგმნით ოვიდის მეტამორფოზს „არიონს.“ არიონი იყო ისეთი მგალობელი, რომ იმის მღერის დროს თხა და მგელი, ძაღლი და კურდღელი, მტრედი და ქორი ერთათ რომ ყოფილიყვნენ, არა ფერს არ უზამდენო. ო, აკი გითხარ, პატიოსანო გენიოსო, რომ ბოლო კითხვაზე შენ ვერ მომიგებ მეთქი! მგონი შენც და შენისთანაებსაც აზრათაც ვერ მოუვიდეთ, რომ ამისთანა პალატში, ამისთანა სურათ-პროფესსორთან ვსწავლობდეთ